# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 მარტი 1999 №51 (824) | ფასი 1 ლარი


## ბატონო ვანო, ვის რად უნდა თქვენი ყურები, მით უმეტეს, ზედ დაჭრილი ხახვი!

ბატონო ვანო მეტრეველო, ამ წერილს იმისთვის არ გწერთ, რომ თქვენ ან თქვენს კოლეგა პოლიციელებს, რომლებსაც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე შაბათს, საქართველო — უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაზე წესრიგის დაცვა გევალებოდათ, ყურებზე ხახვი დაგაჭრათ. მწარე გამოცდილება გვკარნახობს, რომ ამას მაინც ვერ მოვახერხებთ და ეს ჩვენზე უკეთ იცით. ამიტომაც იყო, იმ დღეს დიდგულად რომ დააძრეთ ჯიბიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ცხვირწინ აგვაფარეთ და მოგვახალეთ, ვანო ვარ, მეტრეველი, წადით, სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრათო. ისიც მოგვაძახეთ, წერეთ და იკითხეთ. სტადიონზე სწორედ იმიტომ არ გიშვებთ, რომ ჟურნალისტები ხართ და ჩვენზე წერთო...

მერე კიდევ თქვენმა კოლეგებმა შარი მოგვდეს, ქლიბაძის ხელმოწერით დამშვენებული საშვი არ გაქვთ და ეროვნულზეც არაფერი გესაქმებათო. ერთი კი გავიკვირვეთ, ეგ ქლიბაძე ვინღააო, მაგრამ მერე ჩვენი კოლეგა და ამჟამად ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწე დავით ქლიბაძე გაგვახსენდა, ოღონდ ეს ველარ დავადგინეთ, სად ბატონი დავითი და...

ერთი სიტყვით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვწერთ. თუმცა ვიცით, რომ კედელს ცერცვს ვაყრით. მაგრამ მაინც ერთხელაც გვინდა შეგახსენოთ, რომ ზრდილობაც კარგი საქონელია.

სხვათა შორის, მეც და ჩემი კოლეგებიც არაერთი ქვეყნის სტადიონზე ვყოფილვართ, მაგრამ პოლიციელთაგან ასეთ გაუგონარ უზრდელობას, უხეშობას, მუჯლუგუნებს, წიხლისკვრას, კინწისკვრას და ამდაგვარებს არსად შევხვედრივართ. საშვიანებს და ბილეთიანებს მთელ მსოფლიოში მხოლოდ თქვენ არ უშვებთ სტადიონზე. საშვიანებსა და ბილეთიანებს ყველგან „მობრძანდით, დაბრძანდის" ძახილით ეპატიჟებიან. გამონაკლისი მხოლოდ თბილისი, თქვენ და თქვენი კოლეგები ხართ.

იძულებულნი ვართ შეგახსენოთ, რომ სტადიონზე პოლიცია იმისთვისაა, რომ წესრიგი დაიცვას და არა იმისთვის, რომ უწესრიგობა და ქაოსი დანერგოს.

სხვათა შორის, ვინც ეს ანა-ბანა არ იცის, უარეს შემთხვევაში, სამსახურიდან ითხოვენ. ასეა მთელს მსოფლიოში, მაგრამ მხოლოდ ჩვენთან არ არის ასე. ასე რომ იყოს, დღეს, ალბათ, ჩვენს პოლიციაში რამდენიმე კინკილა კაცილა დარჩებოდა, დანარჩენს ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის „ვირის აბანოში" თქვენივე კოლეგების ხელით უკრავდნენ თავს, სხვებს კი „მგლის ბილეთით" მიაბრძანებდნენ პოლიციელთა რიგებიდან.

ღმერთმანი, საოცარი კია, ჩვენს პოლიციელებს მაინც რა დარჩენიათ პოლიციელთა რიგებში? თვეობით ხელფასს არ ვიღებთო, გაიძახით, მაგრამ ფერ-ხორცი მაინც არ გაკლიათ.

უკაცრავად, თემას გადავუხვიე და მანამ კალამი შორს გამქცევია, სტადიონსვე დავუბრუნდები.

სხვათა შორის, იმ პოლიციელთაგან, ვისაც ჩვენ გადავეყარეთ, ერთადერთი აღმოჩნდა თავაზიანი. იმ თავაზიანმა, ცენტრალურ შესასვლელში რომ იდგა, ზრდილობიანად მოგვიბოდიშა და „დაგვამშვიდა", დიახ, ბატონებო, თქვენ ამ საშვებით შეგიძლიათ შესვლა, მაგრამ კარები ჩაგვარაზინეს. გვიბრძანეს, არც საშვებიანი შეუშვათ და არც ბილეთიანებიო. მერე ისიც დასძინა, როგორ გაკადროთ და, თუ ამ უშველებელ ლობეზე აძვრებით და გადახვალთ, თვალებს დავხუჭავ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთო.

სხვათა შორის, იმ დღეს ყველა თქვენი კოლეგა, ვისაც ჩვენ გადავეყარეთ, თვალებდახუჭული ან დაბრმავებული იყო. სტადიონზე მისულ საშვიანებსა და ბილეთიანებს ვერ ხედავდნენ. ვერც იმათ ხედავდნენ, უბილეთონი და უსაშვონი ჭიანჭველებივით როგორ შესეოდნენ სტადიონის ლობეს...

და ბოლოს, ბატონი ვანო, საშვები, როგორც თქვენ ბრძანეთ, სამ ბოთლ შამპანურად ბაზრობაზე არ გვიყიდია და არც ის ბილეთები მოუკრეფია ხალხს ხეზე.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ზაზა ჯანაშია ნაკრებს ისევ უარობს

აი, ასე. რომ გვეგონა, მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია ეროვნული გუნდის შეკრებაზე თავის დროზე ჩამოვიდოდა და უკრაინა-სლოვენიის დამარცხებაში დაეხმარებოდა ჩვენებურთ, მთლად ასეც არ ყოფილა თურმე, ზაზა ჯანაშია ნაკრებში თამაშს უარობს, მას არ სურს თბილისში ჩამოსვლა. მიზეზად მტკივან ფეხს ასახელებს...

18 მარტს ჯანაშიამ და მისმა „ლოკომოტივმა" ისრაელში, ქალაქ ჰაიფაში თასების მფლობელთა თასის საპასუხო მატჩი ჩაატარეს იქაურ „მაკაბისთან". წესითა და რიგით, შეთანხმების საფუძველზე, თავდამსხმელი იმავ საღამოს უნდა გამოფრენილიყო თელ ავივიდან თბილისში, სტამბოლის გავლით. ზაზა არ ჩამოვიდა. თითქოს შესაბამისი რეისი არ ყოფილა. არადა, აეროპორტში გვითხრეს, იყოო. ნაკრების ხელმძღვანელობა მშვიდად გახლდათ, დღეს არა, 19-ში ღამით ნაღდად ჩამოვაო. გათენდა 20 მარტი, ხალხი ჯანაშიას ამბავს კითხულობდა. უკრაინელებთან ქართველებმა უჯანაშიოდ ითამაშეს.

ვლადიმერ გუცაევის ბიჭებმა ვარჯიში გუშინ განაახლეს. შაბათს ნათამაშევთ გიორგი დარასელია და აკაკი დევაძე დაემატნენ. დანარჩენები — გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და შოთა არველაძე კი, როცა „სარბიელს" წაიკითხავთ, უკვე თბილისში იქნებიან.

ალბათ, არ იქნება ზაზა ჯანაშია. მერამდენედ?

გუშინ, დილით ჯანაშიას თბილისში დაურეკავს, ნაკრების ერთ-ერთ ხელმძღვანელთან უსაუბრია. უთქვამს, ფეხი მტკივა, ჩემს იმედად ნუ იქნებით, ვერ ჩამოვალო. თბილსიდან კატეგორიულად მოსთხოვეს, ხვალვე ჩამოფრინდიო. ჯანაშიას უპასუხია, კარგით, ჩამოვალ, ოღონდ ვერ ვითამაშებ, გაიგეთ, ფეხი მაწუხებსო. ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვლადიმერ გუცაევის სახელზე ფაქსი მოვიდა, მოსკოვური „ლოკომოტივი" მწვრთნელს სთხოვდა, გაითვალიწინეთ თქვენებურის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ნაკრებში არ დაუძახოთო. ნაკრების უფროსობამ ასევე ფაქსით უპასუხა, ჯანაშიას თბილისში ველითო. „ლოკომოტივსა" და ეროვნულ ნაკრებს შორის მიწერ-მოწერა, ლაპარაკი ამით დამთავრდა. ისეც არაფერი გარკვეულა, „ლოკომოტივს" ბოლო სიტყვა არ უთქვამს, თუმცა...

მოსკოვის „ლოკომოტივის" მწვრთნელი იური სიომინი გუშინ იტალიაში ბრძანდებოდა, მომავალი მეტოქის, „ლაციოს" დასაზვერად და რადგანაც შინ მხოლოდ დღეს დაბრუნდება, მასთან შეხმიანება ვერ მოვახერხეთ.

— ჩვენ ამ დილას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი გამოვაგზავნეთ, თქვენებურებს ვაცნობეთ, ჯანაშიას წვივი აწუხებს და ნაკრებში სათამაშოდ მზად არ არის. ის ახლა „ლოკომოტივის" ექიმის მეთვალყურეობით მკურნალობს. მისთვის დატვირთვა არ შეიძლება, უნდა დაისვენოსო. თუმცა, თუ ნაკრების ხელმძღვანელობამ კატეგორიულად მოითხოვა ჯანაშიას თბილისში ჩამოსვლა, ხვალვე ბილეთს ავულებთ და გამოვამგზავრებთ — ეს მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდის უფროსის ვლადიმირ კოროტკოს სიტყვებია, რომელსაც სიომინის არყოფნისას მოსკოვში დავუკავშირდით.

ჯანაშიასა და კოროტკოს ნათქვამი ერთმანეთს კი ემთხვევა, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ...

რუსული გაზეთ „სპორტ ექსპრესის" საფეხბურთო მიმომხილველი იური ბუტნევი:

— დღეს თავად გახლდით ჩერკიზოვოში და „ლოკომოტივის" ვარჯიშს დავესწარი. ზაზა ჯანაშია ჩვეულებრივ მონდომებული იყო, სრული დატვირთვით ივარჯიშა, რა ტრავმა, რის ტრავმა, როგორც ვიცი, ზაზა ხვალ თბილისში მოფრინავს. იგი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს — გვითხრა გუშინ რუსმა კოლეგამ.

და ყველაზე უარესი. როგორც შევიტყვეთ, სიომინის მოსკოვში დაბრუნებისთანავე „ლოკომოტივი" სოჭის მახლობლად ხოსტაში მიემგზავრება მოსამზადებლად და ბილეთი ზაზა ჯანაშიას სახელზეცაა აღებული, ჯანაშიამ მათთან ერთად უნდა ივარჯიშოს.

ჩამოვა თუ არა მოსკოველი ფორვარდი თბილისში, ეს დღეს საღამომდე უნდა გაირკვეს.

სამწუხაროა, მეტად სამწუხარო, ასეთი ინფორმაციის მოწოდება რომ გვიხდება, მაგრამ...

ერთიც: საუბრის ბოლოს ვლადიმერ კოროტკომ გვითხრა — ჯანაშიას ეროვნული გუნდის ძირითადში არ ათამაშებენ. მას თავის გამოსაჩენად 10-15 წუთს აძლევენ, ამით კი ფეხბურთელს სახელი უტყდება, ჯანაშიათი ხომ ევროპის ძლიერი კლუბები არიან დაინტერესებულნიო.

დაგვეთანხმებით, კოროტკოზე მეტად ვლადიმერ გუცაევმა უწყის, ჯანაშია როდის, რამდენ ხანს ათამაშოს. ჩვენ კი ვიცით, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ზაზას უკრაინასთან და სლოვენიასთანაც ძირითადში თამაშს უპირებდა.

მსგავსი სიტუაცია საქართველოს ნაკრების რიგა-ათენში თამაშებისასაც მოხდა, ჯანაშიამ მაშინაც ფეხი აიტკია, „ლოკომოტივში" კი ითამაშა.

მაშ, ერთხელ და საბოლოოდ გავარკვიოთ, სურს ამ ბიჭს ნაკრებში თამაში?

**ქობა ინასარიძე**




СПОРТ ЭКСПРЕСС воскресенье

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 20 მარტი. თბილისი. ეროვნული. 40 000 მაყურებელი

## საქართველო 0:1 უკრაინა

0:1 კონოვალოვი (77)

## უკრაინას ვერ ვუპასუხეთ

ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების შეხვედრათა რეპორტაჟები იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

ბადრი ქეთილაძის ფოტო



გია ჩხაიძის ჩაწოდებას დროულად ვერც მიხეილ ფოცხვერია (№11) გამოეხმაურა და ვერც გიორგი დემეტრაძე

# საკონტროლო გასროლა

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი
20 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი. 40 000 მაყურებელი

## საქართველო 0:1 უკრაინა

0:1 კონოვალოვი (77)

**საქართველო**

1. გრიშიკაშვილი
3. თარხნიშვილი
4. ბალაშვილი
8. ჩხაიძე
5. წერეთელი
2. კალაძე
6. დ. ჯანაშია
7. ნემსაძე
9. კობიაშვილი
10. დემეტრაძე
11. ფოცხვერია

**უკრაინა**

10. ნაგორნიაკი
7. სკაჩენკო
8. კალიტვინცევი
6. კარდაში
5. პოპოვი
9. კოვალიოვი
11. კოვალი
3. მიკიტინი
2. კირიუხინი
4. გოლოვკო
1. ვორობიოვი

შეცვლა: დ. ჯანაშია — 15. ალექსიძე (25), ვორობიოვი — 12. შოვკოვსკი (46), გოლოვკო — 15. ვაშჩუკი (46), კარდაში — 19. გუსინი (46), კალიტვინცევი — 18. კონოვალოვი (46), ფოცხვერია — 16. აშვეთია (54), ნაგორნიაკი — 16. ციხმეისტრუკი (74), ნემსაძე — 13. გახოკიძე (75), სკაჩენკო — 14. მიზინი (80)

გაფრთხილება: ვაშჩუკი (63)

მსაჯები: ს. კაზარიანი; კ. ნალბანდიანი, გ. ოგანესიანი (ყველა სომხეთი); ლ. მიქელაძე (საქართველო)

პირველად სწორედ უკრაინელებთან მატჩისას გამოაშკარავდა განხეთქილება საქართველოს ნაკრებში.

სტატისტიკური ისტორიისთვის კიევური 0:4 ბუქარესტული 0:5-ის, ანაც იბადანური 1:5-ის ტოლფასი იყო.

საქართველოს ნაკრები ასე სხვას არავის შეურცხვენია, თვით გერმანიაშიც კი, რომელმაც თემურ ქეცბაიას გოლს ოთხით უპასუხა, მაგრამ მსოფლიო ათი წუთით მაინც გააკვირვა.

კიევში ნაკრები განადგურდა და ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. უკრაინელებთან აგვისტოს მატჩში ბევრმა თავი დაზოგა და ნაკრების მწვრთნელსა და ფეხბურთელთა შორის პირველი ბზარი აქ გაჩნდა.

უკრაინიდან უკრაინამდე დიდი დრო გავიდა — ნახევარ წელიწადზე მეტი. ამ შვიდმა თვემ ბევრი დაიტია — ალბანეთთან მოგებაც და რიგა-ათენში მარცხიც. მერე კი ნაკრების გადახალისების მცდელობა, ესტონეთთან მატჩი იყო.

გუცაევის მიერ საამხანაგოდ გამოძახებული შემადგენლობა არჩეული გზის გაგრძელების ნიშანი გახლდათ და შაბათს ნაწილობრივ ასეც მოხდა.

შაბათს ბნელოდა და ცუდად ჩანდა გუცაევი-ტაქტიკოსი. ვერ ვიტყვით, რომ იგი ცხადად ხშირად გვინახავს, მაგრამ ვერ ვნახეთ შაბათს. სამაგიეროდ, ისევე როგორც ესტონეთთან (მეტადაც), ვიხილეთ ის, რაც აქამდე ასე აკლდა ჩვენებურთა მატჩებს. ეს იყო ბრძოლა, თავგანწირული და თავდაუზოგავი, მაგრამ ერთი შეხედვით უსტრატეგიო.

ბრძოლა კი იმის საწინდარია, რომ ოდესმე, მაშინ, როცა უფრო თავიანად ვიბრძოლებთ, ჩვენც გაგვიმართლებს, ჩვენც გავიმარჯვებთ. მანამდე კი ოდენ მეტოქეთა თანადგომას უნდა დავჯერდეთ — რას ერჩი, იბრძოლესო...

უკრაინელებთან ჩვენები უფრო იბრძოდნენ, ვიდრე თამაშობდნენ. ფეხბურთი კი უპირველესად თამაშია, და უამისოდ ვერ მოიგებ, დიდი-დიდი ქულას გამოჰკრა ხელი, ეს კი ცოტაა, თუმცა ზოგჯერ ასე საჭირო.

ითქვა, საქართველოს ნაკრების ამგვარი თამაში სლოვენიელთა თავკაცის სრეჩკო კატანეცის სტუმრობამ განაპირობაო, გუცაევმა კატანეცს თამაში შეგნებულად, მოთამაშენი კი ნებსით თუ უნებლიედ დაუმალაო. ეგებ ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, ქართველებმა, კბილებს სარევანშოდ რომ ილესდნენ, უკრაინელებზე ჯავრი ვერ იყარეს. ამას, ცხადია, სხვა არაერთი მიზეზი ჰქონდა, თუმცა საქართველოს ნაკრები ფრესთან ძალიან ახლოს იყო.

ორიოდ სიტყვით ყველა ფეხბურთელზე ვთქვათ. თავდამსხმელებით დავიწყოთ.

შოთა არველაძისა თუ ზაზა ჯანაშიას არყოფნაში გიორგი დემეტრაძის ფორვარდობა სავსებით მოსალოდნელი იყო, აი, მიხეილ ფოცხვერიას კი უფრო ნახევარდაცვაში ველოდით, მაგრამ არჩილ არველაძის დაუძლურებამ გუცაევს გეგმა აურია. რაც იყო, იყო. თავდასხმელებმა (როგორც სხვებმა) გოლი ვერ გაიტანეს, მაგრამ მთლად უკბილოდ მაინც არ უთამაშიათ.

გიორგი დემეტრაძის მოუსვენრობამ უკრაინელთა დაცვას გვარიანი პრობლემები შეუქმნა და დემეს ნაკლად იმას თუ ჩავუთვლით, მეკარე ვორობიოვი ერთადერთხელ რომ შეაწუხა. ისე კი, დემეტრაძის დარი მოძრავი თავდამსხმელი ჩვენს ნაკრებს აქამდე არ ჰყოლია და გუცაევს მისი უკეთ გამოყენება მართებს. შაბათის ტაქტიკა კი, ტანდაბალი დემეტრაძე უკრაინელ ახმახებთან ჩაკიდულ ბურთებზე რომ აბრძოლეს, გაუმართლებელი იყო. ამასაც, საუკეთესო ვარიანტში, კატანეცისთვის თავგზის აბნევის მცდელობად თუ ჩამოვართმევთ გუცაევს.

მიხეილ ფოცხვერიამ 55 წუთი ითამაშა, მაგრამ ესეც საკმარისი გახლდათ, დავასკვნათ — იგი ნაკრების ძირითადში უნდა თამაშობდეს. სხვა საქმეა, სად — თავდასხმაში თუ ნახევარდაცვაში და ეს გუცაევის გადასაწყვეტია. „ცოდვა", რომელმაც თავად ფოცხვერია იმდენად შეაწუხა, რომ ორი ღლით საკუთარ ოთახში შეიკეტა, სათამაშო პრაქტიკის სიმცირეს უნდა მივაწეროთ. მიშას მეოთხე წუთზევე მართებდა გატანა, მაგრამ ისე ძალიან სურდა... ვერ შეძლო.

ფოცხვერიას შემცვლელი მიხეილ აშვეთია კი, ესტონელებს ორი გოლი რომ გაუტანა, თავის თავს არ ჰგავდა. ის, როგორც ყოველთვის, მომენტს ელოდა, მაგრამ რაკი უძალოდ ირჯებოდა, დარტყმის შანსიც არ მისცემია.

ახლა ნახევარდაცვაზეც ვთქვათ. დავიწყოთ მარჯვენაფლანგელ დავით ჯანაშიათი, რომელიც 25-ე წუთზე გამოცვალა გუცაევმა.

ვინც შაბათს ჯანაშია იხილა, „ტორპედოს" ბოლოდროინდელი წარუმატებლობა რა გაუკვირდება. უკვე მეხუთე წუთზე დათო ისეთი დაღლილი ჩანდა, დამატებითი დროის მეხუთე წუთი გეგონებოდათ. თურქულ შეკრებაზე მიღებულ ტრავმას კვალი ძალუმად დაუჩნევია. ის, რაც ჯანაშიას მეტოქისთვის უნდა ეკეთებინა, თავს თავადვე მოახვიეს.

რაც შეეხება ჯანაშიას შემცვლელ რატი ალექსიძეს, მართალია, იგი მემარცხენეა და შაბათს თავის ადგილზე არ უთამაშია, მაგრამ ფოცხვერიასავით სერიოზული განაცხადი გააკეთა ძირითადი შემადგენლობის წევრობაზე. ეს კი, ალბათ, მაშინ მოხდება, თუ ლევან კობიაშვილს უკან, დაცვაში დახევენ, ანაც ადგილს სხვაფრივ მოუცვლიან. კობიაშვილს ხომ დაცვაშიც წარმატებით შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც — ცენტრსა თუ მარცხენა ფლანგზე.

არ შეიძლება, გიორგი ნემსაძეზეც კარგი არა ვთქვათ. ფოცხვერია მეკარესთან პირისპირ სწორედ ნემსაძემ დატოვა. შაბათს გამთამაშებლად გამწესებულ ნემსაძეს ასეთი პასების მიწოდება კვლავაც მართებდა, მაგრამ ერთხანს ძველი ხელობა გაიხსენა და ართმევებში იყოჩაღა, მერე კი აღარ დასცალდა, ტრავმა მიიღო და გუცაევმაც შეცვალა, გართულებას მოერიდა.

ისე, კაპიტანი რომ ლამის ყოველ მატჩში შავდება და თანაგუნდელებს ბოლომდე ვერ კაპიტნობს, ეს, ცხადია, ძალიან ცუდია. ამას ზოგი უიღბლობას აბრალებს, ზოგი — მის მეომრულ სულს. მე კი მგონია, რომ ტრავმების სიხშირე მაინც სათანადო მოუმზადებლობის ბრალია — წელიწადია, ნემსაძე რეგულარულად ვერ თამაშობდა და ახლაღა, „რეჯანაში" დაიწყო.

რაც შეეხება, გიორგი ნემსაძის ნაცვლად მინდორზე შესულ გოგა გახოკიძეს, მას არ შეეხედებოდა. ძნელი მისახვედრი არაა, „ეინდჰოვენის" თავკაცი ბობი რობსონი რატომ არ ათამაშებს. უთამაშებლობაცაა და, ეს ერთი ჭირია, მაგრამ რასაც გოგა შაბათს ჩადიოდა, უწესობისგან არც ისე შორს იდგა. გასაგებია, რომ მას თამაში უჭირდა, მაგრამ ამხანაგურ მატჩში ბურთის ნაცვლად მეტოქის ფეხებზე ნადირობა მეტი რომ არ ვთქვათ, არაეთიკურია.

დაგვრჩა კახა კალაძე — შაბათის შემადგენლობაში ყველაზე უკეთ მომზადებული ფეხბურთელი. კალაძეს ამჯერად ადგილი მოუცვალეს, ის ცენტრალურ ან მარცხენა მცველად კი არა, საყრდენად მოგვევლინა. კახას ძვირი არ გვეთქმის, მაგრამ ნემსაძის გასვლის შემდეგ, შუაში კობიაშვილმა რომ შეიწია, ორივეს გაუჭირდა. უკრაინელები ნახევარდაცვის ცენტრში უფრო თავისუფლად ათამაშდნენ.

დაცვასაც მივადექით, იმ რგოლს, რომელიც შაბათს თითქოს ადრინდელზე უკეთ თამაშობდა და გოლშიც უცოდველი იყო, მაგრამ მთლად აწყობილად საქმე არც უკანახაზში გახლდათ.

გია ჩხაიძის თამაში ნამდვილად გაჭირვებისა იყო, თორემ მისი დაცვითი თვისებები კრიტიკას ძნელად უძლებს და ეს დიდი ხანია, ცნობილია. შეტევაში კი ჩხაიძე სისწრაფეს იშვიათად იყენებს. ტრავმაც, რომელიც მან მიიღო და რომელმაც კინაღამ თამაში მიატოვებინა, თავისივე ბრალი გახლდათ, რადგან მოედნის მარცხენა კიდეზე სიჩქარეაკრეფილი ჩხაიძე იმ თავქარიან ავტომრბოლს მოგაგონებთ, რომელიც უმალ ღერძულა (გვერდით) ხაზს გადაკვეთს, მარჯვინდან კი არასდიდებით აუქცევს გვერდს მეტოქეს. არადა, გიალო ნაკრების ამჟამინდელ წევრთაგან ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა, თუმცა ყველაზე სწორხაზოვანიც.

შაბათს ბევრი შეცდომა დაუშვა ტანმაღალმა ცენტრალურმა მცველმა მამუკა წერეთელმაც. რაც ყველაზე დასანანი და საგანგაშოა, წერეთელი პოზიციურად ცდებოდა. ეს კი ძნელი გამოსასწორებელია.

ვლადიმერ გუცაევი ნაკრების თავკაცად ახალდანიშნული იყო, რომ განაცხადა — ისრაელის და კვიპროსის დონის ჩემპიონატებიდან მოთამაშეთა გამოძახებას არ დავეშურებიო. გუცაევს რომ დიდი არჩევანი ჰქონდეს, არც გაემტყუნებოდა, მაგრამ, ეტყობა, ამ პრინციპს გადაუხვია. ლაპარაკი არაა ნაკრების ოდინდელ წევრებზე — დევაძესა და გიორგი დარასელიაზე, რომლებიც ეროვნულ გუნდს სასლოვენიოდლა შეუერთდნენ. საუბარია თარხნიშვილზე, რომელსაც გუცაევმა მოლდოვური „შერიფიდან" უხმო და ლიბეროობა დაავალა.

ვაჟა თარხნიშვილი გამოცდილია და ამ ადგილზე სათამაშოდ საკმაოდ ჭკვიანიც, მაგრამ ჯერჯერობით ნაკრების დონის მოთამაშე მაინც ვერაა. ამას ისიც მოწმობს, რომ „ლოკომოტივიდან" უცხოეთში რომ გაეშურა, არც მეტი, არც ნაკლები, მოლდოვურ კლუბში თამაში არჩია. სათამაშო თვისებებით ის იქნებ მართლაც იმსახურებდეს ნაკრების წევრობას, მაგრამ არჩევანს კი ვერაფრით მოვუწონებთ, ვერც მას და ვერც გუცაევს. მწვრთნელის და მისი შეგირდის საქციელი ბევრს წაახალისებს იმ ქვეყანაში გადასახვეწად, რომელმაც ერთ ციკლში კი შავი დღე გვაყარა ჩვენივე უნიათობით, მაგრამ მეორეში გამოჩნდა, რა შვილიცაა.

რაც შეეხება თარხნიშვილის შაბათს ნათამაშებს, წერეთლის სისუსტემ ერთი-ორჯერ ისიც შეაცდინა.

დაცვაში ყველაზე უკეთ გიორგი ბალაშვილი გამოიყურებოდა. მისი სტილი, მჭიდრო და ხისტი თამაში მეტოქესთან, ჯერჯერობით ამართლებს და დიდ ცოდვად არც ტრიბუნისკენ მოგერიებულ ბურთს ჩავუთვლი — მისი ფლანგიდან ჩვენების კარს ხიფათი არ შექმნია და მთავარი ესაა.

და მეკარე: იოსებ გრიშიკაშვილი ესტონელებთანაც კარგად იდგა და გოლამდე უკრაინასთანაც. პირველი ტაიმის ბოლოს კიდეც გადაგვარჩინა, მაგრამ კონოვალოვის საკონტროლო დარტყმას მზად ვერ დაუხვდა, იმ სიშორიდან, მოგერიება კი არა, ბურთის დაჭერაც მართებდა.

ერთი სიტყვით, ნაკრებმა იბრძოლა, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩი, ოფიციალურს კვირით რომ უსწრებდა, წააგო. ამ ბრძოლა-ბრძოლაში ნაკლიც, კონკრეტული თუ ზოგადი, ბლომად ჰქონდა. თუმცა ალდგომა და ხვალეო. აგერ ჩვენ და აგერ თქვენ. აგერ საქართველო და აგერ სლოვენია. აგერ გუცაევი და აგერ კატანეცი. ვნახოთ, ვისი აჯობებს. ვისურვოთ კი ჩვენის გამარჯვება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



დემეტრაძისდარი (№10) თავდამსხმელი ჩვენს ნაკრებს აქამდე არ ჰყოლია

### მატჩის სტენოგრამა

მე-4 წუთი. ნემსაძემ გონივრული პასით მიხეილ ფოცხვერია მოძებნა. მიშამაც სწრაფად გაარღვია უკრაინელთა დაცვა, საჯარიმოში შესულმა კი მის შესახვედრად კარიდან გამოსულ მეკარე ვორობიოვს მოარტყა ბურთი.

6. ნაგორნიაკის მახვილი კუთხიდან დარტყმული გრიშიკაშვილის კარს მცირედით ასცდა.

16. დემეტრაძემ სახიფათოდ დაარტყა ჯარიმა — ვორობიოვი ბურთს ნახტომში დაეუფლა.

28. ფოცხვერიამ დემეტრაძის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთის თავით კარში გადაგზავნა სცადა, მაგრამ ვერ მისწვდა.

38. მიკიტინ — კოვალიოვ — ნაგორნიაკის სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

39. დემეტრაძემ საჯარიმოს მისადგომებთან მარჯვენა ფლანგზე ცრუ მოძრაობით რამდენიმე უკრაინელი ჩამოიცილა, საჯარიმოში შესულს კი ძლიერად დარტყმული ვორობიოვმა აულო.

40. სერგეი სკაჩენკო ახლოდან ურტყამდა კარში, გრიშიკაშვილმა ივაჟკაცა და მომხვდურს არ გაატანინა.

47. მიხაილ ნაგორნიაკმა შორიდან უძლიერესად გაისროლა. გრიშიკაშვილი გადახტა და კუთხე დაფარა, ბურთი კი კარს ასცდა.

56. სკაჩენკომ სცადა კონოვალოვის მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთისთვის თავი დაეხვედრებინა, მაგრამ მას გრიშიკაშვილმა დაასწრო და გამოსვლაზე ნახტომში მუშტებით გააუვნებლა სიტუაცია.

63. კობიაშვილი უკრაინელთა კარისკენ დაიძრა, გზად მეურვე ჩამოიცილა, საჯარიმოს მისადგომებთან კი ვლადისლავ ვაშჩუკმა წააქცია. სომეხმა არბიტრმა დამნაშავე მხოლოდ გააფრთხილა.

73. კობიაშვილმა რეიდი წამოიწყო, ბურთი აშვეთიას გააყოლა. მიხომაც მინდვრის კიდიდან საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა, მაგრამ ქართველთაგან იქ არავინ იმყოფებოდა.

77. კონოვალოვმა, ყველასთვის მოულოდნელად, შორიდან დაარტყა, გრიშიკაშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ნახტომში თითებით კი მისწვდა ბურთს, მაგრამ... იგი ბადეში აღმოჩნდა 0:1.

81. ალექსიძემ გრძელი პასით მოძებნა დემეტრაძე. ორ მცველს შორის მოქცეულმა გიორგიმ მკერდზე მოიგდო ბურთი და მაშინვე დაარტყა, რომელიც ზემოდან გადასცდა შეცვლაზე მოთამაშე ალექსანდრ შოვკოვსკის კარს.

## მატჩის შემდეგ

***ლეონიდ ბურიაკი, უკრაინის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე:***

— კიევის „დინამომ“ სამი დღის წინ ძალიან რთული მატჩი გამართა მადრიდის „რეალთან“. ზოგიერთებმა ტრავმები მიიღეს, ზოგიერთებმა კი ვერ შეძლეს ძალების აღდგენა. დინამოელები ხომ ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ და ამიტომაც ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოვიყვანეთ. რეპეტიციამ გაამართლა. მოედანზე სუფთად კაცური ბრძოლა ვიხილეთ. ეს შეხვედრა ორივე გუნდს უდავოდ წაადგება და პრინციპული შეხვედრებისთვის სწორი დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება. ვიცი, რომ შემადგენლობის მხრივ თქვენც გქონდათ პრობლემები და რამდენიმე ძირითადის წევრი გაკლდათ. საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენცია აქვს. გამოვყოფდი მეათე ნომრით მოთამაშეს (დემეტრაძე) და კახა კალაძეს. თავად შეხვედრა სიხისტის ზღვარზე წარიმართა, თუმც სერიოზულ უხეშობებს ადგილი არ ჰქონია და, საბედნიეროდ, არც ტრავმირებულები გვყავს. მეორე ტაიმში ბევრი ახალი ფეხბურთელი შევუშვით მოედანზე. ეს ყველაფერი წინასწარ გვქონდა დაგეგმილი. შევჩენკო და ლუჟნი ვარჯიშზე მცირე ტრავმებმა შეაწუხეს და მათი მინდორზე გაშვება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

ამ მატჩმა წარსულიც გამახსენა. კარგად მახსოვს ის დრო, როცა ეს სტადიონი აშენდა. სსრკ-ს ჩემპიონატებზე აქ მრავალჯერ მითამაშია. უამრავ მეგობარს შევხვდი. ძველი დრო გავიხსენეთ. საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ნიჭიერი ფეხბურთელები, ცნობილი იყო ამ მხრივ. თუმცა მოთმინება უნდა ვიქონიოთ. ცხოვრებაში სწრაფად არაფერი ხდება. ეკონომიკური მდგომარეობა ფეხბურთზე ძალიან მოქმედებს. იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ ყოველივე გაუმჯობესდება და მომავალი შედეგებიც შესაფერისი გექნებათ.

***ვლადიმერ გუცაევი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:***

ამხანაგური შეხვედრა ყოველთვის განსხვავდება ოფიციალურისგან. ის ახალგაზრდები, რომლებიც ძირითადში დავაყენეთ, ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ რომ ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. უკრაინის ნაკრებში ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ირჯებიან, ჩვენი გუნდის ძირითად ბირთვს კი ლეგიონერები წარმოადგენენ და ამ მხრივ პრობლემები გვქონდა. ეს შეხვედრა რომ უეფას მიერ დაწესებულ ვადებში გამართულიყო, მაშინ ადვილად მოვახერხებდით ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას. თუმცა სლოვენიასთან აუცილებლად დაგვემატებიან ჯამარაული, შოთა არველაძე, დევაძე, გიორგი დარასელია, ზაზა ჯანაშია და არჩევანის მეტი საშუალება გვექნება. კლუბები მათ უარს ველარ ეტყვიან ნაკრებში წასვლაზე. არჩილ არველაძეს ტემპერატურამ აუწია და იმიტომ გამოგვაკლდა. ქინქლაძე კი, უბრალოდ, მზად არ არის. უკრაინელებთან მატჩმა ბევრი რამ დაგვანახა. რამდენიმე ფეხბურთელმა ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. შეთამაშების მხრივ უცილოდ კარგი რეპეტიცია იყო. რაც ხშირი იქნება ასეთი შეხვედრები, მით უკეთესი.

***მიხეილ ფოცხვერია, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი:***

— დასანანია, რომ წავაგეთ. მეტოქეს ვჯობდით კიდეც, მაგრამ არ გაგვიმართლა. მარცხის მთავარი მიზეზი სწორედ უიღბლობა მგონია. დებიუტშივე ორი ძალიან კარგი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. იმედია, სლოვენიასთან იღბალი ზურგს აღარ შეგვაქცევს.

***კახა კალაძე, საქართველოს ნაკრების მცველი:***

— მართალია დავმარცხდით, მაგრამ, ვფიქრობ, არც ისე ცუდად ვითამაშეთ. გულშემატკივარი, ბუნებრივია, უკმაყოფილო დარჩებოდა, მაგრამ ვეცდებით, ქომაგებს ხასიათი სლოვენიასთან გამოვუკეთოთ. წაგება იმის ბრალიცაა, რომ ამ შემადგენლობით პირველად გამოვედით და შეუთამაშებლები ვიყავით. ახლა მწვრთნელებთან ერთად დავსხდებით და ამ მატჩიდან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ. ეს მაინც ამხანაგური შეხვედრა იყო, სლოვენიასთან კი იგივე შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს.

***გიორგი ნემსაძე, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი:***

— ახალი შეკრებილები ვართ. დღეს მინდორზე მყოფთაგან უმრავლესობა ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. სეზონიც ახალი დაწყებულია და ბიჭები ჯერ ვერ არიან სათანადო ფორმაში. ახლა სლოვენიასთან უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და იქ ყველაფერი უნდა გავილოთ, რათა გავიმარჯვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი შრომა წყალში ჩაგვეყრება.

***სერგეი სკაჩენკო, უკრაინის ნაკრების თავდამსხმელი:***

— ამ მოგებით ფრანგებთან შეხვედრის წინ ნაკრებმა საგრძნობლად აიმაღლა განწყობილება. ნუ მიწყენთ და უკრაინის ნაკრები დღეისთვის სჯობნის თქვენს გუნდს. ვიცი, ბევრი წამყვანი მოთამაშე გაკლიათ, თუმც ფაქტია, ჩვენც იგივე სიტუაციაში ვიყავით. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, საგრძნობი ორმხრივი შეცდომები იყო, თუმც ამის ფონზე ჩვენ უფრო უკეთ გამოვიყურებოდით, რაც საბოლოოდ შედეგშიც აისახა.

***გიორგი დემეტრაძე, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი:***

— ვიბრძოლეთ, ბევრი ხელსაყრელი მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ბოლოს კი ფიზიკური შესაძლებლობებით აშკარად ჩამოვრჩით მეტოქეს და შეხვედრაც წავაგეთ. შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. პარტნიორთაგან ვერავის გამოვყოფდი, ყველამ რაც შეეძლო, ის გააკეთა. რაც შეეხება გუნდს, ვფიქრობ, ამ პოტენციალით სლოვენიელებთან არ უნდა გაგვიჭირდეს, მით უმეტეს, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვემატება.

***ლევან კობიაშვილი, საქართველოს ნაკრების მცველი:***

— ჩემი აზრით, ფრე ამ თამაშის ლოგიკური შედეგი იქნებოდა. არ უნდა წაგვეგო, მაგრამ ამისგან ტრაგედიაც არ უნდა შევქმნათ, წინ ხომ მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის სლოვენიელებთან. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ გუნდმა საერთო ჯამში მონდომებით ითამაშა. ცოტა მსაჯსაც რომ კეთილი თვალით შემოეხედა...

***გიორგი ქინქლაძე, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი:***

— როგორც იცით, თვენახევარი თითქმის არ მითამაშია. თბილისში დაბრუნების შემდეგ ვესაუბრე ვლადიმერ გუცაევს და გადავწყვიტეთ, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მივიღებდი.

**— თანაგუნდელების გარჯას როგორ შეაფასებდი?**

— ჩვენებმა იბრძოლეს. ნორმალური თამაში იყო. ერთიც არის, როცა ამხანაგური შეხვედრა ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის წინ გიწევს, გარკვეულწილად ძალებიც უნდა დაზოგო და პრინციპში, ასეც მოხდა.

**— როგორ ფიქრობ, ამ შესაძლებლობებით რა შედეგის მიღწევა შეიძლება სლოვენიელებთან?**

— ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვაჩვენოთ. მეტი მონდომება გვმართებს და შედეგიც ნორმალური იქნება, თუ თითოეული ფეხბურთელი სლოვენიელებთან მატჩში თავის შესაძლებლობებს სრულად გამოამჟღავნებს, მაშინ მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**ხვიჩა სანიძიძე**
**პაატა კვანტალიანი**
**ვანო ოქროპირიძე**



გურამ ცეცხლაძის ფოტო

კობა წიტაიშვილი (№10) უკრაინელებთან საუკეთესო იყო

# სახეზე გატყობთ კმაყოფილებას...

თბილისი
20 მარტი
16 საათი
შევარდენი
6 000 (ტევადობა 10 000)

**საქართველო 1:0 უკრაინა**

ახალგაზრდულები

1:0 წიტაიშვილი (55)

**საქართველო:** ჭურაძე (გაბელია 65), რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, ა. სახვაძე (ჩომახიძე 46), ზ. გვაზავა (კვარაცხელია 46), მახვილაძე (დ. მუჯირი 46), დათვაძე (მეგრელაძე 46), წიტაიშვილი (ნინუა 89), ჩხეტიანი (გემეზაშვილი 46), გ. შენგელია (ვ. დარასელია 46)

*სათადარიგო:* რუხაძე

**უკრაინა:** ოსტაპენკო (პერხუნი 67), პერშინი, ტიმოშჩუკი (სიზონი 61), ბალიცკი, მიტროფანოვი, პლატონოვი (გოლოვკო 46), ოლეინიკი (დაცენკო 46), კრიპაკი (ვორობეი 46), ზუბოვი (გაპონი 76), კოსტიშინი (ჩერნიაკი 46), ვენგლინსკი (დრანოვი 46)

**გაფრთხილება:** პერშინი (9), ტიმოშჩუკი (21), დაცენკო (59), დავითნიძე (79)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, ზ. დოლიძე; მ. ელიკაშვილი (ყველა საქართველო)

**კომისარი:** მ. მიმინოშვილი

**მამუკა კვანტალიანი**

— **მწვრთნელის** ყველა მითითების შესრულება ცოტა ძნელიც არის, მით უმეტეს მაშინ, როცა მოსამზადებლად ასე მცირე დრო გვქონდა. კი, მართალია, ერთი-ორი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ჩვენების მოქმედებით საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ. ყველა იმას ცდილობდა, ჩემი დავალება მაქსიმალურად შეესრულებინა.

ეს სიტყვები საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გიგლა იმნაძემ თამაშის შემდეგ წარმოთქვა. ნაკრების თავკაცი გამარჯვების სიხარულით ტკბებოდა. იმნაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ მომავალ კვირამდე არავინ გაასამართლებდა.

მწვრთნელს მართლა მცირე დრო ჰქონდა მოსამზადებლად, მაგრამ, მიუხედავად გამარჯვებისა, საფიქრალ-სადარდებელიც ბევრი დაგროვილა. პირველ ტაიმში ჩვენი ბიჭების ბურთაობა არ იყო შთამბეჭდავი. შეცდომებით მოთამაშე დაცვა და არაორგანიზებული ნახევარდაცვა ყოველ წუთს შეიძლებოდა გარღვეულიყო. საწყის ორმოცდახუთ წუთში ჩვენებურთაგან მხოლოდ სამ ფეხბურთელს გამოვარჩევდით — მეკარე ჭურაძეს, ლიბერო ჭანკოტაძეს და თავდამსხმელ წიტაიშვილს.

სერგომ ქართველ მეკარეთათვის დამახასიათებელი ემოციურობის ძლევით გაგვაკვირვა. უშეცდომოდ მოთამაშე სრულიად მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა.

გიორგი დაცვის ყველა შეცდომას ასწორებდა, თამაშის ორგანიზაცია სწორედ მისგან იწყებოდა.

უკრაინელებს რომ ვძლიეთ, კობას დამსახურებაა. მას ამდენი, ალბათ, არც არასდროს უშრომია. წინ ხომ სახიფათო და მოუხელთებელი იყო, უკანახაზელებსაც ნაყოფიერად მიეხმარა. პირველი ტაიმის ერთადერთი რეალური საგოლე მომენტიც წიტაიშვილის აბრაგანს მოჰყვა.

უკრაინის ახალგაზრდული გუნდი სუსტი არ არის, მაგრამ არც უსაშველოდ ძლიერია. მათ ვერც კიევში დაგვჯაბნეს და სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე თბილისს ნასტუმრებნი რომ დიდ პრობლემებს ვერ შეგვიქმნიდნენ, ფაქტი იყო. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია გაუმართლებლად შიშნარევი ტაქტიკით თამაში. წინ მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ბურთაობამ ჩვენთვის ნაყოფი ვერ გამოიღო.

მდგომარეობა შედარებით მეორე ტაიმში გამოსწორდა. იმნაძემ ერთბაშად 6 ახალი ფეხბურთელით განაახლა თამაში. წიტაიშვილს მეგრელაძე შეუწყვილა და სახიფათო მომენტებმაც იმატა სტუმართა კართან. მეგრელაძე დატრიალდა მარჯვენა ფლანგზე, ორი მცველი დაჩაგრა და წიტაიშვილმაც არ დააყოვნა. ოსტაპენკომ დარტყმულზე რეაქცია ვერ მოასწრო. ხელები მხოლოდ ჰაერში გაასავსავა.

თუ სტუმრებმა პირველ ტაიმში ერთი საგოლე მომენტი მაინც შექმნეს, მეორეში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს. საიმედო იყო ქართველთა დაცვა, ოღონდ დავითნიძეს მოუწევს შედარებით ფრთხილად თამაში. მეტოქის ხისტი მეურვეობა სასურველი და მისასალმებელია, მაგრამ უხეშობაში არ უნდა გადაიზარდოს. ოფიციალური მატჩისას მსაჯი ამგვარ ქმედებებს არ გვაპატიებს.

გოლის შემდეგ ჩვენებმა მწვრთნელის მითითებით კვლავ დათმეს პოზიციები. ისევ ერთი თავდამსხმელი, ისევ კონტრიერიშები. შევქმენით კიდეც ხიფათი სტუმართა კართან, ვიტალი დარასელიამ სტუმართა საჯარიმოში სანახაობა მოაწყო, მაგრამ ჩვენი თავდამსხმელების არყოფნამ ყველაფერი ჩაშალა.

— უკარინელები ძალიან ძლიერნი, ამასთან ერთობ სწრაფები და კონტრშეტევებზე ორიენტირებულნი არიან. ჩვენი მიზანი დაცვაში სიზუსტე და მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერა იყო. ამიტომ მეორე ტაიმი ორი თავდამსხმელით დავიწყეთ. ეს მიზნის მიღწევას უფრო გაგვიიოლებდა. როგორც კი გოლი გავიტანეთ, მეგრელაძე მაშინვე უკან დავხიეთ და წინ კვლავ წიტაიშვილი დავტოვეთ.

ეს სიტყვებიც იმნაძისეულია. მწვრთნელის ჩანაფიქრმა შაბათს გაამართლა, მოვიგეთ, ფაქტია, მაგრამ სლოვენია უფრო სწრაფი, ხისტი და კონტრიერიშების მოყვარულია. ასეთი ფიზიკური მომზადებით და სუსტი გამძლეობით არა გვგონია, ფონს იოლად გავიდეთ. ჯერ გოლს უნდა გატანა, მერე მონაპოვარს შენარჩუნება. იმნაძემ შაბათს ორი განსხვავებული შემადგენლობა ათამაშა. სრული ძალით კი ტაიმების ოცი წუთი თუ იბურთავეს ჩვენმა ბიჭებმა. არ შეიძლება, მწვრთნელს ეს საკითხი არ აღელვებდეს. სლოვენიასთან ხომ მხოლოდ სამი შეცვლის უფლება ექნება.

მიუხედავად ყველაფრისა, ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელს იმედი აქვს, რომ სლოვენიას წააქცევს.

— უკარინასთან თამაშმა დამარწმუნა, თუ მოვინდომებთ, არც მათი ძლევა გაგვიჭირდება. მთავარია, ბიჭებიც სერიოზულად მოეკიდონ საქმეს და ყველაფერი კარგად იქნება.

ისე მონდომება და სერიოზულობა საწუწუნოდ არ უნდა ჰქონდეს მწვრთნელს. ახალგაზრდული ნაკრები რომ ხვალინდელი ქართული ფეხბურთია, თუ ეს ნაკრების წევრებს აქამდე არ გაუსიგრძეგანებიათ, მაშინ ყველაფერს ფუჭად ჩაუვლია და ეგაა.

მანამდე კი იმნაძეს და მის გუნდს გენერალური რეპეტიცია გამოუვიდათ. უფრო სწორად, შედეგი იყო დამაკმაყოფილებელი. დაველოდოთ უფრო მობილურ და ლაღ თამაშს.

## მატჩის სტენოგრამა

4. გიორგი შენგელიას პასით საჯარიმოში შესული კობა წიტაიშვილი მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მეკარე ოსტაპენკო გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაეუფლა ბურთს.
9. ჩხეტიანის ჯარიმიდან ჩაწოდებულს მცველმა დავითნიძემ თავი შეაგება, ბურთი ზემოდან გადასცდა სტუმართა კარს.
14. შენგელიამ მარჯვენა ფლანგიდან წიტაიშვილს მიაწოდა, კობა მოტრიალდა თუ არა, წამსვე აბრაგანი დაურტყა მეკარეს. რიკოშეტით მცველის მიერ ასხლეტილი ბურთი ხარიხას ზემოდან დაეცა.
26. რუსლან კოსტიშინმა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მყოფი ვალენტინ პლატონოვი მოძებნა, ამასაც გოლის გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა, მაგრამ მეკარე ჭურაძესთან პირისპირ დარჩენილმა ნახევარმცველმა ათიოდე მეტრიდან ბურთი გარის მაგივრად ზეცაში გაგზავნა.
32. მიტროფანოვი ბურთს უკან, მცველს უბრუნებდა, წიტაიშვილმა პასი ჩაჭრა, საჯარიმოში შესულმა მახვილი კუთხისკენ გაიწია და დაარტყა. უხეიროდ დარტყმულს ოლეგ ოსტაპენკო იოლად დაეუფლა.
55. შეცვლაზე შესულმა გია მეგრელაძემ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, იქვე ჩომახიძეს გაუთამაშა და საჯარიმოში შესულმა უმეთვალყურეოდ მყოფი კობა წიტაიშვილი მონახა. ამანაც დარტყმა არ დააყოვნა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, გამარჯვების გოლით დაალონა ოსტაპენკო 1:0.
60. ზუბოვის შორიდან გასროლილი ქართველთა მეკარე სერგო ჭურაძემ ადგილზე გააქვავა.
68. წიტაიშვილმა შოთა ჩომახიძე მოედანზე ახალშესულ მეკარე პერხუნს პირისპირ შეატოვა, მაგრამ უკრაინელმა მცველთა დახმარებით განმუხტა სიტუაცია.
84. მუჯირის პასით კობა წიტაიშვილი ერთ მეურვეს გასცდა და წამსვე ძლიერად დაარტყა, პერხუნმა აკრობატულ ნახტომში ბურთი კუთხურზე გადააგდო.
85. ვიტალი დარასელიამ მარჯვენა ფლანგზე გაიბრწყინა, ერთბაშად სამ უკრაინელს ტექნიკის გაკვეთილი ჩაუტარა, მაგრამ საჯარიმოში შესულმა სუსტად დაარტყა.

## ინგლისი

### XXX ტური

**ასტონ ვილა 0:3 ჩელსი**

0:1 ფლო (59), 0:2 გოლდბეკი (86), 0:3 ფლო (90)
ასტონ ვილა: ბოსნიჩი, უოტსონი, საუთგეიტი, ბერი, რაიტი, სტოუნი, ჰენდრი (ტეილორი 83), შიმეცა, ტომპსონი, კოლიმორი (ჯოაკიმი 74), დაბლინი (მერსონი 74)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლე სო, დესაი, ლებეფი, პეტრესკუ (ლამბურდი 79), გოლდბეკი, უაიზი, მორისი, ფლო (ნიქოლზი 90), ძოლა
გაფრთხილება: ტომპსონი, ფერერი, დესაი, უაიზი
მსაჯი: ბარბერი

**მანჩესტერი 3:1 ევერტონი**

1:0 სოლსკიაერი (54), 2:0 გ. ნევილი (63), 3:0 ბექემი (67), 3:1 ჰაჩისონი (80)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ.ნევილი, ბერგი, სტამი, ფ. ნევილი, ბექემი (გრინინგი 71), ბათი, იონსენი, კოული (შერინგემი 71), იორკი, სოლსკიაერი (კერტისი 90)
ევერტონი: მირე, ოკეინი (ჯეფერსი 60), შორტი, მატერაცი, ბოლი, უეირი, გრანტი (დენი 64), ანსუორსი, დაკურტი, ჰაჩისონი, ბაკაიოკო (კადამარტერი 5)
გაფრთხილება: უეირი, ჰაჩისონი, დაკურტი
მსაჯი: რილი

**არსენალი 2:0 ქოვენთრი**

0:1 პარლოუ (16), 2:0 ოვერმარსი (80)
არსენალი: სიმენი, დიქსონი (ლიუნგბერგი 29), ადამსი, კიოუნი, ვინტერბერნი, პარლოუ, პეტი, ვიეირა, ოვერმარსი (დიავარა 84), ბერხკამპი, ანელკა (კანუ 77)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი (ედვორსი 69), შოუ, კონჯიჩი, ბაროუზი, ქუინი, ტელფერი, მაკალისტერი, სოლტვედტი (ჯიაჩინო 77), ფროგატი, ჰაკერბი
გაფრთხილება: ვინტერბერნი, ტელფერი, კონჯიჩი
მსაჯი: ელკოკი

**ბლექბერნი 3:1 უიმბლდონი**

1:0 უორდი (7), 2:0, 3:0 იანსენი (18,26), 3:1 იუელი (65)
ბლექბერნი: ფილანი, დევიდსონი, პიკოკი, ენჩოსი, სატონი, უილკოქსი (გილესპი 81), მარკოლინი, ჯონსონი (ტეილორი 81), უორდი, იანსენი (დაფი 56), მაკატირი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, გეილი, ერდლი (კ. ჰიუზი 45), მ. ჰიუზი, იუელი, ჰართსონი (ეკოკუ 45)
გაფრთხილება: დევიდსონი, თეთჩერი, ეკოკუ
მსაჯი: უილარდი

# ლიდერები, ფსევდოლიდერები და ოქროს ბიჭი

**ლიდსი 4:1 დერბი**

0:1 ბაიანო (4 პ), 1:1 ბოუიერი (18), 2:1 ჰასელბაინკი (32), 3:1 კორსტენი (45), 4:1 ჰარტი (85)
ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ჰოპკინი, ბოუიერი, მაკფეილი, კორსტენი (ჯონსი 88), ჰასელბაინკი, კიუელი
დერბი: პოომი, პრაიორი, კარბონარი, შტიმაცი (ელიოტი 41), ბორბოკისი, ბოჰინენი (ლონდერსი 78), პაუელი, ლაურსენი, ბაიანო (კრისტი 46), ჰარპერი, ბარტონი
გაფრთხილება: ჰაალანდი, ჰოპკინი, ბაიანო, პრაიორი
მსაჯი: რიდი

**ნოტინგემი 1:2 მიდლსბრო**

0:1 რიკარდი (30), 1:1 ფრიდმანი (37), 1:2 დინი (87)
ნოტინგემი: კროსლი, ლუი-ჟანი, როჯერსი, ჩეტლი, შიპერლი, ბარტ-უილიამსი (ბონალაირი 74), ედვარდსი, პალმერი, ფრიდმანი (ჰერვუდი 45), ვან ჰოიდონკი, მეტსონი (პორფირიო 87)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, მასტო, კუპერი, მედისონი, თაუნსენდი, რიკარდი (ბეკი 59 (არმსტრონგი 87), დინი, სტოკდეილი
გაფრთხილება: ლუი-ჟანი, როჯერსი, ბარტ-უილიამსი, პალმერი, მასტო, ვიკერსი, დინი, ფესტა
მსაჯი: დანი

**საუთჰემპტონი 1:0 შეფილდი**

1:0 ლე ტისიე (41)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, მონკუ, ლუნდეკვამი, კოლეტერი (ბენალი 83), ლე ტისიე, მერსდენი, ოუკლი (ბიტი 63), კეჩლოული, ჰიუზი, ოსტენსტადი
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, ტომი, უოქერი, ჰინჩკლიფი (სტეფანოვიჩი 21), სონერი, ალექსანდერსონი, იონკი (ჰემფრიზი 85), რუდი, კარბონე, ბუსი
გაფრთხილება: ლე ტისიე, მერსდენი, ბუსი
მსაჯი: ჰარისი

**ვესტ ჰემი 2:0 ნიუკასლი**

1:0 დი კანიო (17), 2:0 კიტსონი (82)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, ფერდინანდი, რადოკი, სინკლერი, ლამპარდი, ფოე, ლომასი, მინტო, დი კანიო, კიტსონი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, შარვე, დომი, სოლანო, მარიჩი (ძეცბაია 58), სპიდი, გეორგიადისი (ლი 59), საჰა, შირერი
გაფრთხილება: ფოე, რადოკი
მსაჯი: დარკინი



ასტონ ვილა — ჩელსი 0:3. ლონდონელ გოლდბეკს ბოსნიჩის კარში მეორე გოლი გააქვს

REUTERS ბირმინგემიდან

„ნიუკასლმა“ მორიგი წარუმატებელი სერია წამოიწყო. წინა ტურში „მანჩესტერთან“ დამარცხებულმა გულიტის ბიჭებმა იმავე ტურში „ჩელსის“ მომგებ „ვესტ ჰემთან“ წააგეს. ლონდონელებმა აშკარად აჯობეს მეტოქეს და საერთოდ, ბოლო ხანებში ჰარი რედნაპის გუნდი მშვენივრად გამოიყურება. შედეგმაც არ დააყოვნა. „ჩაქუჩებმა“ მე-5, ევროტურნირებზე გამსვლელ ადგილზე მყარად მოიკიდეს ფეხი.

რაც შეეხება „ნიუკასლს“, მისი წარუმატებლობების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ალბათ, ალან შირერია. რა ხანია, ინგლისის ნაკრების კაპიტანს გოლი არ გაუტანია. გოლი კი არა, სახიფათო მომენტსაც ველარ ქმნის. ჰოდა, როდესაც ლიდერი ასეთ შავ დღეშია, მთლიანად გუნდის კარგ თამაშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ერთი სიტყვით, რუდ გულიტმა სასწრაფოდ უნდა გადაჭრას ეს არცთუ იოლად გადასაჭრელი პრობლემა, თორემ „ნიუკასლი“ კვლავ უახლოვდება ზონას, საიდანაც კლუბები პრემიერლიგას ემშვიდობებიან.

იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდში ლიდერის და არა ფსევდოლიდერის ყოფნას, თითქმის ყოველ მატჩში გვიმტკიცებს „მანჩესტერ იუნაიტედი“. მიმდინარე სეზონში ამ ფუნქციას ძირითადად ორი ფეხბურთელი ასრულებს: დუაიტ იორკი და დევიდ ბექემი. არა აქვს მნიშვნელობა, სად თამაშობენ ფერგიუსონის შეგირდები, შინ თუ სტუმრად, პრემიერლიგაში, თასზე თუ ჩემპიონთა ლიგაში. ეს ორი მოთამაშე სულ მოწოდების სიმაღლეზეა და გუნდიც გარკვეულწილად ამიტომ გამოდის შესანიშნავად.

დღეისთვის „მანჩესტერს“ 19 მატჩი აქვს დაუმარცხებლად ჩატარებული. ბოლო ტურში მას დიდი ისტორიის, საშინელი აწმყოს და, ალბათ, უარესი მომავლის მქონე „ევერტონი“ ემსხვერპლა. კვლავ დიდებულად იბურთავეს ზემოხსენებულმა იორკმა და ბექემმა. მართალია, ტრინიდადელ ფორვარდს ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ ოლე გუნარ სოლსკიაერმა და გარი ნევილმა სწორედ მისი პასების შემდეგ გაახარეს 55-ათასიანი ოლდტრეფორდული ფანობა. მესამე ბურთი ტომას მირეს ბექემმა შეუგდო. რა თქმა უნდა, ჯარიმიდან, რასაკვირველია ლამაზად. ეს ბოლო 25 პრემიერლიგურ შეხვედრაში მომხიბვლელი ვიქტორია ადამსის თანამეცხედრის პირველი გოლი გახლდათ.

ერთადერთი, რაც საგრძნობლად დაბალი კლასის ლივერპულელებმა მოახერხეს, მატჩის მიწურულს დონ ჰაჩისონის ჯარიმიდან გატანილი გოლი გახლდათ, რომელიც ბექემისა არ იყოს, საკმაოდ ლამაზი გამოდგა.

ამგვარად, „იუნაიტედმა“ მორიგი სამი ქულა მიითვალა და კვლავ ძველი სხვაობით, ოთხი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „არსენალს“. ლონდონელებმა თავის მხრივ ასევე აუტსაიდერ „ქოვენთრის“ უმასპინძლეს და „ჰაიბერიზე“ თავმოყრილ პუბლიკას მორიგი სასიამოვნო საღამო აჩუქეს.

ჩემპიონმა თავის უდიდესი უპირატესობა მხოლოდ ორ გოლში გამოხატა, თუმცა გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო. მორიგი ბურთი შეაგდო ვეტერანმა რეი პარლოუმ. მან თუ ასე გააგრძელა, მალე შეიძლება ნიკოლა ანელკას გადაასწროს და მიმდინარე სეზონში კლუბის ბომბარდირი გახდეს. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი ჰოლანდიელმა გარემარბმა მარკ ოვერმარსმა „არსენალის“ გამარჯვებას უფრო სოლიდური ელფერი შესძინა, თორემ „ქოვენთრი“ რომ გოლის გამტანი არ იყო, კოჭებშივე ეტყობოდა.

ზუსტად იგივე ეტყობოდა „ასტონ ვილას“, რომელმაც კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი საქვეყნოდ. კი, ბირმინგემელები „ჩელსის“ თანავარსკვლავედთან დამარცხდნენ, მაგრამ 0:3-ს და ასეთ უსუსურობას ჯონ გრეგორის გაუბედურებული მოწაფეებისგან, ალბათ, ცოტა თუ ელოდა.

სამაგიეროდ, დიდებულად ითამაშეს ლონდონელებმა. პირველ რიგში კი (კარგი იქნება თუ ამას საქართველოს ნაკრების თავკაცობაც მიაქცევს ყურადღებას) ეს ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს ეხება. ცოტა ხნის წინ ტრავმამოშუშებული ტანწერწეტა სკანდინაველი ვიალიმ სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და მანაც სრულიად გაამართლა გაცემული ავანსები. კომუნისტური ლექსიკონი რომ მოვიშველიოთ — ფლომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ჯერ იყო და ანგარიში გახსნა. მერე დანიელ თანაგუნდელ ბიარნე გოლდბეკს გაატანინა, ოთხ წუთში კი კიდევ ერთი დააყოლა და ინგლისურ მასმედიასაც ათქმევინა, ტურის „ოქროს ბიჭი“ შენ ხარო.

ამ მატჩზე საუბარი სტატისტიკით დავასრულოთ — „ასტონ ვილამ“ შინ ზედიზედ ხუთი თამაში წააგო, ბოლო რვა შეხვედრაში კი ერთი კინკილა ქულის მოპოვება შეძლო.

სტატისტიკითვე დავიწყოთ შემდეგ მატჩზე საუბარი, რომელშიც „ელან როუდზე“ „ლიდსმა“ ერთ-ერთ კონკურენტ „დერბი ქაუნთის“ უმასპინძლა და, რბილად რომ ვთქვათ, დამაჯერებლად გაიმარჯვა. ეს ლიდსელებისთვის ზედიზედ მე-6 მოგებული შეხვედრა გახლდათ. გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია და სავსებით რეალური შანსი აქვს, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ამოყოს თავი.

ბევრი საინტერესო მოხდა ცხრილის საპირისპირო ნაწილში. ფაქტობრივად გადაწყდა „ნოტინგემ ფორესტის“ ბედი — რონ ატკინსონის გუნდი ცალი ფეხით პირველ დივიზიონშია. ნოტინგემელთა მძლეველი „მიდლსბრო“ კი საბოლოოდ მოსწყდა არასასიამოვნო კომპანიას.

ორმა აუტსაიდერმა ცოტათი ამოისუნთქა. „საუთჰემპტონმა“ შინ შუაცხრილელ „შეფილდს“ მოუგო მოხუცი მეტიუ ლე ტისიეს ერთადერთი გოლის წყალობით, ხოლო ბრაიან კიდის „ბლექბერნმა“ მოულოდნელად იოლად სძლია ევროპაში გასაღწევად მებრძოლ „უიმბლდონს“.

**დავით ძოვზირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 30 | 18 | 9 | 3 | 68:30 | +38 | 63 | 16 | 11 | 4 | 1 | 38:15 | +23 | 37 | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | +15 | 26 |
| 2 | არსენალი | 30 | 16 | 11 | 3 | 42:13 | +29 | 59 | 15 | 10 | 5 | 0 | 26:4 | +22 | 35 | 15 | 6 | 6 | 3 | 16:9 | +7 | 24 |
| 3 | ჩელსი | 29 | 15 | 11 | 3 | 44:23 | +21 | 56 | 15 | 9 | 5 | 1 | 21:9 | +12 | 32 | 14 | 6 | 6 | 2 | 23:14 | +9 | 24 |
| 4 | ლიდსი | 30 | 15 | 9 | 6 | 49:27 | +22 | 54 | 15 | 10 | 3 | 2 | 27:7 | +20 | 33 | 15 | 5 | 6 | 4 | 22:20 | +2 | 21 |
| 5 | ვესტ ჰემი | 30 | 13 | 7 | 10 | 34:39 | -5 | 46 | 15 | 9 | 3 | 3 | 22:19 | +3 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 12:20 | -8 | 16 |
| 6 | ასტონ ვილა | 30 | 12 | 8 | 10 | 39:37 | +2 | 44 | 15 | 8 | 2 | 5 | 25:24 | +1 | 26 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:13 | +1 | 18 |
| 7 | დერბი | 30 | 11 | 11 | 8 | 32:32 | 0 | 44 | 15 | 7 | 5 | 3 | 18:15 | +3 | 26 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | -3 | 18 |
| 8 | უიმბლდონი | 30 | 10 | 10 | 10 | 34:44 | -10 | 40 | 15 | 7 | 5 | 3 | 19:15 | +4 | 26 | 15 | 3 | 5 | 7 | 15:29 | -14 | 14 |
| 9 | ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 52:37 | +15 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 33:16 | +17 | 25 | 15 | 4 | 2 | 9 | 19:21 | -2 | 14 |
| 10 | ტოტენჰემი | 29 | 9 | 12 | 8 | 34:34 | 0 | 39 | 15 | 7 | 6 | 2 | 24:17 | +7 | 27 | 14 | 2 | 6 | 6 | 10:17 | -7 | 12 |
| 11 | მიდლსბრო | 29 | 9 | 12 | 8 | 39:40 | -1 | 39 | 14 | 5 | 8 | 1 | 19:10 | +9 | 23 | 15 | 4 | 4 | 7 | 20:30 | -10 | 16 |
| 12 | ნიუკასლი | 30 | 10 | 8 | 12 | 38:41 | -3 | 38 | 15 | 7 | 3 | 5 | 22:19 | +3 | 24 | 15 | 3 | 5 | 7 | 16:22 | -6 | 14 |
| 13 | შეფილდი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:33 | +2 | 35 | 15 | 6 | 3 | 6 | 17:12 | +5 | 21 | 15 | 4 | 2 | 9 | 18:21 | -3 | 14 |
| 14 | ლესტერი | 28 | 8 | 10 | 10 | 28:37 | -9 | 34 | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | -2 | 19 | 14 | 3 | 6 | 5 | 9:16 | -7 | 15 |
| 15 | ქოვენთრი | 30 | 8 | 7 | 15 | 31:42 | -11 | 31 | 15 | 6 | 5 | 4 | 20:16 | +4 | 23 | 15 | 2 | 2 | 11 | 11:26 | -15 | 8 |
| 16 | ევერტონი | 30 | 7 | 10 | 13 | 22:35 | -13 | 31 | 15 | 3 | 8 | 4 | 9:9 | 0 | 17 | 15 | 4 | 2 | 9 | 13:26 | -13 | 14 |
| 17 | ბლექბერნი | 30 | 7 | 9 | 14 | 32:42 | -10 | 30 | 15 | 6 | 3 | 6 | 19:19 | 0 | 21 | 15 | 1 | 6 | 8 | 13:23 | -10 | 9 |
| 18 | საუთჰემპტონი | 30 | 8 | 5 | 17 | 28:56 | -28 | 29 | 15 | 7 | 2 | 6 | 22:22 | 0 | 23 | 15 | 1 | 3 | 11 | 6:34 | -28 | 6 |
| 19 | ჩარლტონი | 29 | 6 | 10 | 13 | 33:40 | -7 | 28 | 14 | 4 | 5 | 5 | 18:13 | +5 | 17 | 15 | 2 | 5 | 8 | 15:27 | -12 | 11 |
| 20 | ნოტინგემი | 30 | 4 | 8 | 18 | 27:59 | -32 | 20 | 15 | 1 | 6 | 8 | 13:28 | -15 | 9 | 15 | 3 | 2 | 10 | 14:31 | -17 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 15 |

### XXXI ტური

3 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | ვესტ ჰემი (0:0) |
| ბლექბერნი | - | მიდლსბრო(1:2) |
| ჩარლტონი | - | ჩელსი (1:2) |
| დერბი | - | ნიუკასლი (1:2) |
| ლიდსი | - | ნოტინგემი (1:1) |
| ლივერპული | - | ევერტონი (0:0) |
| შეფილდი | - | ქოვენთრი (0:1) |
| საუთჰემპტონი | - | არსენალი (1:1) |
| ტოტენჰემი | - | ლესტერი (1:2) |
| უიმბლდონი | - | მანჩესტერი (1:5) |

## პირველი დივიზიონი

### XXXVIII ტური

**ბარნსლი 2:3 ვულვზი**

0:1 რიჩარდსი (31 ს.კ.), 2:0 ჯონსი (33), 2:1 ემბლენი (41), 2:2 კონოლი (78), 2:3 რიჩარდსი (90)

**ბრისტოლი 2:3 ბრედფორდი**

0:1 მილსი (30), 0:2 ჯეკობსი (40), 1:2 აკინბიი (51), 2:2 ანდერსენი (81), 2:3 ველი (83)

**ქრიუ 3:1 ოქსფორდი**

1:0 მერფი (57), 1:1 ტომსონი (60), 2:1 ლიტლი (85), 3:1 სმიტი (88პ)

**კრისტალ პალასი 3:1 გრიმსბი**

0:1 გროუვზი (11), 1:1, 2:1 მორისონი (44, 45), 3:1 მულინზი (46)

**ჰადერსფილდი 1:1 ბირმინგემი**

0:1 ჯონსონი (47), 1:1 ფეისი (55)

**ნორვიჩი 0:0 პორტსმუთი**

**ქუინზ პარკი 4:0 სვინდონი**

1:0 სტეინერი (47), 2:0, 3:0 კივომია (50,59), 4:0 როულენდი (80)

**შეფილდ იუნ. 3:0 პორტ ვეილი**

1:0 დევლინი (72), 2:0 მარსელო (78), 3:0 ჰანტი (90)

**სტოკპორტი 0:0 ტრანმერი**

**სანდერლენდი 3:1 ბოლტონი**

1:0 ფილიპსი (23), 2:0 ჯონსტონი (28), 2:1 ფრენდსენი (49), 3:1 ჯონსტონი (55)

**უოტფორდი 0:0 ბერი**

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 იფსვიჩი**

0:1 ტეტისი (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 38 | 25 | 10 | 3 | 74:23 | 85 |
| იფსვიჩი | 38 | 22 | 7 | 9 | 54:25 | 73 |
| ბრედფორდი | 37 | 21 | 7 | 9 | 63:38 | 70 |
| ბირმინგემი | 38 | 19 | 11 | 8 | 59:31 | 68 |
| ბოლტონი | 37 | 17 | 13 | 7 | 68:50 | 64 |
| ვულვზი | 37 | 16 | 11 | 10 | 53:37 | 59 |
| შეფილდ იუნ. | 37 | 15 | 11 | 11 | 60:54 | 56 |
| უოტფორდი | 38 | 14 | 13 | 11 | 51:50 | 55 |
| ჰადერსფილდი | 38 | 14 | 12 | 12 | 54:60 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 15 | 8 | 15 | 61:59 | 53 |
| გრიმსბი | 35 | 14 | 8 | 13 | 35:39 | 50 |
| კრ. პალასი | 38 | 12 | 13 | 13 | 52:59 | 49 |
| ნორვიჩი | 37 | 12 | 13 | 12 | 50:51 | 49 |
| ტრანმერი | 38 | 10 | 16 | 12 | 50:51 | 46 |
| სტოკპორტი | 38 | 10 | 15 | 13 | 43:47 | 45 |
| პორტსმუთი | 38 | 10 | 13 | 15 | 49:57 | 43 |
| ბარნსლი | 37 | 9 | 15 | 13 | 44:46 | 42 |
| სვინდონი | 38 | 10 | 10 | 18 | 51:67 | 40 |
| ქუინზ პარკი | 37 | 10 | 10 | 17 | 41:47 | 40 |
| ბური | 38 | 7 | 15 | 16 | 29:51 | 36 |
| პორტ ვეილი | 38 | 10 | 5 | 21 | 38:67 | 35 |
| ოქსფორდი | 38 | 8 | 9 | 21 | 37:62 | 33 |
| ქრუ | 38 | 8 | 9 | 21 | 43:63 | 33 |
| ბრისტოლი | 38 | 5 | 14 | 17 | 45:68 | 29 |

## გერმანია

XXIII ტური

### დუისბურგი 1:0 ფრაიბურგი

1:0 ბაიერლე (57)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, პაიტო, კომლიენოვიჩი, ვოლტერსი, ტიოფტინგი (ვედაუ 84), ჰირში, ოსტჰოფი, ნონინი, ბუგერა (დიალო 70), ბაიერლე
ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, ჰერმელი, შუმანი, კოლი (რიტპიჩი 82), პავლინი (გიუნეში 82), ვაისჰაუპტი, ბაია, ცქიტიშვილი, ბენ სლიმანი, სელიმი (ვასმერი 71)
გაფრთხილება: ნონინი, სტაუჩე, ემერლინგი, პავლინი, ჰოფმანი
მსაჯი: კესლერი

### ბაიერნი 1:0 ვერდერი

1:0 იანკერი (87)
ბაიერნი: კანი, იერემისი, ლინკე, ჰელმერი, შტრუნცი, ფინკი (მათეუსი 66), ეფენბერგი, ტარნატი, შოლი (იანკერი 69), დაეი, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 26)
ვერდერი: ბრაზასი, ბენკენი, ვოიტალა, ტრარესი (მაქსიმოვი 46), სკრიპნიკი, ვიკი, ვიდნერი (ვეტენდორფი 87), აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოგდანოვიჩი (აილტონი 83), ბოდე
გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, ტარნატი, სკრიპნიკი, ვიკი
მსაჯი: აუსტი

### ლევერკუზენი 1:1 შალკე

1:0 ბაინლიხი (36), 1:1 მულდერი (56)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჰაპე (რაიხენბერგერი 86), ლენჰოფი, ემერსონი, რამელო, ბაინლიხი, ზე რობერტო, მაიერი (რინკი 79), კირსტენი
შალკე: რეკი, ა. მიულერი, დე კოკი, ვან ჰოგდალემი, ჰელდი, კმეჩი, ვილმოტსი, ნემეცი (ვან კერკჰოვენი 61), ბიუსკენსი (აიგენრაუხი 66), გუსენსი (მაქსი 84), მულდერი
გაფრთხილება: ბაინლიხი, ნოვოტნი, გუსენსი, ნემეცი
მსაჯი: ვაგნერი

### ბოხუმი 1:2 ლაუტერნი

1:0 ცაიერი (42), 1:1 რატინიო (59), 1:2 როსლერი (86)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, ფარენჰორსტი, ვალდოხი, ცაიერი, შინდცილორცი (შტიკროტი 90), ნ. ჰოფმანი, რაისი, ბუკლი (გიულუნოღლუ 81), იონი (მაჰდავიკია 64), დრინჩიჩი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, კოხი (რატინიო 46), სამირი, როოსი, რამზი, ბალაკი, რაიხი (რიდლი 90), ვაგნერი, რიშე, როსლერი
გაფრთხილება: იონი, სუნდერმანი, ვალდოხი, რაისი, სამირი
მსაჯი: შტრამპე

### ჰერტა 2:1 მიუნხენი

1:0 პრეეტცი (10 პ), 1:1 ვინკლერი (24), 2:1 ტრეჩოკი (78)
ჰერტა: კირალი, ნოიენდორფი, პ. ჰერცოგი, სვერისონი, კოვიჩი, ტრეჩოკი, ვოში (მაასი 80), შმიდტი (ვან ბურიკი 46), ჰარტმანი, რაისი (არაჩიჩი 46), პრეეტცი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, კურცი, გრაილიხი, ბორიმიროვი (აგოსტინო 79), ოუაკილი, ჩიჟეკი, ზელიჩი, მალცი, ვინკლერი, შროტი
გაფრთხილება: ჰერცოგი, სვერისონი, გრაილიხი, ბორიმიროვი
მსაჯი: იანსენი

### ვოლფსბურგი 0:0 დორტმუნდი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, მალტრიცი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, რეინა (აკონორი 77), პრეგერი, იუსკოვიაკი
დორტმუნდი: ლემანი, კ. ბაუმანი, ფაიერზინგერი, კოლერი, რიკენი (ტანკო 72), სტევიჩი, ნერლინგერი (ვ. ბუტი 82), ბარბარესი, დედე, მიოლერი, შაპუიზა (სალუ 64)
გაფრთხილება: კაპეტანოვიჩი, გრაინერი, ნერლინგერი, სტევიჩი
გაძევება: პრეგერი (73)
მსაჯი: ვებერი

### ჰანზა 0:1 ჰამბურგი

0:1 გრავესენი (5)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ელერსი, ვაილანდტი (ნოვეცკი 82), პოლეჩეკი, ლანგე, ვიბრანი, ბრაიტკროიცი (ფუქსი 62), იასერი, მაიაკი, რამდანე (დოვე 31), ნოივილი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, გროთი, ფ. ერნსტი (ფოგელი 73), გრავესენი (კურტიანუ 57), ბაბატცი, ჰოლერბახი, იებოა, კირიაკოვი (დოლი 83)
გაფრთხილება: ვაილანდტი, ელერსი, კირიაკოვი, გრავესენი
მსაჯი: ფანდელი

### შტუტგარტი 2:2 გლადბახი

1:0 ლისტეში (19), 2:0 ბალაკოვი (60), 2:1 ფრონცეკი (67), 2:2 კეტელაერი (90)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ვერლაატი, ტ. შნაიდერი, ჯორჯევიჩი (ენდრესი 76), სოლდო, ბალაკოვი (რისტიჩი 88), ლისტეში, ბობიჩი, აკპობორი (ცაიერი 76)
მიონხენგლადბახი: ენკე, კლინკერტი, ანდერსონი, ასანინი, ებერლი, სოპიჩი (კეტელაერი 68), დაისლერი, ფრონცეკი, ვიტეჩეკი, ფელდჰოფი (პოლსტერი 63), პეტერსონი (გიოქთანი 68)
გაფრთხილება: ბერთოლდი, სოლდო, დაისლერი, ფელდჰოფი, ებერლი
მსაჯი: შტაინბორნი

### ნიურნბერგი 2:2 აინტრახტი

0:1 ჩენ იანგი (9), 1:1 კუკა (20), 1:2 ჩენ იანგი (62), 2:2 ჩირიჩი (79)
ნიურნბერგი: კიოპკე, ფ. ბაუმანი, ნიკლი, ვან ეკი, შტორცენჰოფეკერი, ციმერი (ოეხლერი 63), დრილერი, გერბერი (კურტი 68), რაინჰარდტი (ბიურგერი 63), კუკა, ჩირიჩი
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი (ხუბჩევი 46), პედერსენი, კუჩერა (კაიმაკი 60), ბრინკმანი, ბინდევალდი, შური, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ჩენ იანგი, ვესტერტალერი (ცამპახი 70)
გაფრთხილება: შტორცენჰოფეკერი, კურტი, კაიმაკი
მსაჯი: კრუგი

# ვინ გაუტანს კანს?

გასულ შაბათს მიუნხენის „ბაიერნმა“ და მისმა მეკარე ოლივერ კანმა ბუნდესლიგის ახალი რეკორდი დაამყარეს. ბავარიელებს აგერ უკვე 722 წუთია, გოლი არ გაუშვიათ (ბოლოს 4 დეკემბერს მე-16 ტურის მატჩში „ბოხუმმა“ გაუტანათ). ეს ჩემპიონატში, ისე კი ბუნდესლიგის მატჩების გარდა მიუნხენელებმა წლეულს კიდევ სამი შეხვედრა გამართეს, ორი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ერთიც ქვეყნის თასის ნახევარფინალში და სამივეში კარი მშრალად შეინახეს. წინა რეკორდი ექსვერდერელ, ახლა კი „შალკეს“ მეკარე ოლივერ რეკს ეკუთვნოდა, რომელმაც 1987-88 წლების სეზონში 641 წუთის განმავლობაში არ გაატანინა მეტოქეებს.

„ვერდერთან“ „ბაიერნის“ ძირითადმა შემადგენლობამ ექვსი ფეხბურთელი მოისაკლისა. ავადმყოფობის გამო ბაბელი და ბასლერი არ იყვნენ, ელბერის ტრავმაზე ადრეც მოგახსენეთ, ხოლო ლიზარაზუ, იანკერი და მათეუსი მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა სათადარიგოებში განამწესა. ერთი ფეხბურთელი „ბაიერნს“ ამ მატჩშიც დაემტკრა. 26-ე წუთზე ალექსანდრ ციკლერი შესაცვლელი შეიქნა. მიუხედავად ამისა, მიუნხენელებმა მეტოქეს მაინც აჯობეს. პირველ ტაიმში სახიფათო მომენტი, ფაქტობრივად, არც შექმნილა, მეორეში კი ორივეს საკმარისზე მეტი შანსი ჰქონდა. 73-ე წუთზე „ვერდერის“ უკრაინელმა ლეგიონერმა ვიქტორ სკრიპნიკმა ხარიხასაც კი გაარტყა ბურთი. საბოლოოდ „ბაიერნს“ შეცვლაზე შესულმა კარსტენ იანკერმა მოაგებინა, რომელმაც 87-ე წუთზე საჯარიმოში მკერდით ჩამოილო ბურთი, მეურვე მოძრაობაზე დაიჭირა და უძლიერესი დარტყმით გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

თამაშის შემდეგ ჰიტცფელდი კმაყოფილი გახლდათ: „პირველ ტაიმში ცოტა გაგვიჭირდა. ეს იმის ბრალიც იყო, რომ ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა. რაც სეზონი განახლდა, თასის მატჩების ჩათვლით რვა მატჩი გავმართეთ და ყველა მოვიგეთ. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გუნდი მყავს“.

ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარის წოდებისთვის მიმდინარე სეზონში კანს, ალბათ, „დუისბურგის“ ლიტველი გოლკიპერი გინტარას სტაუჩე შეეცილება და ადვილი შესაძლებელია, აჯობოს კიდეც. რამდენიმე მატჩში სტაუჩე გმირი გახდა. „ფრაიბურგთანაც“ ასე მოხდა. სელიმის, ბენ სლიმანს, ვაისჰაუპტს და სხვებს გოლის გატანის რეალური შანსები ჰქონდათ, მაგრამ მასპინძელ სტაუჩეს ვერაფერი მოუხერხეს. ერთხელ ბენ სლიმანმა მაინც აჯობა, თუმცა მსაჯმა — თამაშგარე იყოო. გულხელდაკრეფილნი არც დუისბურგელები ყოფილან, მაგრამ 57-ე წუთამდე ფრაიბურგელთა კარის დარაჯი გოლციც ყოჩაღად იდგა. 57-ე წუთზე კი ბაიერლემ სეზონში მერვე გოლი გაიტანა და თავისიანებს ზედიზედ მესამედ მოაგებინა. ამ მატჩში „ფრაიბურგის“ ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა, თუმცა მას თავი არაფრით გამოუჩენია. მეორე ჩვენებური ლევან კობიაშვილი კი საქართველოს ნაკრებში გახლდათ გამოძახებული, თან ერთი თამაშით დისკვალიფიკაცირებულიც იყო და ბუნებრივია, არ უთამაშია.

მეორე ადგილზე მყოფი „კაიზერსლაუტერნი“ ბოხუმს ეწვია. პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები 0:1 აგებდნენ და მატჩის მსვლელობით თუ ვიმსჯელებთ, უნდა წაეგოთ კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში რეჰაგელის გუნდი გარდაიქმნა და მასპინძლებს ორი საპასუხო გოლი გაუტანა. 59-ე წუთზე რატინიომ ახლოდან გაქვითა ბოხუმელი ცაიერის გოლი. მატჩის მიწურულს კი „ლაუტერნის“ შტურმმა შედეგი გამოილო: ერთ დროს მასპინ[illegible]ტერსიტელი უვე როსლერმა [illegible] დარტყმამ სტუმრებს 2:1 [illegible] მოუტანა.

ბოლო დროს აშკარად უკლო თამაშს „ლევერკუზენმა“, რომელიც შაბათს „შალკეს“ მასპინძლობდა. სტუმრებს ამ მატჩში დაუბრუნდათ ბელგიელი მარკ ვილმოტსი, რომელიც კარგა ხანს ტრავმირებული იყო. მის გარეშე გელზენკირხენელებს ძალიან უჭირდათ, თუმცა ამჯერად ვერც იგი უშველიდათ, მასპინძლებს პირველ ტაიმში მოპოვებული უდიდესი უპირატესობა რომ გამოეყენებინათ. ნოვოტნიმ, კირსტენმა, ზე რობერტომ ჩინებული საგოლე შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს, თუმცა ტაიმის ბოლოს ლევერკუზენელებმა მაინც გაიხარეს. ბაინლიხმა დაახლოებით 18 მეტრიდან უზადოდ დაარტყა ჯარიმიდან. მეორე ნახევარი სულ სხვა სცენარით წარიმართა. მასპინძლებს პირველ ტაიმში იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ, საქმე მოთავებულად მიიჩნიეს და დაისაჯნენ კიდეც — მიულერის პასით მულდერმა გაათანაბრა და მატჩიც ფრედ — 1:1 დამთავრდა.

თამაშის შემდეგ კრისტოფ დაუმი შეგირდებს საყვედურობდა: „ძალიან ადრე ჩათვალეს, მატჩის ბედი გადაწყვეტილად და თავს მოდუნების საშუალება მისცეს. „შალკე“ კი ასეთ შანსს ხელიდან არასოდეს უშვებს“.

„ჰამბურგის“ თავკაცი ფრანკ პაგელსდორფი კლუბის პრეზიდენტმა ვერნერ ჰაკმანმა ამასწინათ გააფრთხილა, როსტოკში „ჰანზასთან“ მარცხს აღარ გაპატიებო. როგორც ჩანს, მუქარამ გაჭრა, პაგელსდორფმა „ჰამბურგი“ საბრძოლველად განაწყო და კვირას სასურველ შედეგსაც მიაღწია. მატჩი დაიწყო თუ არა, სტუმრები „ჰანზას“ ეკვეთნენ და მე-5 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ეს გრავესენმა გააკეთა. „ჰანზამ“ გათანაბრება კი სცადა, მაგრამ „ჰამბურგის“ დაცვამ იმ დღეს უშეცდომოდ ითამაშა.

„ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. თუმცა, გამარჯვების მიუხედავად, მეორე ტაიმით უკმაყოფილო ვარ. კარგი კონტრშეტევების განხორციელება და თამაშის ბედის ადრევე გადაწყვეტა შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ გავაკეთეთ. გამარჯვება ბოლო წუთამდე სათუო იყო“ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოხსნას გადარჩენილმა პაგელსდორფმა.

**ვანო ოქროპირიძე**

REUTERS მიუნხენიდან



ბაიერნი — ვერდერი 1:0. ჯოვანი ელბერის დამტვრევის შემდეგ ალი დაეიმ (№24) „ბაიერნის“ ძირითადში ადგილი კი დაიბევა, მაგრამ „ვერდერთან“ თავისიანებს ვერაფრით დაეხმარა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 23 | 19 | 2 | 2 | 55:13 | +42 | 59 | 12 | 11 | 1 | 0 | 35:8 | +27 | 34 | 11 | 8 | 1 | 2 | 20:5 | +15 | 25 |
| 2 | ლაუტერნი | 23 | 13 | 6 | 4 | 37:31 | +6 | 45 | 12 | 8 | 3 | 1 | 24:14 | +10 | 27 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:17 | -4 | 18 |
| 3 | ლევერკუზენი | 23 | 11 | 9 | 3 | 44:21 | +23 | 42 | 12 | 6 | 5 | 1 | 22:9 | +13 | 23 | 11 | 5 | 4 | 2 | 22:12 | +10 | 19 |
| 4 | დორტმუნდი | 23 | 11 | 6 | 6 | 33:21 | +12 | 39 | 12 | 10 | 1 | 1 | 25:5 | +20 | 31 | 11 | 1 | 5 | 5 | 8:16 | -8 | 8 |
| 5 | ჰერტა | 23 | 11 | 5 | 7 | 33:22 | +11 | 38 | 11 | 9 | 1 | 1 | 21:5 | +16 | 28 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:17 | -5 | 10 |
| 6 | მიუნხენ 1860 | 23 | 10 | 7 | 6 | 38:30 | +8 | 37 | 11 | 6 | 3 | 2 | 19:10 | +9 | 21 | 12 | 4 | 4 | 4 | 19:20 | -1 | 16 |
| 7 | ვოლფსბურგი | 23 | 9 | 9 | 5 | 40:30 | +10 | 36 | 12 | 6 | 4 | 2 | 27:13 | +14 | 22 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:17 | -4 | 14 |
| 8 | შტუტგარტი | 23 | 7 | 9 | 7 | 31:30 | +1 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:11 | +10 | 21 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:19 | -9 | 9 |
| 9 | დუისბურგი | 23 | 7 | 8 | 8 | 27:33 | -6 | 29 | 11 | 6 | 4 | 1 | 18:10 | +8 | 22 | 12 | 1 | 4 | 7 | 9:23 | -14 | 7 |
| 10 | ჰამბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 25:31 | -6 | 28 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | +3 | 19 | 11 | 2 | 3 | 6 | 10:19 | -9 | 9 |
| 11 | ფრაიბურგი | 23 | 6 | 9 | 8 | 25:27 | -2 | 27 | 12 | 3 | 6 | 3 | 13:11 | +2 | 15 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | -4 | 12 |
| 12 | ვერდერი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:31 | -2 | 25 | 12 | 2 | 5 | 5 | 17:18 | -1 | 11 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:13 | -1 | 14 |
| 13 | ბოხუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:39 | -11 | 24 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 14 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:24 | -10 | 10 |
| 14 | შალკე 04 | 23 | 5 | 9 | 9 | 24:37 | -13 | 24 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:13 | 0 | 14 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:24 | -13 | 10 |
| 15 | აინტრახტი | 23 | 4 | 8 | 11 | 25:38 | -13 | 20 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:23 | -12 | 7 |
| 16 | ნიურნბერგი | 23 | 3 | 11 | 9 | 26:41 | -15 | 20 | 11 | 1 | 9 | 1 | 16:17 | -1 | 12 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:24 | -14 | 8 |
| 17 | ჰანზა | 23 | 3 | 8 | 12 | 28:47 | -19 | 17 | 12 | 3 | 5 | 4 | 18:19 | -1 | 14 | 11 | 0 | 3 | 8 | 10:28 | -18 | 3 |
| 18 | გლადბახი | 23 | 3 | 6 | 14 | 24:50 | -26 | 15 | 11 | 3 | 1 | 7 | 13:22 | -9 | 10 | 12 | 0 | 5 | 7 | 11:28 | -17 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 14 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 11 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 11 |

### XXIV ტური

3 აპრილი
დორტმუნდი - ბაიერნი (2:2)
ლაუტერნი - ლევერკუზენი (2:2)
ჰამბურგი - ფრაიბურგი (0:0)
შტუტგარტი - დუისბურგი (0:2)
მიუნხენი - ნიურნბერგი (5:1)
შალკე - ვოლფსბურგი (0:0)
ვერდერი - ჰანზა (1:2)

4 აპრილი
გლადბახი - ჰერტა (1:4)
აინტრახტი - ბოხუმი (0:0)

## მეორე ბუნდესლიგა

XXIII ტური

### ულმი 1:1 ჰანოვერი

0:1 ბლანკი (56), 1:1 გორა (88)

### ურდინგენი 2:3 ბერლინი

1:0, 2:0 კუშევი (2, 15), 2:1, 2:2 ფრიგარდი (29, 49), 2:3 მიკევსკი (88)

### კოტბუსი 0:2 არმინია

0:1, 0:2 ლაბადია (34, 36)

### ფორტუნა 1:2 ვატენშაიდი

1:0 ვარდანიანი (9), 1:1 ფაინბაირი (22), 1:2 შტარკი (70პ)

### დიუსელდორფი 0:0 ფიურტი

### მაინცი 1:0 უნტერჰახინგი

1:0 მარსიო (85)

### ობერჰაუზენი 2:0 კარლსრუე

1:0 კიუსა (3), 2:0 ბაიბერი (16)

### გიუტერსლო 1:0 კიკერსი

1:0 კოსი (76)

### ზანქტ პაული 0:0 კიოლნი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 23 | 13 | 6 | 4 | 33:15 | 45 |
| უნტერჰახინგი | 23 | 14 | 3 | 6 | 30:15 | 45 |
| არმინია | 23 | 13 | 4 | 6 | 38:23 | 43 |
| ბერლინი | 23 | 12 | 5 | 6 | 39:30 | 41 |
| ულმი | 23 | 10 | 9 | 4 | 44:37 | 39 |
| კარლსრუე | 23 | 12 | 1 | 10 | 38:31 | 37 |
| მაინცი | 23 | 10 | 5 | 8 | 32:31 | 35 |
| ჰანოვერი | 23 | 10 | 4 | 9 | 32:25 | 34 |
| ფორტუნა | 23 | 8 | 7 | 8 | 35:37 | 31 |
| კიკერსი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:30 | 29 |
| ობერჰაუზენი | 23 | 6 | 10 | 7 | 29:33 | 28 |
| კიოლნი | 23 | 7 | 8 | 8 | 27:35 | 28 |
| ზანქტ პაული | 23 | 7 | 6 | 10 | 27:32 | 26 |
| კოტბუსი | 23 | 4 | 9 | 10 | 23:29 | 21 |
| დიუსელდორფი | 23 | 3 | 12 | 8 | 27:35 | 21 |
| გიუტერსლო | 23 | 5 | 6 | 12 | 29:42 | 21 |
| ურდინგენი | 23 | 4 | 7 | 12 | 26:36 | 19 |
| ვატენშაიდი | 23 | 4 | 7 | 12 | 18:32 | 19 |

## იტალია

### XXVI ტური

**ლაციო 2:0 ვენეცია**

1:0 კონსეისაო (8), 2:0 მიხაილოვიჩი (12)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (ლომბარდო 51), კონსეისაო, მანჩინი (დე ლა პენია 74), ალმეიდა, ნედვედი (სტანკოვიჩი 70), ვიერი, სალასი
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, პავანი, ლუპი, დალ კანტო (პისტონე 56), ვალტოლინა, მიჩელი (დე ფრანჩესკი 72), ვოლპი, პედონე, რეკობა, ტუტა
გაფრთხილება: ლუპი, პავანი, ფავალი, ნედვედი, ლომბარდო, ტუტა
მსაჯი: ბოჯი

**ფიორენტინა 2:1 პიაჩენცა**

1:0 ბატისტუტა (7), 1:1 ს. ინძაგი (71პ), 2:1 ესპოზიტო (90)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტორიჩელი, რეპკა, ჰაინრიხი, ოლივეირა, კოისი (ამორი 87), ამოროზო (ესპოზიტო 74), ედმუნდო (ფალკონე 57), ბატისტუტა
პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ლამაში (პიოვანი 61), მაცოლა, კრისტალინი (სტროპა 64), სტატუტო, ს. ინძაგი (დიონიჯი 83), რასტელი
გაფრთხილება: სტატუტო, ედმუნდო, ლამაში, პადალინო
გაძევება: რეპკა (73)
მსაჯი: კოლინა

**ბოლონია 4:2 ვიჩენცა**

1:0 ნერვო (2), 1:1 ოტერო (42), 2:1 სიმუტენკოვი (79), 3:1 კ. ანდერსონი (83), 3:2 ოტერო (85), 4:2 კ. ანდერსონი (90პ)
ბოლონია: ბრუნერი, პარამატი (რინალდი 32), პაგანინი, ბია, ბეტარინი, ნერვო (ერიბერტო 67), ინგესონი, მაროკი, კაპიოლი, კ. ანდერსონი, კოლივანოვი (სიმუტენკოვი 52)
ვიჩენცა: ბრივიო, კარდონე, დიჩარა, აურელიო, სტოვინი, სკენარდი, დი კარლო (ტისკი 85), ვივიანი, ბეგეტო (სკარლატო 27), ოტერო, ძაული
გაფრთხილება: ძაული, ბეტარინი, დიჩარა, კაპიოლი, სტოვინი
მსაჯი: მესინა

**პერუჯა 1:0 სალერნიტანა**

1:0 რაპაიჩი (69)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, რიპა, რივასი, მეცანო, ტენტონი (კამპოლო 81), ტედესკო (ლეჰკოსუო 89), ოლივე, რაპაიჩი, ნაკატა, ბუკი (კავიედესი 66)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფრეზი, მონაკო, დელ გროსო, ბერნარდინი (როსი 46), ბრედა (ვანუკი 52), გატუზო, კოლოუსეკი, კიანეზე (ჯამპაოლო 76), დი ვაიო
გაფრთხილება: მეცანო, ილარიო, ფრეზი, მონაკო, დი ვაიო
გაძევება: გატუზო (94)
მსაჯი: პრესკერნი

**უდინეზე 2:1 პარმა**

1:0 სოსა (22), 1:1 ვანოლი (69), 2:1 ამოროზო (89)
უდინეზე: ვაპენაარი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ძანკი, იორგენსენი, აპია (ვან დერ ვეგტი 79), ვალემი, ბაკინი (ნავასი 73), სოსა (პოჯი 76), ამოროზო
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი (ფიორე 88), დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ბენარივო (ვანოლი 43), ვერონი, კრესპო, კიეზა (სარტორი 46)
გაფრთხილება: კალორი, ძანკი, ბაკინი, ვერონი
გაძევება: კანავარო (45)
მსაჯი: ტრეოსი

**კალიარი 5:1 ემპოლი**

1:0 მბომა (21), 2:0 მუცი (26პ), 3:0, 4:0 მბომა (46, 60), 4:1 დი ნაპოლი (64), 5:1 მუცი (80)
კალიარი: სკარპი, ძანონჩელი, ვილა, ძებინა (კენტურიონი 87), ვაზარი, ბერეტა, ძანეტი, დე პატრე, მაჩელარი, მბომა (კავეცი 75), მუცი (კალონი 80)
ემპოლი: სერენი, კამარა, ფუსკო, ბიანკონი, ტონეტო, კრიბარი, პანე, მარტუშელო, ბონომი (ბიზოლი 80), ზალაიეტა (კერბონე 60), შიაპარა (დი ნაპოლი 46)
გაფრთხილება: სერენი
გაძევება: ძანეტი (62)
მსაჯი: დე სანტისი

**სამპდორია 4:0 ინტერი**

1:0, 2:0, 3:0 მონტელა (12, 53პ, 65), 4:0 ორტეგა (70)
სამპდორია: ფერონი, ჰუგო (მანინი 79), გრანდონი, ლასისი, ბალერი, დორივა, პეკია, ლაილი, ორტეგა, მონტელა (კატე 74), პალმიერი (კასტელინი 56)
ინტერი: პალიუკა (ფრეი 70), კოლონეზე, სიმიჩი, ვესტი, ჟილბერტო (მორიერო 46), ძანეტი, ზე ელიასი (სოუზა 60), კოე, რ. ბაჯო, სამორანო, ვენტოლა
გაფრთხილება: ჟილბერტო, ზე ელიასი, კოე, ლაილი, რ. ბაჯო, ბალერი, პალიუკა, ორტეგა
გაძევება: ლასისი (18)
მსაჯი: ტომბოლინი

**მილანი 2:2 ბარი**

0:1 ოსმანოვსკი (6), 1:1 ბირჰოფი (42), 1:2 ოსმანოვსკი (79), 2:2 განცი (92პ)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი (ციგე 76), ამბროზინი, ბობანი (განცი 81), გულიელმინპიეტრო, ლეონარდო (ჯუნტი 71), ბირჰოფი, ვეა
ბარი: ინდივერი, დე როზა (ჯორჯეტი 46), ინოჩენტი, ნექროიზი, გარსია, დე აშენტისი, მარკოლინი, დ. ანდერსონი, მადსენი (კნუდსენი 55), ოსმანოვსკი, მასინგა
გაფრთხილება: მალდინი, გულიელმინპიეტრო, ჯორჯეტი, ოსმანოვსკი
მსაჯი: პელეგრინო

**იუვენტუსი 1:1 რომა**

0:1 დელვეკიო (52), 1:1 იულიანო (72)
იუვენტუსი: დე სანტისი, მირკოვიჩი (ბირინდელი 76), იულიანო, მონტერო (ფერარა 80), დი ლივიო, კონტე, დეშამი (ფონსეკა 76), დავიდსი, ანრი, ფ. ინძაგი, ამორუზო
რომა: კონსელი, კაფუ, პეტრუცი (ფერი 76), ალდაირი, კუადრინი, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო (გაუტიერი 69), დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ტოტი, იულიანო, კუადრინი, დავიდსი, დელვეკიო
მსაჯი: ბორიელო

# მირჩას ამბავი მორჩა

აბა, რას უზამდნენ. მოხსნეს და მოსახსნელიც იყო. ის კი არა, მაშინ რატომ დანიშნეს გაუგებარი გახლდათ. რას ერჩოდნენ ჯიჯი სიმონის? ვითომ სიმონის ნაცვლად ლუჩესკუ რომ მიიყვანეს რამე მოიგეს? მოიგეს კი არა, წააგეს. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხომ წააგეს, კვირასაც „სამპდორიასთან“, გენუაში, 0:4 დამარცხდნენ. არადა რამდენი მილიონი დოლარია დახარჯული! ეს რონალდოო, ის ბაჯოო, ეს ჯორკაეფიო, ის სიმეონეო, ეს სამორანოო...

„ინტერზე“ მოგახსენებთ, მილანის „ინტერზე“, რომელიც ვარსკვლავების საყიდლად ფულს არ იშურებს, მაგრამ ვერა და ვერ ჩამოაყალიბა ნამდვილად ძლიერი გუნდი, ისეთი, „სკუდეტოს“ რომ მოიგებს.

იმთავითვე ცნობილი გახლდათ, რომ ლუჩესკუ მილანში დროებითი კაცი იყო. მას სეზონი უნდა ჩაემთავრებინა და შემდეგ ადგილი „იუვენტუსის“ ყოფილი მწვრთნელისთვის, მარჩელო ლიპისთვის დაეთმო, მაგრამ სეზონის ბოლომდეც ვერ გაძლო. ვერ გაძლო, რადგან გენუაში, მე-12 წუთზე, არიელ ორტეგას პასით ვინჩენცო მონტელამ თავური გოლი გაიტანა და „სამპდორია“ დააწინაურა. მცდარად ჰგონებიათ მილანელებს „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ ნაწნევი უკვე გადაგვავიწყდა, ამიერიდან ჩვეულებრივ ცხოვრებას და ბრძოლას შევძლებთო. და ეს რომ მართლა ასე იყო მეორე ტაიმში ძალიან ნათლად გამოჩნდა.

თუმცა მანამდე, პირველი გოლიდან ექვს წუთში, ორივე გუნდი ათი კაცით დარჩა მოედანზე. მასპინძელთაგან ლასლო ლასისი, სტუმართაგან კი ნიკოლა ვენტოლა დაიფრინა მსაჯმა. მიზეზი დიდი ჩხუბი და აყალმაყალი გახლდათ.

შესვენების შემდეგ მონტელამ პენალტით მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ ამას არ დასჯერდა და ერთი ხნის მერე ჰეთ-თრიკიც შეასრულა. გამოხდა რამდენიმე წუთი და ორტეგამ საუცხოო დარტყმით მეოთხე შეაგდო, რასაც „ინტერის“ მეკარის, ჯანლუკა პალიუკას კაპიტულაცია მოჰყვა — ცნობილმა გოლკიპერმა შეცვლა მოითხოვა.

ლიდერმა, „ლაციომ“, „ვენეციასთან“ შეხვედრაში საწყის 12 წუთშივე გაარკვია ყველაფერი. ამ დროში ტაბლოზე უკვე დაიწერა ის ანგარიში, რომელიც დარჩენილ 78 წუთში აღარ შეცვლილა. თავიდან სერჟიო კონსეისაომ გახსნა ანგარიში, მან მცველის, ჯუზეპე ფავალის პასი აქცია გოლად, ცოტა ხანში კი რომაული გუნდის იუგოსლაველმა მოთამაშემ, ჯარიმების დიდოსტატმა სინიშა მიხაილოვიჩმა მეორე გაიტანა. ამრიგად „ლაციომ“ უკვე მე-16 შეხვედრა ჩაატარა დამარცხების გარეშე, რაც გასული სეზონის რეკორდის გამეორება გახლდათ.

რომაელთა მდევარმა, „ფიორენტინამ“, „პიაჩენცას“ მოუგო 2:1. ფლორენციელთა მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის როგორც იქნა, თებერვლის მერე პირველად, მოუხერხდა გაბრიელ ბატისტუტასა და ედმუნდოს ერთად ათამაშება და უკვე მე-7 წუთზე ბატისტუტამ სეზონში თავისი მე-19 გოლი გაიტანა. ეს გახლდათ იმავდროულად პირველი შედეგიანი დარტყმა, რომელიც არგენტინელმა ხუთკვირიანი მკურნალობის მერე გაიტანა.

მაგრამ კარგად დაწყებულ საქმეს მეორე ტაიმის 26-ე წუთზე ხიფათი დაემუქრა — იუვენტუსელი ფილიპო ინძაგის ძმამ, სიმონე ინძაგიმ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაქვითა ანგარიში. შემდეგ, „ფიორენტინას“ ჩეხი მოთამაშე ტომაშ რეპკაც გაუგდეს მოედნიდან და კინაღამ მორიგი ორი ქულაც დაიკარგა, თუმცა მასპინძლობამ და დაჟინებამ თავისი გაიტანა. საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე იორგ ჰაინრიხის პასით კარმინე ესპოზიტომ გამარჯვების გოლი შეაგდო.

„პარმამ“ „პიაჩენცასი“ არ იყოს მეორე ტაიმის შუაში იფიქრა ეგ არის და ქულა მაინც მოვიპოვეო, მაგრამ მაინც დამარცხდა. პარმელები უდინეში თამაშობდნენ. ამ შეხვედრაში ანგარიში რობერტო სოსამ გახსნა. 22-ე წუთზე ბრაზილიელ თანაგუნდელთან, მარსიო ამოროზოსთან გაათამაშა კომბინაცია და შედეგიანი დარტყმაც შეასრულა. ამას, სტუმართა საუბედუროდ, ისიც დაემატა, რომ ტაიმების გასაყარზე ფაბიო კანავარო გააძევეს მოედნიდან, მაგრამ, როგორც გითხარით, მეორე ტაიმის შუაში, 69-ე წუთზე, პაოლო ვანოლიმ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ეს გოლი მისთვის სერია A-ში პირველი გახლდათ. და მაინც, თამაშის ბოლოს ამოროზომ მოახერხა ლუიჯი სარტორს დასხლტომოდა და ჯანლუიჯი ბუფონისთვის გადამწყვეტი გოლი გაეტანა.

„მილანსაც“ ცუდი საღამო ჰქონდა, ლამის იყო გადაეწურა ყოველგვარი იმედი. „სან სიროზე“ „ბარისთან“ შეხვედრის დამთავრებამდე 11 წუთი რჩებოდა, როდესაც იკსელ ოსმანოვსკიმ მასპინძლებს გოლი გაუტანა და ანგარიში 2:1 გახადა „ბარის“ სასარგებლოდ. მილანელები პენალტმა იხსნა. მსაჯს უკვე დამატებული დროის ათვლა ჰქონდა დაწყებული, როდესაც თერთმეტმეტრიანი დარტყმის ნიშნულთან მურიციო განცი მივიდა და ქულა დაიტოვა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მასპინძლებს ორჯერ მოუხდათ ანგარიშის გათანაბრება. ანგარიში ხომ მე-6 წუთზე იმავე ოსმანოვსკიმ გახსნა და 42-ზე ოლივერ ბირჰოფმა მხოლოდ და მხოლოდ გაათანაბრა.

„იუვენტუსმა“ და „რომამ“ ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ თითო გაუტანეს ერთმანეთს. ამ შეხვედრაშიც გათანაბრება მოუხდათ მასპინძლებს.

**პაპუნა ძედია**

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — რომა 1:1. მარკ იულიანომ 72-ე წუთზე ასე გაუტანა რომაელთა მეკარეს მიხაელ კონსელს

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 26 | 16 | 7 | 3 | 54:23 | +31 | 55 | 13 | 10 | 3 | 0 | 36:10 | +26 | 33 | 13 | 6 | 4 | 3 | 18:13 | +5 | 22 |
| 2 | ფიორენტინა | 26 | 15 | 5 | 6 | 43:26 | +17 | 50 | 14 | 12 | 2 | 0 | 28:6 | +22 | 38 | 12 | 3 | 3 | 6 | 15:20 | -5 | 12 |
| 3 | მილანი | 26 | 13 | 9 | 4 | 39:29 | +10 | 48 | 14 | 10 | 3 | 1 | 26:14 | +12 | 33 | 12 | 3 | 6 | 3 | 13:15 | -2 | 15 |
| 4 | პარმა | 26 | 13 | 8 | 5 | 47:27 | +20 | 47 | 13 | 8 | 4 | 1 | 24:10 | +14 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 23:17 | +6 | 19 |
| 5 | უდინეზე | 26 | 12 | 6 | 8 | 36:33 | +3 | 42 | 14 | 9 | 4 | 1 | 23:10 | +13 | 31 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:23 | -10 | 11 |
| 6 | იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 31:26 | +5 | 41 | 13 | 8 | 3 | 2 | 18:9 | +9 | 27 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 14 |
| 7 | რომა | 26 | 10 | 9 | 7 | 48:35 | +13 | 39 | 13 | 10 | 3 | 0 | 32:9 | +23 | 33 | 13 | 0 | 6 | 7 | 16:26 | -10 | 6 |
| 8 | ბოლონია | 26 | 10 | 8 | 8 | 35:21 | +4 | 38 | 14 | 7 | 4 | 3 | 25:15 | +10 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 10:16 | -6 | 13 |
| 9 | ინტერი | 26 | 10 | 6 | 10 | 45:37 | +8 | 36 | 12 | 8 | 2 | 2 | 35:16 | +19 | 26 | 14 | 2 | 4 | 8 | 10:21 | -11 | 10 |
| 10 | კალიარი | 26 | 9 | 5 | 12 | 37:38 | -1 | 32 | 13 | 8 | 3 | 2 | 26:13 | +13 | 27 | 13 | 1 | 2 | 10 | 11:25 | -14 | 5 |
| 11 | ბარი | 26 | 6 | 13 | 7 | 30:35 | -5 | 31 | 13 | 5 | 7 | 1 | 13:9 | +4 | 22 | 13 | 1 | 6 | 6 | 17:26 | -9 | 9 |
| 12 | ვენეცია | 26 | 8 | 7 | 11 | 27:35 | -8 | 31 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:11 | +7 | 25 | 13 | 1 | 3 | 9 | 9:24 | -15 | 6 |
| 13 | პერუჯა | 26 | 9 | 4 | 13 | 34:46 | -12 | 31 | 13 | 9 | 2 | 2 | 26:16 | +10 | 29 | 13 | 0 | 2 | 11 | 8:30 | -22 | 2 |
| 14 | სამპდორია | 26 | 6 | 8 | 12 | 27:44 | -17 | 26 | 13 | 5 | 6 | 2 | 19:12 | +7 | 21 | 13 | 1 | 2 | 10 | 8:32 | -24 | 5 |
| 15 | პიაჩენცა | 26 | 6 | 7 | 13 | 35:41 | -6 | 25 | 12 | 6 | 4 | 2 | 25:15 | +10 | 22 | 14 | 0 | 3 | 11 | 10:26 | -16 | 3 |
| 16 | ვიჩენცა | 26 | 5 | 8 | 13 | 17:34 | -17 | 23 | 12 | 5 | 4 | 3 | 12:11 | +1 | 19 | 14 | 0 | 4 | 10 | 5:23 | -18 | 4 |
| 17 | სალერნიტანა | 26 | 6 | 5 | 15 | 26:46 | -20 | 23 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | +2 | 19 | 13 | 1 | 1 | 11 | 9:31 | -22 | 4 |
| 18 | ემპოლი* | 26 | 3 | 9 | 14 | 21:47 | -26 | 16 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:16 | -4 | 13 | 14 | 0 | 5 | 9 | 9:31 | -22 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 19 |
| კრესპო (პარმა) | 16 |

**XXVII ტური**

4 აპრილი

ინტერი - ფიორენტინა (1:3)
ბარი - რომა (1:1)
ემპოლი - იუვენტუსი (0:0)
ლაციო - მილანი (0:1)
პერუჯა - ბოლონია (1:1)
პარმა - კალიარი (0:1)
ვიჩენცა - სამპდორია (0:0)
პიაჩენცა - უდინეზე (0:1)
ვენეცია - სალერნიტანა (0:1)

## ესპანეთი

XXVII ტური

### ესპანიოლი 1:1 ბილბაო

1:0 ტამუდო (20), 1:1 ურსაისი (90)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, გალკა, არტეაგა, კაპდევილა, მარტინ პოსე (ბენიტესი 26), ტამუდო (კიკე მარტინი 78)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფულიპე, ლარასაბალი (ნაგორე 46), ლარაინსარი, რობერტო რიოსი, კარლოს გარსია (იესტე 46), ხავი გონსალესი, ალკისა (ი. გერერო 65), ესკუერო, ხ. ეჩებერია, ურსაისი
გაფრთხილება: კაპდევილა, კიკე მარტინი, ლარაინსარი, რობერტო რიოსი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### რეალი 2:0 ესტრემადურა

1:0 რაული (29), 2:0 ხუანიტო (52 ს.კ.)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, ივან კამპო, რედონდო, ზეედორფი (იარნი 80), გუტი, კარემბუ, რაული, მიატოვიჩი (სანჩისი 62), შუკერი (მორიენტესი 72)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი (ოსკარი 56), კალა, ბელენგერი, დავიდი, ხუანიტო, ვიოდო, ტონი ველამასანი (მანუელი 79), დურე, ესპოზიტო (სოტო 75), გაბრიჩი
გაფრთხილება: რედონდო, ზეედორფი, კალა, ხუანიტო
მსაჯი: დიას ვეგა

### ვალენსია 1:1 სარაგოსა

0:1 გ. ლოპესი (18), 1:1 ილიე (48)
ვალენსია: კანისარესი, ანგულო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, კარბონი, შვარცი, მენდიეტა, მიია (ანგლომა 46), ფარინოსი (ვლაოვიჩი 46), ილიე (სერბანი 85), კ. ლოპესი
სარაგოსა: მონდრაგონი, კუარტერო, პაკო, სუნდგრენი, სოლანა, პაბლო, აკუნია, გარიტანო (არაგონი 89), კილი გონსალესი, გ. ლოპესი (მარკოს ვალესი 82), მილოშევიჩი (ვუტერი 72)
გაფრთხილება: ჯუკიჩი, კარბონი, ილიე, კ. ლოპესი, გარიტანო, პაბლო, გ. ლოპესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### ოვიედო 0:0 ვალიადოლიდი

ოვიედო: ესტებანი, ესკურსა, სეზარი, ონოპკო, მანელი, ივან ანია (მიოლერი 68), პაულო ბენტო, ნადი (რაბარივონი 78), პომპეი, დუბოვსკი, დელი ვალდესი (ფაბიო პინტუ 78)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, სანტამარია, პეტერნაკი (ალბერტო 80), ჩემა (დუტუელი 84), ვისკაინო, პენია, ტურიელი (ტორეს გომესი 81), ლოსანო, ვიქტორი
გაფრთხილება: ლოსანო, პაულო ბენტო, ესკურსა, დუტუელი
გაძევება: ლოსანო
მსაჯი: პერეს ბურული

### სოსიედადი 0:2 ბარსელონა

0:1, 0:2 კოკუ (28, 86)
სოსიედადი: ალბერტო, რაიციგერი, ლორენი, პიკაბეა, არანსაბალი, გომესი (ხ. გერერო 80), არანბურუ, დე პედრო (იდიაკესი 65), სა პინტუ, კოვაჩევიჩი, ცვიტანოვიჩი (დე პაულა 54)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, პელეგრინო, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, ხავი, კოკუ, ზენდენი, კლუივერტი (ჩირიჩი 90), რივალდო (ანდერსონი 80)
გაფრთხილება: დე პედრო, კოვაჩევიჩი, რაიციგერი
გაძევება: ფუენტესი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ალავესი 2:0 ატლეტიკო

1:0 დესიო (51), 2:0 გერარდი (61)
ალავესი: ტიტო, ბელსუე, ბერუე, კარმონა, იბონ ბეგონია, ვიტამინა სანჩესი (ალფონსო 87), გერარდი, დესიო, პაბლო გომესი, მანიო (ალექსი 81), სალინასი
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, სანტი, ტორიზი, სერენა, ნიეგუსი (ვალერონი 72), მენია (ჟუნინიო 62), ბარახა, ფორტუნი, რობერტო, ხოსე მარი
გაფრთხილება: დესიო, გერარდი, იბონ ბეგონია, ალექსი, სანტი, მენია, ხოსე მარი, ფორტუნი, ბარახა, ნიეგუსი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### მალიორკა 1:2 დეპორტივო

0:1 მარსელინო (20 ს.კ.), 0:2 ზიანი (53), 1:2 იბაგასა (89)
მალიორკა: როა, ოლაისოლა, მარსელინო, სივიერო, პინედა (იბაგასა 55), ლორენი (მ. სოლერი 55), ენგონგა, ფ. სოლერი, სტანკოვიჩი, ჩუპა ლოპესი (ბიაჯინი 64), დანი
დეპორტივო: სონგო, არმანდო, ნაიბეტი (დონატო 78), შურერი, რომერო, ფრანი, მაურო სილვა, ფლავიო, ზიანი, ჯალმინია (მანუელ პაბლო 73), ტურუ ფლორესი (პაულეტა 82)
გაფრთხილება: სივიერო, ჩუპა ლოპესი, ნაიბეტი, ჯალმინია, ზიანი, ფრანი
მსაჯი: პრადოს გარსია

### სელტა 3:0 რასინგი

1:0 მაზინიო (38), 2:0 სანჩესი (64), 3:0 მოსტოვოი (82)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო (მოსტოვოი 73), კასერესი, ოსკარ ვალესი, ჯოროვიჩი, კარპინი (ბერხესი 79), მაკელელე, მაზინიო, ტომასი, სანჩესი, გუდელი (რევივო 64)
რასინგი: მარკოსი, სანჩეს იარა (ბესჩასტნიხი 46), მელბერგი, მერინო, არსენო, სიეტესი (მაგალანეში 77), ვივარ დორადო, ისმაელი, ვიქტორი (შუსტიკოვი 77), ამავისკა, მუნიტისი
გაფრთხილება: მიჩელ სალგადო, ჯოროვიჩი, ვივარ დორადო, ამავისკა, მუნიტისი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ტენერიფე 2:2 ვილიარეალი

1:0 მაკაი (40), 1:1 რობერტო (60), 2:1 ლორენტე (76), 2:2 ალფარო (89)
ტენერიფე: მონო მონტოია, დანი, ლორენტე, ლუსენჰოფი, ალექსისი, ჩანო, ემერსონი, სლოვაკი (დომინგუში 70), ფელიპე (იოკანოვიჩი 46), ხუანელე (ბასავილბასო 83), მაკაი
ვილიარეალი: პალოპი, გერარდო, პასკუალი (ალფარო 50), რობერტო, ტელესი, არეგი, ალბელდა, ალბერტო, დიასი, გაიტანი (გარსია სანხუანი 76), კრაიოვეანუ (მოიზესი 63)
გაფრთხილება: ალექსისი, დომინგუში, ტელესი, გარსია სანხუანი
მსაჯი: გარსია არანდა

### სალამანკა 1:3 ბეტისი

0:1 გალვესი (1), 1:1 ლორენი (49), 1:2 აიალა (76), 1:3 ალექსისი (88პ)
სალამანკა: სტელეა, ნუნო ლუისი (კორინო 46), პავლიჩიჩი (სილვანი 46), ლორენი, ლანა, ედუ ალონსო, ტაირა, ჯოვანელა, ველისკა, მუნტეანუ (სეგარა 80), კარდეტი
ბეტისი: პრატსი, კანიასი (ოტერო 79), აიალა, სოლოსაბალი, ოლიასი, ლუის ფერნანდესი, იტო (ალექსისი 68), ფილიპესკუ, ფინიდი, ფერნანდო, გალვესი (დენილსონი 55)
გაფრთხილება: ტაირა, ლანა, კარდეტი, მუნტეანუ, ოლიასი, აიალა, პრატსი, ფერნანდო, ჯოვანელა
გაძევება: ჯოვანელა
მსაჯი: მეგია დავილა



REUTERS ვიქტორიადან

ალავესი — ატლეტიკო 2:0. წამიც და მადრიდელი ხოსე მარი (მარჯვნივ) დაეცემა, მისი „ატლეტიკო“ კი აგერ უკვე თითქმის ორი თვეა ვერ წამომდგარა

# ბარსელონელთა პირველი მოგება

„სოსიედადის“ სტადიონი „ანოეტა“ 1993 წელს გაიხსნა. მას შემდეგ სან სებასტიანის კლუბის საშინაო თამაშებს სწორედ ეს პატარა, კოხტა სარბიელი მასპინძლობს.

კვირას ბასკეთს „ბარსელონა“ ესტუმრა, თუმცა ბილბაოელებთან სათამაშოდ კი არა, არამედ „სოსიედადთან“ საპაექროდ.

ლუის ვან გაალის გუნდი მივიდა, ნახა და გაიმარჯვა — „ბარსელონამ“ მასპინძელი „სოსიედადი“ „ანოეტაზე“ პირველად დაამარცხა. აქამდე სანსებასტიანელებს კატალონიელებთან შინ არ წაეგოთ. როგორც ყველაფერს ამქვეყნად, დაუმარცხებელ სერიასაც ბოლო მოეღო, უფრო სწორად, თავად სტუმრებმა მოუღეს ბოლო.

პოპულარულ გაზეთ „მარკას“ ამ მატჩისადმი მიძღვნილი წერილი ასე დაუსათაურებია: „კოკუ — ოქროს ბიჭი“. თუ რატომ, ეს ვფიქრობ, დიდ ძიებას არ საჭიროებს — ჰოლანდიელმა უნივერსალმა „სოსიედადის“ ვეტერანი მეკარის, ალბერტოდ ცნობილი ალბერტო ლოპეს ფერნანდესის კარი ორჯერ დალაშქრა და კლუბის წარმატება განაპირობა. პირველი გოლი კოკუმ შორიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა — შესანიშნავი სანახავი იყო, მეორედ კი თანაკლუბელ სონი ანდერსონს დაუფასა შრომა და სხვაობა გაზარდა. სხვათა შორის, ეს შეხვედრა ამ ორი კლუბის სანსებასტიანური დაპირისპირებების ისტორიის მანძილზე 55-ე გახლდათ.

პირველ ტაიმში „ბარსელონას“ არა უშავდა, მეორეში კი უკვე კარგად თამაშობდა. ლუის ვან გაალს კოკუ დაშავებული ლუის ენრიკეს პოზიციაზე გაემწესებინა. ჰოლანდიელს პოზიციის ათვისება დასაწყისში კი გაუჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. ერთიც არის: მასპინძელთა ტანმაღალ იუგოსლაველ თავდამსხმელ დარკო კოვაჩევიჩს შესვენებამდე რომ გამართლებოდა, „ბარსელონას“ ეგებ ვერც მოეგო.

— „სოსიედადთან“ სტუმრად თამაში მუდამ გვიჭირდა. შეხვედრამდე საბოლოოდ არ მქონდა გადაწყვეტილი კოკუს მოედნის შუაგულში გამწესება, მაგრამ ბოლოს გავრისკე და გამიმართლა. სანამ ლუის ენრიკე გამოჯანმრთელდება, კოკუ მის პოზიციაზე ითამაშებს — განაცხადა ვან გაალმა.

ეს შაბათ-კვირა საფეხბურთო კლუბ „ბარსელონასთვის“ წარმატებული გამოდგა — პრიმერა დივიზიონის ლიდერის, უფროსი „ბარსელონას“ მსგავსად, ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო მეორე დივიზიონში მყოფმა „ბარსელონა B“-მ. უფროსი და უმცროსი ძმები წლეულს სხვადასხვა მიზნისთვის იბრძვიან, თან საკმაოდ წარმატებითაც — პირველს ჩემპიონობა სურს, მეორე კი ქვედა დივიზიონში დარჩენას ცდილობს.

ლიდერთა ტრიუმვირატმა ოდნავ იცვალა სახე — „ბარსელონა“ ისევ პირველია, ვალენსიელთა წაბორძიკებით კი უმალ ისარგებლა „სელტამ“ და გამარჯვების წყალობით მეორე ადგილზე ალზევდა.

„სელტა“ — „რასინგის“ დაპირისპირების ისტორიას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს — გუნდების მეტოქეობა სულ რაღაც 17 ჩემპიონატს ითვლის. ამ ტურში ვიგოელები სანტანდერელ მეტოქეს მეჩვიდმეტედ მასპინძლობდნენ და მეათე გამარჯვების მოპოვება შეძლეს. უცნაურია: თუ „რასინგს“ ვიგოში სამჯერ მაინც მოუგია, „სელტას“ სანტანდერში ერთ შეხვედრაშიც კი ვერ უმარჯვია.

ვიგოში „სელტას“ მეათე გამარჯვებას „რასინგთან“, მასპინძელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა მაზინიომ, იგივე იომარ დო ნასიმენტომ ჩაუყარა საფუძველი — მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონმა 38-ე წუთზე საჯარიმო დარტყმა შეუდარებლად შეასრულა. მასპინძელთა წარმატებას კიდევ იმან შეუწყო ხელი, რომ სტუმართა კარს „რასინგის“ სათადარიგო მეკარე ფერნანდო მარკოს სანტიაგო იცავდა.

„სელტამ“ მაინც დამსახურებულად მოიგო — მასპინძლები მეტოქეს ნამდვილად სჯობდნენ, გნებავთ, თავდასხმაში, გნებავთ, დაცვაში. ვიგოელები, გარდა იმისა, რომ დაცვაში კარგად თამაშობდნენ, რაც უდავოდ იუგოსლაველი გორან ჯოროვიჩის და არგენტინელი ფერნანდო კასერესის დამსახურებაა, უნარიანადაც უტევდნენ. სხვათა შორის, მესამე გოლი „სელტას“ რუსმა ლეგიონერმა ალექსანდრ მოსტოვოიმ გაიტანა, არადა, კლუბის მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი რამდენიმე ხნის წინ აცხადებდა, მოსტოვოი მინიმუმ ორი კვირით დამაკლდაო.

ვიგოში მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა დაუსახავთ მიზნად — მოგეხსენებათ, ესპანეთს გაისად ჩემპიონთა ლიგაში სამი ან ოთხი ადგილი ექნება. ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით კი ადვილი შესაძლებელია, „სელტამ“ მართლაც შეაღოს ევროპის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო ტურნირის კარი.

ორასიო გომეს არაულო, „სელტას“ პრეზიდენტი: „ძალიან კარგი იქნება, თუ გუნდი ლიგის საგზურს მოიპოვებს. მჯერა, „სელტა“ შეძლებს ამას“. კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია.

ერთი ადგილით დაქვეითდა „ვალენსია“. კლაუდიო რანიერის კლუბი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა „სარაგოსასგან“ და მარცხს ადრიან ილიეს ძალისხმევის წყალობით გადაურჩა — მსოფლიოს ჩემპიონატზე ულამაზესი გოლის გამტანმა რუმინელმა თავდამსხმელმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე აღადგინა წონასწორობა.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „რეალმა“ — ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ ჯონ ტოშაკის გუნდს უპირველეს მიზნად სწორედ ლიგის საგზურის მოპოვება დაუსახავს.

თუ მადრიდის ერთი კლუბი ზედიზედ მესამე შეხვედრაა იგებს, დედაქალაქის მეორე კლუბი „ატლეტიკო“ ღრმა კრიზისშია — ესპანეთის 1996 წლის ჩემპიონ და თასის მფლობელ გუნდს 24 იანვრის შემდეგ ჩემპიონატის შეხვედრა არ მოუგია. მაშინ „ატლეტიკომ“ „სელტა“ დაამარცხა 2:1.

**ლაშა გოდუაძე**

|  |  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № |  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 27 | 16 | 5 | 6 | 59:30 | +29 | 53 | 14 | 9 | 2 | 3 | 38:19 | +19 | 29 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:11 | +10 | 24 |
| 2 | სელტა | 27 | 13 | 9 | 5 | 52:27 | +25 | 48 | 13 | 9 | 4 | 0 | 35:10 | +25 | 31 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:17 | 0 | 17 |
| 3 | ვალენსია | 27 | 14 | 5 | 8 | 42:27 | +15 | 47 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:9 | +14 | 28 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:18 | +1 | 20 |
| 4 | დეპორტივო | 27 | 13 | 8 | 6 | 39:28 | +11 | 47 | 14 | 9 | 3 | 2 | 25:11 | +14 | 30 | 13 | 4 | 5 | 4 | 14:17 | -3 | 17 |
| 5 | რეალი | 27 | 14 | 4 | 9 | 54:42 | +12 | 46 | 13 | 8 | 2 | 3 | 31:17 | +14 | 26 | 14 | 6 | 2 | 6 | 23:24 | -1 | 20 |
| 6 | მალიორკა | 27 | 13 | 6 | 8 | 29:21 | +8 | 45 | 14 | 9 | 3 | 2 | 18:7 | +11 | 30 | 13 | 4 | 3 | 6 | 11:14 | -3 | 15 |
| 7 | ბილბაო | 27 | 12 | 6 | 9 | 33:34 | -1 | 42 | 13 | 7 | 4 | 2 | 19:12 | +7 | 25 | 14 | 5 | 2 | 7 | 14:22 | -8 | 17 |
| 8 | სოსიედადი | 27 | 10 | 8 | 9 | 34:32 | +2 | 38 | 14 | 8 | 4 | 2 | 24:12 | +12 | 28 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:20 | -10 | 10 |
| 9 | სარაგოსა | 27 | 10 | 7 | 10 | 38:37 | +1 | 37 | 13 | 6 | 2 | 5 | 21:19 | +2 | 20 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:18 | -1 | 17 |
| 10 | ოვიედო | 27 | 9 | 10 | 8 | 32:35 | -3 | 37 | 14 | 6 | 4 | 4 | 15:13 | +2 | 22 | 13 | 3 | 6 | 4 | 17:22 | -5 | 15 |
| 11 | ბეტისი | 27 | 10 | 7 | 10 | 28:34 | -6 | 37 | 13 | 6 | 3 | 4 | 14:15 | -1 | 21 | 14 | 4 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 16 |
| 12 | ვალიადოლიდი | 27 | 9 | 7 | 11 | 27:30 | -3 | 34 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:11 | +6 | 24 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:19 | -9 | 10 |
| 13 | ატლეტიკო | 27 | 9 | 6 | 12 | 39:34 | +5 | 33 | 14 | 7 | 4 | 3 | 27:9 | +18 | 25 | 13 | 2 | 2 | 9 | 12:24 | -12 | 8 |
| 14 | ესპანიოლი | 27 | 7 | 12 | 8 | 28:32 | -4 | 33 | 13 | 4 | 7 | 2 | 13:12 | +1 | 19 | 14 | 3 | 5 | 6 | 15:20 | -5 | 14 |
| 15 | რასინგი | 27 | 8 | 8 | 11 | 34:38 | -4 | 32 | 13 | 5 | 3 | 5 | 20:17 | +3 | 18 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:21 | -7 | 14 |
| 16 | ვილიარეალი | 27 | 7 | 10 | 10 | 33:39 | -6 | 31 | 14 | 5 | 6 | 3 | 20:16 | +4 | 21 | 13 | 2 | 4 | 7 | 13:23 | -10 | 10 |
| 17 | ალავესი | 27 | 7 | 6 | 14 | 24:38 | -14 | 27 | 14 | 6 | 4 | 4 | 16:10 | +6 | 22 | 13 | 1 | 2 | 10 | 8:28 | -20 | 5 |
| 18 | ტენერიფე | 27 | 4 | 12 | 11 | 25:40 | -15 | 24 | 14 | 2 | 8 | 4 | 13:17 | -4 | 14 | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | -11 | 11 |
| 19 | ესტრემადურა | 27 | 6 | 6 | 15 | 17:43 | -26 | 24 | 13 | 5 | 1 | 7 | 9:17 | -8 | 16 | 14 | 1 | 5 | 8 | 8:26 | -18 | 8 |
| 20 | სალამანკა | 27 | 6 | 4 | 17 | 22:48 | -26 | 22 | 13 | 6 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 21 | 14 | 0 | 1 | 13 | 4:30 | -26 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 18 |
| რივალდო (ბარსელონა) | 15 |

### XXVIII ტური

4 აპრილი

დეპორტივო - ატლეტიკო (1:1)
ვილიარეალი - მალიორკა (0:1)
ვალიადოლიდი - ტენერიფე (2:2)
ბარსელონა - ოვიედო (1:2)
ბილბაო - სოსიედადი (1:3)
ბეტისი - ესპანიოლი (0:1)
სარაგოსა - სალამანკა (2:1)
რასინგი - ვალენსია (0:3)
ესტრემადურა - სელტა (1:5)
რეალი - ალავესი (1:1)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

XXIX ტური

### ატლეტიკო B 2:1 მალიორკა B

1:0 ტევენე (27პ), 2:0 პეპე დომინგო (36), 2:1 ლუკე (65)

### ლეიდა 3:2 ეიბარი

1:0, 2:0, 3:0 ხოსემი (7, 39, 63), 3:1 აიტორ აგირე (66), 3:2 იტურინო (90)

### კომპოსტელა 3:1 ალბასეტე

1:0 მაურისიო (17), 2:0 ვიედმა (39), 3:0 მაურისიო (57), 3:1 ლუკე (90)

### სევილია 0:3 ბარსელონა B

0:1 მიგელ ანხელი (17), 0:2 კაბალიერო (72), 0:3 მიგელ ანხელი (83პ)

### რაიო 2:2 ლას პალმასი

1:0 პინედა (1), 2:0 ბოლო (10), 2:1 რენალდო (31პ), 2:2 ერერა (64)

### ლოგრონიესი 0:2 სპორტინგი

0:1 მარიო (27), 0:2 ჩერიშევი (75)

### ნუმანსია 0:2 ტოლედო

0:1 ლოსადა (1), 0:2 ესტებან ტორე (74)

### ორენსე 1:2 ერკულესი

0:1 დეუსი (23), 1:1 ხ. კორტინა (37), 1:2 დაკოსტა (81)

### რეკრეატივო 0:0 ოსასუნა

### მერიდა 1:0 ბადახოსი

1:0 ბარათა (19)

### მალაგა 3:0 ლეგანესი

1:0 გუედე (12), 2:0 კატანია (48), 3:0 კინო (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 29 | 15 | 10 | 4 | 48:31 | 55 |
| რაიო | 29 | 14 | 11 | 4 | 44:32 | 53 |
| ოსასუნა | 29 | 13 | 10 | 6 | 36:26 | 49 |
| ატლეტიკო B | 29 | 13 | 9 | 7 | 44:34 | 48 |
| ლას პალმასი | 29 | 12 | 11 | 6 | 41:25 | 47 |
| ნუმანსია | 29 | 13 | 7 | 9 | 45:28 | 46 |
| ტოლედო | 29 | 13 | 7 | 9 | 36:32 | 46 |
| სევილია | 29 | 12 | 8 | 9 | 37:34 | 44 |
| კომპოსტელა | 29 | 11 | 10 | 8 | 40:30 | 43 |
| მერიდა | 29 | 11 | 10 | 8 | 35:26 | 43 |
| ლეიდა | 29 | 11 | 10 | 8 | 32:29 | 43 |
| რეკრეატივო | 29 | 11 | 9 | 9 | 26:20 | 42 |
| ლოგრონიესი | 29 | 9 | 10 | 10 | 35:40 | 37 |
| ბადახოსი | 29 | 9 | 8 | 12 | 23:26 | 35 |
| მალიორკა B | 29 | 10 | 4 | 15 | 33:39 | 34 |
| ალბასეტე | 29 | 8 | 10 | 11 | 21:27 | 34 |
| სპორტინგი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:36 | 33 |
| ლეგანესი | 29 | 7 | 11 | 11 | 27:35 | 32 |
| ბარსელონა B | 29 | 8 | 5 | 16 | 32:43 | 29 |
| ერკულესი | 29 | 7 | 7 | 15 | 25:42 | 28 |
| ეიბარი | 29 | 7 | 5 | 17 | 24:44 | 26 |
| ორენსე | 29 | 4 | 5 | 20 | 23:54 | 17 |

## საფრანგეთი

XXVII ტური

**ბორდო 1:0 სტრასბური**
1:0 პავონი (11)

**მარსელი 4:1 ლორიანი**
1:0 რავანელი (18), 2:0 მორისი (50), 3:0 რავანელი (73), 4:0 გურვენეკი (78პ), 4:1 კამადინი (88)

**ლე ავრი 1:0 ლიონი**
1:0 პუჟე (38)

**ნანტი 0:1 მონაკო**
0:1 ლამუში (60)

**რენი 1:0 ტულუზი**
1:0 გუსე (90)

**მეცი 0:1 ლანსი**
0:1 ბრუნელი (46)

**მონპელიე 0:0 სოშო**

**ოსერი 0:1 პსჟ**
0:1 როდრიგესი (43)

**ბასტია 1:2 ნანსი**
0:1 კორეა (41), 1:1 კრუპნიკოვიჩი (56), 1:2 ბასტიენი (70პ)

# გმადლობთ, კაპიტან!

REUTERS მარსელიდან



მარსელი — ლორიანი 4:1. მარსელელი ერიკ რუას და ებენ დუგბატეის (მარცხნივ) ორთაბრძოლა

უკვე რამდენიმე დღეა, „ბორდოს“ კაპიტან მიშელ პავონს მუხლი აწუხებს, მაგრამ იგი ტკივილებს ვაჟკაცურად უძლებს და როცა გუნდს სჭირდება, თამაშობს კიდეც. პარმაში სასტიკად განადგურების შემდეგ იგი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან ჟირონდელთაგან, ვინც ფსიქოლოგიურ შოკს თავი დააღწია და საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. სწორედ მის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით შეძლო „ბორდომ“ „სტრასბურის“ დამარცხება და ლიდერობის შენარჩუნება.

საშუალო დონის თამაშით მასპინძლებმა მთავარ მიზანს, სამი ქულის მოპოვებას, მაინც მიაღწიეს. ახლა მათ თავკაც ელი ბოპს მთელი ორი კვირა აქვს გუნდის უკეთ მოსამზადებლად, რადგან მომდევნო ტური პირველ დივიზიონში აპრილის პირველი კვირის ბოლოს გაიმართება. 28-ე ტურს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია: „ბორდო“ „ტულუზს“ სტუმრობს, „მარსელი“ კი „მონაკოს“, რომელიც ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობს. ასე რომ, ჟირონდელებს შანსი ეძლევათ, უახლოეს მდევარს ოთხი ქულით გაასწრონ.

უეფას თასის მეოთხედფინალის განმეორებით მატჩთან შედარებით „ბორდოს“ ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება მოხდა: დისკვალიფიცირებული ალი ბენარბიას, ტორეს მესტრისა და საველიჩის ნაცვლად „სტრასბურთან“ შეხვედრა ესპანელმა ივანმა, ფერიემ და აფანუმ დაიწყეს. ლურჯ-თეთრებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს. ლასლანდს ვილტორდის პასის შემდეგ მე-5 წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ოდნავ გადასცდა ალზასელთა სლოვაკი მეკარე ვენსელის კარის ზედა ძელს.

შეტევები ამის მერეც გაგრძელდა და პავონის გოლი მეტად ლოგიკური იყო. კაპიტანს საგოლე პასი ივანმა გაუკეთა და მანაც თავურით თავისიანები დააწინაურა. სტრასბურელები გონსაც ვერ მოეგნენ, რომ ვილტორდს მეორეჯერ შეეძლო მათი კარის დალაშქვრა (მე-17 წუთი). მათდა საბედნიეროდ, ვენსელი დროულად გამოვიდა კარიდან თავდამსხმელის დასახვედრად. ამის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, „ბორდო“ „პარმას“ ბოღმას „სტრასბურზე“ გადმოანთხევსო. თუმცა ეს, როგორც მერე აღმოჩნდა, არასწორი იყო.

შემდეგი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა ტაიმის მიწურულსღა შექმნეს, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე სლოვაკ მეკარეს იოან მიკუმ ვერ აჯობა და იქვე კინაღამ ანგარიში გათანაბრდა — ექსკანელ მარსიგლიას სახიფათო თავური ულრიხ რამემ გაჭირვებით მოიგერია.

მეორე ტაიმში გოლის გატანა ფაქტობრივად მხოლოდ სტუმრებსღა შეეძლოთ. ჯერ იყო და 68-ე წუთზე ყოფილი მარსელელი ეშუაფნის ახლოდან დარტყმული ბურთი აილო რამემ, შემდეგ დავიდ ზიტელიმ აცილა ხელსაყრელი პოზიციიდან (84-ე წუთი) და ბოლოს, 88-ე წუთზე ერეს ლამაზი თავური დარტყმა მოიგერია პარმაში ექვსი გოლის გამშვებმა რამემ. თამაშის ბოლოს კი მასპინძელთა ქომაგები ერთხმად ყვიროდნენ: „გმადლობთ, კაპიტან!“

თუ „ბორდომ“ გაჭირვებით მოიგო, სამაგიეროდ „მარსელმა“ ზედმეტი გართულებების გარეშე მიითვალა სამი ქულა. თუმცა ბოლოსწინა ადგილოსანმა „ლორიანმა“ შეხვედრა საკმაოდ თავდაჯერებულად დაიწყო. მათი დაცვა თავისი კარიდან დაახლოებით ოცდაათ-ოცდათხუთმეტ მეტრში ახერხებდა მეტოქის შეტევების ჩაშლას. თამაშის დაწყებიდან დაახლოებით 15 წუთი იყო გასული, რომ „ლორიანის“ დაცვამ პირველი და საბედისწერო შეცდომა დაუშვა. რობერ პირესის მშვენიერი პასის შემდეგ ფაბრიციო რავანელი მეკარესთან პირისპირ გადიოდა. მაგრამ ანჟელო იუგმა კარი დატოვა და საჯარიმო მოედნის გარეთ ხელით ჩაჭრა ეს პასი. ამისთვის კი მსაჯმა არ დაინდო და გასახდელში მიაბრძანა. მის ნაცვლად გამოსულ სტეფან ლე გარეკი კი პირველად ბურთს მაშინ შეეხო, როცა საკუთარი კარის ბადიდან მის გამოსაღებად მიტრიალდა — რავანელიმ საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა.

ლორიანელები ისედაც განწირულად ითვლებოდნენ და ახლა, რიცხობრივ უმცირესობაში ხომ ქულის აღების შანსი, ფაქტობრივად, აღარც ჰქონდათ. პირველ ტაიმში მათ მაინც გაუძლეს „მარსელის“ იერიშებს და მეტი გოლი აღარ გაუშვიათ. მატჩის მეორე ნახევარში კი „ოლიმპიკმა“ გააფთრებით შეუტია და პირესის უზუსტესი პასის შემდეგ ფლორიან მორისმა ლე გარეკს ბურთი მოხდენილად გადაუგდო თავზე — 2:0.

სახიფათო მომენტები ამის მერეც ერთიმეორის მიყოლებით იქმნებოდა სტუმართა კართან, მაგრამ გოლი ჟოსლენ გურვენეკის მინდორზე გამოჩენამდე აღარ გასულა. პირესის შემცვლელი თავისი ძველი კლუბის ჯალათად იქცა — ჯერ რავანელის საგოლე პასი მისცა, შემდეგ კი ტიტი კამარას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი შეასრულა ზუსტად — 4:0. პრესტიჟის გოლი პასკალ კამადინიმ გაიტანა „მარსელის“ ცენტრალური დაცვის შეცდომის მერე.

უეფას თასზე სამშაბათს ნათამაშევი სამი ფრანგული კლუბიდან მხოლოდ „ლიონმა“ ვერ მოიგო, რომელსაც ჰავრში ჰქონდა გასვლითი მატჩი. შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარი საათი იყო გასული, როცა სტუმრები, ისევე როგორც „ლორიანი“, ათნი დარჩნენ. მათ შვეიცარიელ ლეგიონერ მარკო გრასის მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა თვალწინ. ამით „ლე ავრმა“ კარგად ისარგებლა და სირილ პუჟეს გოლის წყალობით [illegible] რიგები დატოვა.

„პარი სენ ჟერმენსაც“ ეშველა? ალბათ. ემე ჟაკეს მეგობარი და თანაშემწე (ნაკრებში) ფილიპ ბერჟერო, ეტყობა, კარგი მწვრთნელია. უსახურად მოთამაშე და ინტრიგებისგან დაღლილი გუნდით მან ოსერში გი რუს კლუბთან შეძლო გამარჯვების მიღწევა. ეს კი, მიუხედავად „ოსერის“ ბოლოდროინდელი კრიზისისა, სულაც არაა სახუმარო და იოლი საქმე. თამაშის დიდი ნაწილის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ძირითადში დაბრუნებულ საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მეკარე ბერნარ ლამასაც უამრავი თავსატეხი გაუჩინეს. თუმცა „ბებერი ხარის რქანიც ხნავენო“ და ლამამაც მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა. მას მართალია ჯანი ძველებურად აღარ მოსდგამს, მაგრამ გამოცდილება თავისას აკეთებს.

პირველი ტაიმის ბოლოს „ოსერის“ მცველმა ჟან-სებასტიენ ჟორესმა ბურთი საკუთარი საჯარიმოდან მოგერიებისას თავის პარტნიორს მოარტყა, რის მერეც ექსმეცელ ბრუნო როდრიგესს მიუვიდა და მანაც მესამე გოლი გაიტანა პსჟ-ს მაისურით. ამის მერე ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ...

გაიმართა საფრანგეთის თასის მეოთხედფინალების კენჭისყრაც. გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

**ლე მანი (II) — ლავალი (II)**
**ნანტი — გენგამი (II)**
**ანგულემი (III) — ნიმი (II)**
**რუანი (V) — სედანი (II)**

მკითხველს რომ ზოგიერთივით არ აერიოს, აქვე დავძენ, რომ თასზე შემორჩენილი ერთ-ერთი გუნდი „ლე მანია“ (იგივე სახელწოდების ქალაქი პარიზის სამხრეთ-დასავლეთშია) და არა „ლა მანში“, რომელიც საფრანგეთისა და ინგლისის გამყოფი სრუტის სახელია.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 27 | 18 | 5 | 4 | 55:22 | 59 |
| მარსელი | 27 | 17 | 7 | 3 | 47:21 | 58 |
| ლიონი | 26 | 13 | 8 | 5 | 36:23 | 47 |
| მონაკო | 27 | 13 | 7 | 7 | 41:27 | 46 |
| რენი | 27 | 12 | 8 | 7 | 34:32 | 44 |
| ლანსი | 27 | 12 | 5 | 10 | 35:33 | 41 |
| ნანტი | 27 | 10 | 10 | 7 | 33:26 | 40 |
| მონპელიე | 27 | 9 | 7 | 11 | 43:41 | 34 |
| პსჟ | 27 | 8 | 8 | 11 | 24:25 | 32 |
| ბასტია | 27 | 9 | 5 | 13 | 31:35 | 32 |
| ოსერი | 27 | 8 | 7 | 12 | 34:35 | 31 |
| მეცი | 26 | 7 | 9 | 10 | 23:31 | 30 |
| სტრასბური | 27 | 6 | 11 | 10 | 21:28 | 29 |
| ნანსი | 26 | 7 | 6 | 13 | 26:36 | 27 |
| ლე ავრი | 26 | 6 | 8 | 12 | 18:30 | 26 |
| ტულუზი | 27 | 5 | 11 | 11 | 19:36 | 26 |
| ლორიანი | 27 | 5 | 10 | 12 | 22:42 | 25 |
| სოშო | 25 | 3 | 12 | 10 | 20:39 | 21 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 19 |
| ლასლანდი (ბორდო) | 14 |
| მორისი (მარსელი) | 12 |

## ბელგია

XXVII ტური

**ლიერსი 6:0 სენტ ტრიუდენი**
1:0 ვან დე ვეიერი (18), 2:0 დაემსი (30), 3:0 კავენსი (32), 4:0 ზდებელი (50), 5:0 კავენსი (66), 6:0 ზდებელი (78)
ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი, ლეენი (სერნეელსი 81), ლარემანსი, დაემსი (ჰუისტრა 76), კავენსი, ზდებელი, ვან დე ვეიერი (ჰუიმანსი 70)

**სტანდარდი 3:0 ბრიუგე**
1:0 კრუზი (29), 2:0, 3:0 მ. მპენზა (32, 38)
სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ჰელერსი, კრუზი, რენიე, დე კონდე, ბისკონტი (ბლეი 87), ერნსტი, ფოლია, მბო მპენზა, ემილ მპენზა

**გენკი 3:0 მუსკრონი**
1:0, 2:0 ულარი (39, 77), 3:0 ბესენგესი (90 ს.კ.)

**ჰარელბეკი 1:2 ანდერლეხტი**
1:0 პაასი (15პ), 1:1 იაშჩუკი (16), 1:2 ბაზჯიო (37)

**გენტი 2:0 ვესტერლო**
1:0 მარტენსი (15), 2:0 შატელი (90)

**აალსტი 2:2 შარლერუა**
1:0 სარლი (2), 1:1 ვან ბუიტენი (55), 2:1 სარლი (74), 2:2 ვუილო (76)

**ლოკერენი 2:1 ლომელი**
1:0 კოლერი (45), 1:1 დეკელვერი (61), 2:1 ვიდარსონი (90)

**ოსტენდე 0:1 ეკერენი**
0:1 სევერეინსი (59)

**კორტრაიკი 1:0 ბევერენი**
1:0 დემკინი (70)

„პირდაპირ გაოცებული ვარ, იმდენი გოლი გაგვაქვს ბოლო მატჩებში. ძალიან მიხარია, რომ გუნდი ასე კარგად თამაშობს და იმედი მაქვს, ევროთასებზე გასვლას შევძლებთ, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი საქმე იქნება“ — თქვა „სენტ ტრუიდენის“ განადგურების შემდეგ „ლიერსის“ თავკაცმა ვალტერ მეუვსმა. სამწუხაროდ, თავისიანების ამ წარმატებაში ჯერაც ტრავმამოუშუშებელმა გელა შეყილაძემ წვლილი ვერ დაიდო.

დაიწყო თუ არა მატჩი, მასპინძლებმა შეუტიეს. სტუმრებმა თხუთმეტიოდე წუთი გაუძლეს „ლიერსის“ შტურმს და მერე თეთრი ბაირაღი გამოფინეს — ორივე ტაიმში სამ-სამი გოლი გაუშვეს და შინ შერცხვენილები დაბრუნდნენ.

ასევე დიდი ანგარიშით მოიგო მეორე ქართველი ლეგიონერის, ლაშა ჯაკობიას გუნდმა „სტანდარდმა“. მან ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ბრიუგე“ დასცა ბეჭებზე — 3:0. არც ამ თამაშში მონაწილეობდა ქართველი. არადა, ბელგიურ პრესაში წააწყდებით ინფორმაციებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ ჯაკობია მშვენიერ ფორმაშია და „სტანდარდის“ საბაზო გუნდშიც ბრწყინვალედ ატარებს მატჩებს. ასე რომ, თუ რატომ არ ითამაშებს ხორვატი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი მას ძირითად გუნდში, ნამდვილად გაუგებარია.

„არა მგონია, რომ მეტოქეს ჩვენზე მეტი სახიფათო მომენტი შეექმნას, მაგრამ, ეტყობა, მათ უფრო მეტად სურდათ მოგება, ვიდრე ჩვენ“ — „ბრიუგეს“ თავკაცი ერიკ გერეტსი თავისიანების უფერულმა თამაშმა აანერვიულა. ძნელი საფიქრებელია, როგორ შეძლებს „ბრიუგე“ „გენკთან“ ოთხქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას. თანაც სამ კვირაში მას სწორედ გენკში ელის თამაში, მანამდე კი შინ მარტივით ჭირვეულ და გამოუცნობ „გენტს“ მასპინძლობს. ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ბედი, ალბათ, სწორედ 18 აპრილს, „ტილ გეისელინკის“ სტადიონზე, „გენკისა“ და „ბრიუგეს“ დაპირისპირებისას გადაწყდება.

მანამდე კი „გენკმა“ „მუსკრონს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. არადა, „მუსკრონი“ ბოლო ხანებში ძალიან კარგად თამაშობს და ასეთი შედეგით თუნდაც „გენკთან“ წაგება ოდნავ მოულოდნელი იყო. ანგარიში 39-ე წუთზე გაიხსნა ულარის დარტყმის შემდეგ. ამის მერე სტუმრებმა შეტევებს უმატეს საპასუხო გოლის გატანის მიზნით, მაგრამ ამაოდ. მეტიც, შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე „გენკის“ ხორვატი ლეგიონერის, სტრუპარის გამომუშავებული თერთმეტმეტრიანით ულარიმ დუბლი შეასრულა და სტუმრებს მატჩის გადარჩენის ყველა იმედი გადაუწურა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტუმრებმა ერთი გოლის გატან მაინც მოახერხეს, მაგრამ ბესენგესს კარი აერია. საბოლოოდ 3:0 და 18 აპრილის მოლოდინი „გენკისთვის“.

**დავით სიჭინავა**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 18 |
| ულარი (გენკი) | 16 |
| სტრუპარი (გენკი) | 14 |
| ფიერსი (სტ. ტრუიდენი) | 13 |
| იანსენი (ვესტერლო) | 13 |
| ვან მეირი (ლიერსი) | 12 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 27 | 18 | 5 | 4 | 59:29 | 59 |
| ბრიუგე | 27 | 17 | 4 | 6 | 50:30 | 55 |
| ანდერლეხტი | 26 | 15 | 5 | 6 | 52:35 | 50 |
| მუსკრონი | 27 | 14 | 7 | 6 | 61:42 | 49 |
| სტანდარდი | 27 | 15 | 2 | 10 | 49:30 | 47 |
| გენტი | 27 | 13 | 8 | 6 | 48:47 | 47 |
| ლოკერენი | 27 | 13 | 5 | 9 | 52:48 | 44 |
| ლიერსი | 27 | 13 | 4 | 10 | 57:40 | 43 |
| სტ. ტრუიდენი | 27 | 12 | 7 | 8 | 41:35 | 43 |
| ეკერენი | 27 | 11 | 6 | 10 | 39:38 | 39 |
| ვესტერლო | 27 | 10 | 4 | 13 | 47:49 | 34 |
| ჰარელბეკი | 27 | 8 | 9 | 10 | 34:39 | 33 |
| აალსტი | 27 | 8 | 7 | 12 | 38:46 | 31 |
| შარლერუა | 26 | 5 | 11 | 10 | 33:40 | 26 |
| ბევერენი | 27 | 5 | 5 | 17 | 26:52 | 20 |
| ლომელი | 27 | 5 | 4 | 18 | 24:45 | 19 |
| კორტრაიკი | 27 | 4 | 6 | 17 | 36:65 | 18 |
| ოსტენდი | 27 | 2 | 9 | 16 | 23:59 | 15 |

## უკრაინა

გამოტოვებული მატჩები. კრივბასი — ნივა 2:1, მეტალურგი (დონეცკი) — მეტალისტი 0:0, ტავრია — კარპატი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 3 | 1 | 47:12 | 39 |
| შახტიორი | 17 | 12 | 1 | 4 | 50:16 | 37 |
| კრივბასი | 18 | 9 | 7 | 2 | 22:10 | 34 |
| კარპატი | 18 | 9 | 6 | 3 | 32:19 | 33 |
| მეტალისტი | 18 | 8 | 2 | 8 | 18:24 | 26 |
| მეტალურგი (მ) | 17 | 7 | 4 | 6 | 22:17 | 25 |
| მეტალურგი (დ) | 18 | 6 | 5 | 7 | 20:27 | 23 |
| ვორსკლა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:22 | 22 |
| ცსკა | 16 | 5 | 7 | 4 | 19:18 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 17 | 6 | 3 | 8 | 24:31 | 21 |
| ტავრია | 18 | 5 | 5 | 8 | 18:22 | 20 |
| ზირკა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:20 | 19 |
| ნივა | 18 | 5 | 4 | 9 | 15:24 | 19 |
| დნეპრი | 17 | 5 | 2 | 10 | 14:29 | 17 |
| პრიკარპატიე | 17 | 3 | 5 | 9 | 14:33 | 14 |
| მიკოლაიევი | 17 | 2 | 4 | 11 | 11:34 | 10 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

## ჰოლანდია

### XXV ტური

**აიაქსი 0:1 ვიტესი**

0:1 მახლასი (1)

აიაქსი: ვან დერ სარი, ვიერკლო, ოლისე (დე კლერი 40), მელხიოტი, ბლინდი (მაკართი 65), ვიჩხე, ლიტმანენი, რუდი, ვამბერტო (ბაბანგიდა 81), არველაძე, გრონკიაერი

გაფრთხილება: გრონკიაერი, ბლინდი

გაძევება: ვიერკლო

**უტრეხტი 2:0 ბრედა**

1:0 ცვანსვაიკი (68), 2:0 კუტი (75)

ბრედა: კარელსე, ატმოდიკორო, გუდელი, ბოში, ვან ასი, ჰანსენი (ვან დერ ვეერტი 72), ვერსტიგი, შუკოვი, ფესკენსი (ვან დერლუი 75), სტიუარტი, მილიჩიჩი (ცვინენბერგი 83)

გაფრთხილება: გუდელი, ბოში, ფესკენსი, ვან დერ ვეერტი

**სპარტა 0:5 ეინდჰოვენი**

0:1 ბრუგინკი (28), 0:2 ვან ნისტელროი (52), 0:3 ვან დქრ დოლენი (81), 0:4 კოლკა (87), 0:5 ხოხლოვი (90)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი (სკერლა 58), დირქსი, ოიენი, ხოხლოვი, ივანი (კოლკა 83), ოიერი, ბრუგინკი, ნილისი (ვან დერ დოლენი 75), ვან ნისტელროი

გაფრთხილება: ნილისი, დირქსი, ოიენი, ოიერი

გაძევება: დირქსი

**ტილბურგი 4:1 ფეიენოორდი**

1:0 არტსი (113), 2:0 ჰიპია (21), 3:0 სესაი (45), 4:0 აბდელაუვი (68), 4:1 ვან გასტელი (903)

**კამბური 1:0 მაასტრიხტი**

1:0 ვან დერ ჰიდე (57)

**ალკმაარი 0:3 სიტარდი**

0:1, 0:2, 0:3 ჰამინგი (33, 34, 89)

**ჰერენვენი 4:1 გრააფსხაპი**

1:0 პალპლაცი (12), 2:0 სამარჯიჩი (31), 3:0 დონებუში (62), 4:0 დე ნოიერი (85), 4:1 ემამი (87)

**ტვენტე 2:0 ნაიმეგენი**

1:0 ჰესელინკი (2), 2:0 ბოსმანი (56)

შავი კვირადღე გაუთენდა ჩემპიონატის ლიდერ როტერდამის „ფეიენოორდს" — ტილბურგში ჩასული მწარედ შერცხვა. კარგა ხანია, ჰოლანდიის პატარა ქალაქ ტილბურგის კლუბ „ვილემ II"-ს ასე ძლიერად არ უთამაშია.

— „ვილემ II" წლეულს გაცილებით კარგი გუნდია, ვიდრე შარშან. ჩვენ ძალგვიძს პრიზიორთა შორის მოხვედრა და საამისოდ ყველაფერს ვილონებთ. ჩემი დიდი სურვილია, ევროგათამაშებაში წლეულსაც ჩავებათ — მასპინძელთა მწვრთნელი კო ადრიანსე ენაწყლიანობდა. სალაპარაკო მას მართლაც ჰქონდა.

მიმდინარე ჩემპიონატის მანძილზე პირველად მოხდა, როტერდამელებმა პირველი ტაიმი 0:3 რომ წააგეს. ეს სახელოვანმა „ეინდჰოვენმა" ან „აიაქსმა" კი არა, უბრალო „ტილბურგმა" შეძლო.

ანგარიში პენალტით გაიხსნა — სტუმრებმა, რომლებსაც მასპინძლები ძალიან აწუხებდნენ, „ტილბურგის" ერთ-ერთი თავდასხმა დროზე ვერ შეაჩერეს და საჯარიმოში წესი დაარღვიეს: მცველმა კრისტიან გაიანმა ტილბურგელთა ნახევარმცველი ტომაშ გალაშეკი საჯარიმოს მისადგომებთან წააქცია. არნო არტს პენალტის გოლად ქცევა არ გასჭირვებია.

მალე მასპინძელთა უპირატესობა გაიზარდა — „ვილემ II"-ის დაცვის ფინელმა ბურჯმა, სემი ჰიპიამ ანგარიში 2:0 გახადა, ზედ შესვენების წინ კი იატო სესაიმ საჯარიმოს გარედან მესამედ დალაშქრა დუდეკის კარი — ესეც თქვენი 3:0.

შესვენების შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს, მატჩი კი ტილბურგელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მიუხედავად მარცხისა, „ფეიენოორდი" მაინც გათამაშების ლიდერია.

ამსტერდამის „აიაქსი" გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილზე გადაინაცვლებდა, მაგრამ არნემის „ვიტესთან" შინ დამარცხდა. „ამსტერდამ არენაზე" „აიაქსმა" წლეულს პირველად წააგო.

**ირაკლი ილაშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 22 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 16 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 16 |
| მახლასი (ვიტესი) | 16 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 24 | 18 | 4 | 2 | 58:25 | 58 |
| ვიტესი | 25 | 15 | 5 | 5 | 48:30 | 50 |
| ეინდჰოვენი | 25 | 13 | 7 | 5 | 62:38 | 46 |
| ტილბურგი | 26 | 14 | 4 | 8 | 49:39 | 46 |
| აიაქსი | 25 | 12 | 8 | 5 | 53:25 | 44 |
| ტვენტე | 26 | 12 | 7 | 7 | 40:33 | 43 |
| ჰერენვენი | 25 | 11 | 9 | 5 | 43:31 | 42 |
| როდა | 24 | 12 | 5 | 7 | 45:31 | 41 |
| ალკმაარი | 25 | 9 | 11 | 5 | 40:41 | 38 |
| სიტარდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:38 | 33 |
| უტრეხტი | 26 | 9 | 6 | 11 | 46:48 | 33 |
| ნაიმეგენი | 25 | 7 | 8 | 10 | 32:40 | 29 |
| კამბური | 25 | 6 | 7 | 12 | 27:48 | 25 |
| მაასტრიხტი | 25 | 5 | 7 | 13 | 30:47 | 22 |
| გრააფსხაპი | 25 | 4 | 10 | 11 | 25:43 | 22 |
| სპარტა | 25 | 5 | 3 | 17 | 25:54 | 18 |
| ვალვაიკი | 26 | 3 | 6 | 17 | 27:51 | 15 |
| ბრედა | 25 | 3 | 5 | 17 | 25:46 | 14 |

## შოტლანდია

### XXVIII ტური

**კილმარნოკი 0:0 სელტიკი**

**რეინჯერსი 0:1 დანდი იუნ.**

0:1 ოლოფსონი (44)

**დანდი 2:0 ჰართსი**

1:0, 2:0 ანანდი (54,65)

**დანფერმლაინი 1:0 სტ. ჯონსტონი**

1:0 პეტრი (61)

**მოზერველი 1:1 აბერდინი**

0:1 ვინტერსი (59), 1:1 ტილი (903)

„რეინჯერსის" ოთხთვიანი წაუგებელი სერია ძალიან მოულოდნელად შეწყდა — ლიდერმა შინ წააგო, თან დამარცხდა აშკარად სუსტ „დანდი იუნაიტედთან", რომელიც ბოლო ნახევარი საათი კაცნაკლული ეომებოდა მრისხანე მასპინძელს (64-ე წუთზე მსაჯმა უხეშობისთვის მაგნუს სკოლდმარკი გააძევა).

ერთადერთი, გლაზგოელთათვის საბედისწერო გოლი პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე სტუმართა შვედმა თავდამსხმელმა კიელ ოლოფსონმა გაიტანა. თუ რა ხდებოდა დარჩენილ დროში, ამას „რეინჯერსის" ჰოლანდიელი მენეჯერის, დიკ ადვოკაატის სიტყვებიდანაც კარგად გაიგებთ.

— ჩვენ 8-9 საგოლე მომენტი შევქმენით და ვერ გავიტანეთ, მეტოქემ კი ერთადერთი შანსი გამოიყენა. წინა მატჩებში „ფალკირკთან" (თასზე) და „მოზერველთან" ყველაფერი გამოგვდიოდა, ხოლო დღეს იღბალმა უსინდისოდ გვაქცია ზურგი.

ლიდერის წაფორხილებით თავისუფლად შეეძლო, ესარგებლა მეორე გლაზგოურ კლუბ „სელტიკს" და მას ცოტათი წამოსწეოდა, მაგრამ სტუმრად „კილმარნოკს" ვერც გაუტანა, არც გაატანინა და უსახურ, უგოლო ფრეს დასჯერდა. არადა, მოგების შემთხვევაში ჩემპიონი საგრძნობლად გაიუმჯობესებდა მდგომარეობას და პირველობისთვის ბრძოლაშიც რაღაც შანსებს შეინარჩუნებდა. თუმცა „სელტიკის" თავკაცი იოჟეფ ვენგლოში იხტიბარს არ იტეხს.

— მცირე შესაძლებლობა კიდევ დაგვრჩა. ახლა მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ, ქულების დაკარგვის უფლება არაფრისდიდებით აღარ გვაქვს.

ერთადერთი სახიფათო მომენტი „კილმარნოკის" კართან მე-80 წუთზე შეიქმნა — გლაზგოელებმა კუთხური მოაწოდეს, ვიდარ რისეტმა ბურთს ღონივრად დაჰკრა თავი, მაგრამ მიზანს მილიმეტრებში ააცილა.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 19 | 5 | 4 | 63:24 | 62 |
| სელტიკი | 28 | 15 | 8 | 5 | 67:25 | 53 |
| კილმარნოკი | 28 | 12 | 10 | 6 | 32:20 | 46 |
| სენტ ჯონსტონი | 28 | 11 | 9 | 8 | 32:35 | 42 |
| მოზერველი | 28 | 7 | 10 | 11 | 27:41 | 31 |
| აბერდინი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:49 | 31 |
| დანდი | 28 | 8 | 6 | 14 | 24:45 | 30 |
| დანდი იუნ. | 27 | 7 | 8 | 12 | 28:31 | 29 |
| დანფერმლაინი | 28 | 4 | 15 | 9 | 22:38 | 27 |
| ჰართსი | 27 | 6 | 6 | 15 | 22:40 | 24 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 25 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 18 |
| ჯესი (აბერდინი) | 13 |

# ზოგი ჭირი მართლა მარგებელია

## ინგლისი

### ლიგის თასის ფინალი

**ლესტერი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ნილსენი (90)

ლესტერი: კელერი, ელიოტი, უოლში, ტაგარტი, გაპი, ალსორნი, სევიჯი (ზაგორაკისი 89), იზეტი, ლენონი, კოტი, ჰესკი (მარშალი 75)

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ვეგა, კემპბელი, ედინბურგი, ანდერტონი, ნილსენი, ფროინდი, ჟინოლა (სინტონი 90), ივერსენი, ფერდინანდი

გაფრთხილება: ელიოტი, სევიჯი, ვეგა

გაძევება: ედინბურგი (63)

მსაჯი: ჰეილბრონი

ათკაციანმა „ტოტენჰემ ჰოთსფურმა" ლიგის თასი დაისაკუთრა. მატჩის გმირი დანიელი ნახევარმცველი ალან ნილსენი გახდა, რომელმაც მსაჯის მიერ დამატებული დროის მე-3 წუთზე სასიკვდილო დარტყმა მიაყენა „ლესტერს" და „უემბლის" ერთი ნაწილის აღტაცებაც დაიმსახურა.

თამაში ძალიან დაძაბულად და მძიმედ დაიწყო, რამაც პირველ ტაიმს თავის დაღი დაატყო — საწყის 45 წუთში მეტოქეებმა ერთმანეთის კართან თითო სახიფათო მომენტი შექმნეს, ანუ პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა.

თავიდან საფრთხე იან უოქერის კარს დაემუქრა, ყმაწვილმა ემილ ჰესკიმ იაქტიურა, მაგრამ შვეიცარიის ნაკრების წევრმა რამონ ვეგამ არ დაანება. ტაიმის მიწურულს საფრთხემ მეორე კართან გადაინაცვლა — საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს დროულად გამოეხმაურა სტეფან ივერსენის თავი, მაგრამ ამერიკელი კეისი კელერის სამფლობელოს ბურთი არ შეხებია — თავური მიზანს ოდნავ ასცდა.

შეხვედრა ინერტულადვე განახლდა და რომ არა ჯასტინ ედინბურგი და რობ სევიჯი, იქნებ ბოლომდე უსახური გამოსულიყო. საქმე ის არის, რომ 63-ე წუთზე ამ ორმა ფეხბურთელმა დაივიწყა, რომ „უემბლიზე" იყვნენ ლიგის თასის ფინალურ მატჩში და მოედნის ცენტრში დიდი ძიძგილაობა გამართეს. განსაკუთრებით ლონდონელი ედინბურგი იქაჩებოდა, რისთვისაც მალე დაისაჯა კიდეც — მსაჯმა ცხვირწინ წითელი ბარათი აუფრიალა. სევიჯმაც მიიღო ბარათი, ოღონდ ყვითელი და „ტოტენჰემიც" კაცნაკლული დარჩა. აქ ისტორიის გახსენებაც არ იქნება ურიგო: ედინბურგი მეორე ფეხბურთელია, ვინც ლიგის თასის ფინალში გააძევეს, ასეთივე ბედი ეწია 1994 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის" რუს ნახევარმცველ ანდრეი კანჩელსკისს. და კიდევ — კვირას „უემბლიზე" მყოფი „ტოტენჰემის" ფეხბურთელებიდან ედინბურგი ერთადერთი გახლდათ, რომელმაც ამ კლუბის ბოლო წარმატებაში მიიღო მონაწილეობა 1991 წელს. მაშინ ლონდონელები ასოციაციის თასს დაეპატრონნენ.

63-ე წუთზე მომხდარი ინციდენტი გარდამტეხი აღმოჩნდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რიცხობრივ უმცირესობაში მყოფი გუნდი, ამ შემთხვევაში „ტოტენჰემი", გაცილებით უკეთ ათამაშდა და ნილსენის გოლამდეც შეეძლო საკუთარი ქომაგების გახარება. აქ „ლესტერის" თავკაც მარტინ ონილის შეცდომაც უნდა ვახსენოთ — ბოლო წუთებში, როცა დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია, მან იმის შიშით, რომ სევიჯი მეორე ყვითელს, ჯამში კი წითელს მიიღებდა, მის ნაცვლად მინდორზე თეო ზაგორაკისი შეუშვა და საკუთარი გუნდის დალაგებული დაცვაც თავად იუარა.

შედეგად „ლესტერმა" საბედისწერო გოლი გაუშვა — ივერსენმა ძლიერად დაარტყა, კელერმა ბურთი გაჭირვებით მოიგერია და დამატებაზე ყველას ნილსენმა დაასწრო — თავით გაიტანა.

„ტოტენჰემმა" ლიგის თასი აიტაცა. სავსებით შესაძლებელია, მალე ასოციაციის თასიც მიითვისოს, მომავალ სეზონში კი ლონდონელებს უეფას თასისკენ გაეხსნათ გზა.

**დავით ძოვზირიძე**




ნილსენის გოლი, რომელმაც „ტოტენჰემს" ლიგის თასი მოაპოვებინა

## შვეიცარია

### ფინალური ეტაპი

### IV ტური

**გრასჰოპერი 0:1 სერვეტი**

0:1 რეი (53)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, მაცარელი (მანინი 59), კაბანასი, მიულერი, ტარარახე, კომიზეტი, დე ნაპოლი (ტიკვა 71), თურქილმაზი (ყაველაშვილი 70)

**ბაზელი 1:0 ციურიხი**

1:0 პერესი (513)

ციურიხი: შორუნმუ, ფიშერი, ჰოდელი, ვიდერკერი, კასტილიო, სანტანა, დი ჯორიო, ოპანგო, ბარტლეტი, ლიმა, შასო

**სენტ გალენი 0:2 ლუცერნი**

0:1 ვუკიჩი (57), 0:2 კნეცი (62)

**ლოზანა 4:0 ქსამაქსი**

1:0 პანტელიჩი (14), 2:0 ჩელესტინი (16), 3:0 მაცონი (63), 4:0 დიოჯო (71)

შაბათს შვეიცარიაში ფინალური ეტაპის ცენტრალური მატჩი გაიმართა. „გრასჰოპერმა" ციურიხში ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „სერვეტს" უმასპინძლა. „კალიები" სტუმრებს ამ თამაშამდე სულ ორი ქულით ჩამორჩებოდნენ და გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადადიოდნენ, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენეს. პირიქით, მატჩი წააგეს და პირველის ნაცვლად მესამე საფეხურზე აღმოჩნდნენ.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბულად წარიმართა. სტუმრები დაცვაში ჩადგნენ და კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. „გრასჰოპერი" ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენი ისე გაისმა, ერთი რეალური მომენტიც არ შეუქმნია. შედარებით სახიფათო ეპიზოდი სტუმართა კართან ორჯერ ვიხილეთ. პირველ ტაიმში თურქილმაზის შორიდან დარტყმული ბურთის აღება „სერვეტის" მეკარე პიდატს არ გასჭირვებია. თამაშის ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა ტიკვამ გაისროლა ძლიერად, მაგრამ არაზუსტად. გადამწყვეტი გოლი კი 53-ე წუთზე გავიდა. ერთ-ერთი კონტრშეტევისას ალექსანდრ რეიმ გრენი და სმილიანიჩი მოატყუა და ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა.

მიხეილ ყაველაშვილი „კალიების" თავკაცმა როჯერ ჰეჯიმ 70-ე წუთზე შეუშვა მინდორზე. იმ დღეს ყაველაშვილს წესით და რიგით საქართველოს ნაკრებში უნდა ეთამაშა უკრაინელთა წინააღმდეგ, მაგრამ მწვრთნელმა არ გამოუშვა, აქ მჭირდებიო. შეცვლაზე შესულმა ქართველმა კი გუნდი წაგებისგან ველარ იხსნა.

გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო. „გრასჰოპერის" თანაქალაქელები სტუმრად უჯამარაულოდ „ბაზელთან" 0:1 დამარცხდნენ. „ციურიხი" 47-ე წუთზე ათნი დარჩნენ მინდორზე. უხეში თამაშისთვის მსაჯმა დი ჯორიოს მეორე ყვითელი და შესაბამისად წითელი ბარათიც უჩვენა. 51-ე წუთზე სტუმრებმა თავიანთ საჯარიმოში წესი დაარღვიეს და პერესმაც ზუსტად შეასრულა პენალტი.

ისე ცოტა გასაკვირი კია, „ციურიხი" ფინალური ეტაპის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ ყველანაირი შანსი დაკარგა.

„ლოზანამ" საკუთარ მინდორზე 4:0 გაანადგურა „ქსამაქსი" და მეორე ადგილზე აღზევდა. ამ მატჩი ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა. პირველ ტაიმში მიღებული ტრავმის გამო მატჩის არბიტრი საფეხბურთო სამყაროში ცნობილი ურს მაიერი მეორე ნახევარში პეტერ ლოუბამ შეცვალა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 31 |
| ლოზანა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 28 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 26 |
| ბაზელი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 23 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 1 | 1 | 4:8 | 20 |
| სენტ გალენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 20 |
| ციურიხი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 19 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 17 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



# თორმეტი მილიონი მზადაა

ჟუნინიო, მადრიდის „ატლეტიკოს“ ბრაზილიელი გამთამაშებელი ის კაცია, რომლის შესაძენადაც ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“ მზადაა 12 მილიონი გირვანქა გაიღოს. ეს ცნობა თავად ლიდსელებმა დაადასტურეს.

მოგეხსენებათ, ჟუნინიო ალბიონზე ძალიან პოპულარულია. მის ხელში ჩაგდებას ბევრი კლუბი ლამობს. იანვარში ბრაზილიელი კინაღამ ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ შეიძინა, მაგრამ გარემოებათა გამო გარიგება არ შედგა, „მიდლსბრო“ კი დღემდე ცდილობს ფეხბურთელი დაიბრუნოს. ჟუნინიო ხომ ადრე სწორედ მიდლსბროში თამაშობდა, საიდანაც ესპანეთში გადაბარგდა და აგერ უკვე ორი სეზონია იქ ხან დაშავებულია, ხანაც უბრალოდ ცუდ ფორმაში გახლავთ. ვერც ბრაზილიის ნაკრებში ხვდება მოთამაშე რეგულარულად.

„ასტონ ვილა“ 25 წლის გამთამაშებელში 10 მილიონ გირვანქას იხდიდა, მაგრამ მადრიდელებს მეტის მიღება რომ სურდეთ, გასაკვირი არაა, ვინაიდან მათ, თავის დროზე „მიდლსბროს“ 12 მილიონი გადაუხადეს.

ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, ჟუნინიოს საყიდლად ესპანეთის დედაქალაქს „ლიდს იუნაიტედის“ წარმომადგენლები ჩავიდნენ და მოლაპარაკებებიც წამოიწყეს.

აღსანიშნავია, რომ „ლიდსს“ „ნოტინგემ ფორესტისგან“ ჰოლანდიელი პიერ ვან ჰოიდონკის გადაბირებაც სურდა და ამ თავდამსხმელში 4 მილიონ გირვანქას იხდიდა. ეს საქმე რომ არ გამოვიდა ინგლისის ამ გუნდმა მზერა იტალიას მიაპყრო და „რომას“ ფორვარდის, მარკო დელვეკიოს გადაყვანა ამოიჭრა გულში. ამბობენ, დელვეკიოს „რომადან“ წასვლა სულაც არ ეხამუშებაო. მოკლედ, „ლიდსს“ დიდი გეგმები აქვს.

## რუმინეთი

21-ე ტური. არჯეში — ბაკაუ 0:3, ნაციონალი — დინამო 1:2, ასტრა — ოცელული 3:1, რაპიდი — რესიტა 2:1, ფორესტა — ფარული 2:0, ოლიმპია — გლორია 1:0, უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ჩახლაული 2:1, უნივერსიტატეა (კლუჟი) — პეტროლული 1:2, ონესტი — სტიაუა 2:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 21 | 17 | 3 | 1 | 46:12 | 54 |
| დინამო | 21 | 17 | 2 | 2 | 68:20 | 53 |
| სტიაუა | 21 | 13 | 4 | 4 | 39:19 | 43 |
| ბაკაუ | 21 | 11 | 8 | 2 | 29:17 | 41 |
| არჯეში | 21 | 12 | 2 | 7 | 37:25 | 38 |
| ოცელული | 21 | 12 | 1 | 8 | 31:22 | 37 |
| ნაციონალი | 21 | 12 | 0 | 9 | 42:30 | 36 |
| პეტროლული | 21 | 10 | 4 | 7 | 33:27 | 34 |
| ჩახლაული | 21 | 9 | 3 | 9 | 29:34 | 30 |
| ასტრა | 21 | 8 | 5 | 8 | 25:22 | 29 |
| ონესტი | 21 | 7 | 3 | 11 | 30:42 | 24 |
| ფარული | 21 | 7 | 2 | 12 | 22:35 | 23 |
| გლორია | 21 | 6 | 4 | 11 | 32:41 | 22 |
| უნივერსიტ (კრ.) | 21 | 5 | 5 | 11 | 23:32 | 20 |
| რესიტა | 21 | 4 | 6 | 11 | 17:41 | 18 |
| ოლიმპია | 21 | 3 | 4 | 14 | 14:37 | 13 |
| ფორესტა | 21 | 2 | 4 | 15 | 22:44 | 10 |
| უნივერსიტ (კლ.) | 21 | 2 | 4 | 15 | 11:50 | 10 |

## საბერძნეთი

24-ე ტური. კავალა — პანათინაიკოსი 2:1, აეკი — პრუდეფტიკი 1:0, პაოკი — ქსანტი 0:0, იონიკოსი — ირაკლისი 0:2, არისი — ეთნიკოსი (პირეოსი) 4:0, პანელეფსინიაკოსი — ოფი 1:2, აპოლონი — პანილიაკოსი 5:0, ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი (ასტირი) 4:2, ვერია — პანიონისი 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 24 | 19 | 2 | 3 | 62:17 | 59 |
| აეკი | 24 | 17 | 4 | 3 | 54:18 | 55 |
| პანათინაიკოსი | 24 | 16 | 2 | 6 | 45:28 | 50 |
| პაოკი | 24 | 13 | 5 | 6 | 29:20 | 44 |
| არისი | 24 | 13 | 3 | 8 | 36:32 | 42 |
| იონიკოსი | 24 | 11 | 6 | 7 | 44:27 | 39 |
| ქსანტი | 24 | 11 | 6 | 7 | 27:21 | 39 |
| ირაკლისი | 24 | 10 | 6 | 8 | 34:23 | 36 |
| ოფი | 24 | 11 | 2 | 11 | 34:31 | 35 |
| ეთნიკოსი (ა) | 24 | 10 | 2 | 12 | 28:39 | 32 |
| კავალა | 24 | 8 | 6 | 10 | 36:47 | 30 |
| აპოლონი | 24 | 6 | 7 | 11 | 30:45 | 25 |
| პანელეფსინ. | 24 | 5 | 10 | 9 | 19:31 | 25 |
| პანილიაკოსი | 24 | 7 | 4 | 13 | 27:41 | 25 |
| პანიონისი | 24 | 7 | 3 | 14 | 34:39 | 24 |
| პრუდეფტიკი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:30 | 21 |
| ვერია | 24 | 4 | 4 | 16 | 15:41 | 16 |
| ეთნიკოსი (პ) | 24 | 0 | 8 | 16 | 13:55 | 8 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## პორტუგალია

XXVI ტური

**ბეირა მარი 1:2 რიუ ავე**
0:1 მელო (14), 1:1 ნასკიმენტო ჟილა (47), 1:2 დუდა (73)

**ფარენსე 1:1 ამადორა**
0:1 კაპიტაო სილვა (26), 1:1 კარმო (32პ)

**გიმარაეში 1:1 აკადემიკა**
0:1 ლიმა კოშტა (20), 1:1 ეშტევანი (40)

**ბრაგა 0:2 კამპომაიორენსე**
0:1 კამპოსი (21), 0:2 მაურუ სუარეში (67)

**ალვერკა 3:1 შავეში**
1:0, 2:0 ნევეში (7, 18), 2:1 ვანდერლეი (24), 3:1 რამირესი (87)

**ლეირია 1:1 ბენფიკა**
0:1 ჟოაო პინტუ (46), 1:1 ნუნეში (89)

**მარიტიმუ 1:3 სპორტინგი**
0:1, 0:2 ედმილსონი (49, 66), 0:3 ბერტო (80), 1:3 ალვეში (90)

**სალგეირუში 1:3 პორტუ**
0:1 ზაპოვიჩი (3), 0:2, 0:3 ჟარდელი (36, 77), 1:3 კანდიდო (79)

**ბოავიშტა 1:1 სეტუბალი**
1:0 კვამე (15), 1:1 კასუმოვი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 26 | 18 | 5 | 3 | 61:23 | 59 |
| ბოავიშტა | 26 | 16 | 8 | 2 | 43:20 | 56 |
| ბენფიკა | 26 | 16 | 5 | 5 | 53:20 | 53 |
| სპორტინგი | 26 | 14 | 9 | 3 | 48:21 | 51 |
| ლეირია | 26 | 10 | 8 | 8 | 26:21 | 38 |
| ამადორა | 26 | 9 | 9 | 8 | 28:31 | 36 |
| სეტუბალი | 26 | 9 | 8 | 9 | 27:30 | 35 |
| სალგეირუში | 26 | 6 | 13 | 7 | 35:38 | 31 |
| მარიტიმუ | 26 | 7 | 8 | 11 | 32:35 | 29 |
| რიუ ავე | 26 | 6 | 10 | 10 | 21:35 | 28 |
| ბრაგა | 26 | 6 | 10 | 10 | 30:44 | 28 |
| ფარენსე | 26 | 7 | 7 | 12 | 24:40 | 28 |
| ბეირა მარი | 26 | 5 | 12 | 9 | 25:35 | 27 |
| კამპომაიორენსე | 26 | 7 | 6 | 13 | 29:39 | 27 |
| ალვერკა | 26 | 5 | 10 | 11 | 21:37 | 25 |
| შავეში | 26 | 5 | 8 | 13 | 33:50 | 23 |
| აკადემიკა | 26 | 4 | 7 | 15 | 26:49 | 19 |

## თურქეთი

25-ე ტური: გალათასარაი — ადანა 1:1; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 5:0; ქარაბუქი — სამსუნი 0:3; გაზიანთეფი — ბურსა 5:2; საქარია — ფენერბაჰჩე 2:1; ტრაბზონი — გენჩლერბირლიგი 4:0; დარდანელი — ალთაი 4:1; ანთალია — ქოჯაელი 2:1; ბეშიქთაში — ერზურუმი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 25 | 17 | 6 | 2 | 65:25 | 57 |
| ბეშიქთაში | 25 | 16 | 6 | 3 | 42:22 | 54 |
| ფენერბაჰჩე | 25 | 16 | 4 | 5 | 59:18 | 52 |
| ტრაბზონი | 25 | 14 | 5 | 6 | 37:25 | 47 |
| ქოჯაელი | 25 | 12 | 4 | 9 | 31:24 | 40 |
| გაზიანთეფი | 25 | 10 | 8 | 7 | 37:34 | 38 |
| ანთალია | 25 | 11 | 5 | 9 | 33:31 | 38 |
| გენჩლერბირლიგი | 25 | 9 | 8 | 8 | 37:34 | 35 |
| ისთანბული | 25 | 9 | 7 | 9 | 38:39 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 25 | 9 | 4 | 12 | 35:37 | 31 |
| სამსუნი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:40 | 31 |
| ალთაი | 25 | 8 | 5 | 12 | 37:44 | 29 |
| ადანა | 25 | 8 | 4 | 13 | 26:41 | 28 |
| ბურსა | 25 | 8 | 4 | 13 | 38:54 | 28 |
| საქარია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:41 | 26 |
| ერზურუმი | 25 | 6 | 7 | 11 | 26:49 | 25 |
| დარდანელი | 25 | 4 | 8 | 13 | 19:34 | 20 |
| ქარაბუქი | 25 | 3 | 5 | 17 | 18:49 | 14 |

## პოლონეთი

მე-19 ტური. პოგონი — ვიძევი 1:2, გურნიკი — ოდრა 0:1, ლკს — პოლონია 0:0, რუხი — ზაგლებიე 0:0, ვისლა — სტომილი 3:0, ბელხატოვი — ლეხი 1:3, ლეგია — რაძიონკოვი 1:1, კატოვიცე — ამიცა 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 19 | 16 | 1 | 2 | 45:14 | 49 |
| ლეხი | 19 | 13 | 1 | 5 | 40:18 | 40 |
| ვიძევი | 19 | 12 | 1 | 6 | 35:22 | 37 |
| ლეგია | 19 | 9 | 7 | 3 | 23:15 | 34 |
| გურნიკი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:18 | 30 |
| პოლონია | 19 | 8 | 6 | 5 | 30:22 | 30 |
| ამიცა | 19 | 7 | 3 | 9 | 25:29 | 24 |
| რაძიონკოვი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:21 | 24 |
| ბელხატოვი | 19 | 7 | 2 | 10 | 20:31 | 23 |
| ზაგლებიე | 19 | 5 | 6 | 8 | 26:31 | 21 |
| რუხი | 19 | 5 | 5 | 9 | 14:29 | 20 |
| ლკს | 19 | 4 | 7 | 8 | 18:27 | 19 |
| პოგონი | 19 | 5 | 4 | 10 | 23:35 | 19 |
| კატოვიცე | 19 | 5 | 3 | 11 | 17:32 | 18 |
| ოდრა | 19 | 4 | 6 | 9 | 20:29 | 18 |
| სტომილი | 19 | 5 | 2 | 12 | 16:29 | 17 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | ბარნსლი — ბრისტოლი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| | პორტ ვეილი — გრიმსბი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 24.03 | ჰადერსფილდი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | როდა — ჰერენვენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ჰოლანდია. თასის მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | ზვოლე — აიაქსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### ბელგია. ლიგის თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | ანდერლეხტი — ლიერსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | ბევერენი — ეკერენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | გენკი — ბრიუგე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | ნიუ ჯერსი — ბუფალო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | პიტსბურგი — ჩიკაგო | 1,1 | 4,4 | 5,0 |
| | ფინიქსი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 24.03 | ტორონტო — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ოტავა — ბოსტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | კაროლინა — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 4,0 |
| | ტამპა ბეი — ნეშვილი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| | ფლორიდა — რეინჯერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | დეტროიტი — ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | კოლორადო — ვანკუვერი | 1,15 | 4,4 | 4,0 |
| | ედმონტონი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 25.03 | ბოსტონი — ჩიკაგო | 1,1 | 4,4 | 5,0 |
| | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | კალგარი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | ვანკუვერი — სტ. ლუისი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | ფინიქსი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ლოს ანჯელესი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | ორლანდო — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | კლივლენდი — ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | იუტა — მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ჩიკაგო — ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | სან ანტონიო — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | პორტლენდი — გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 24.03 | ბოსტონი — მინესოტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | ნიუ ჯერსი — დეტროიტი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | შარლოტი — ჩიკაგო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ატლანტა — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | მილუოკი — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | დალასი — ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | სიეტლი — ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ვანკუვერი — ფილადელფია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | კლიპერსი — გოლდენ სტეიტი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | ლეიკერსი — ფინიქსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | საკრამენტო — ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 25.03 | ორლანდო — კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ჰიუსტონი — ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | დენვერი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | პორტლენდი — ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

### კალათბურთი. EUROLEAGUE
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.03 | ჟალგირისი — ეფეს პილსენი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | ტიმსისტემი — რეალი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | პო ორტეზი — კინდერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ოლიმპიაკოსი — ვილერბანი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

5 Nations

# მამლები თვიქნემში წააქცეს

**შოტლანდია-ირლანდიის** ბოლო 12 შეხვედრიდან სკოტებმა შაბათს მეთერთმეტედ იმარჯვეს. ირლანდიელებს „მარიფილდზე" 1985 წლის მერე არ მოეგოთ და მათთვის ასე უსიამოვნო ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვიეს, თუმც შეხვედრის დებიუტშივე დაწინაურდნენ უბურთო დიონ ოკანიგენის წაქცევისათვის დანიშნული საჯარიმო ლელოთი. სპეციალისტთა ვარაუდი, რომ მატჩის ბედს ირლანდიელთა მორკინალების და სკოტთა უკანახაზელების პაექრობა გადაწყვეტდა, გამართლდა. „დღეს ჩვენმა უკანახაზელებმა ჩინებულად ითამაშეს, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი" — განუცხადა გრეგორ თაუნსენდმა ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ. სკოტებმა პირველ ტაიმში სწორედ მისი წყალობით აანაზღაურეს ჩამორჩენა და წინაც გავიდნენ. შეხვედრის განახლებისთანავე ჰამფრიზმა ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ორ წუთში მასპინძლებმა ყველაფერი თავის ადგილას დააყენეს — ორი ლელო გაუტანეს მეტოქეს. შეხვედრის შემდეგ სტუმართა მწვრთნელს დანა პირს არ უხსნიდა. შესაძლოა, უორენ გეტლანდის შეგირდებმა ბოლო ადგილს გამოჰკრან ხელი, სკოტები კი, თუ პარიზში იმარჯვეს და თუ უელსმა „უემბლიზე" ინგლისს სძლია, გათამაშებას მოიგებენ, რაც უკვე ცხრა წელია, არ ღირსებიათ. სკოტთა თავკაცს ჯიმ ტელფერს ამის დიდი იმედი აქვს — „პარიზში მოგება შეგვიძლია და ალბათ ასეც მოხდება. უელსელების კი უზომოდ მადლიერნი ვიქნებით, ინგლისელებს თუ მოუგეს. ვფიქრობ, ჩვენი თამაშით ვიმსახურებთ ტურნირში გამარჯვებას".

რა შეიძლება ითქვას თამაშზე, რომელშიც ერთადერთი ლელო გავიდა და ისიც დამარცხებული გუნდის ანგარიშზეა? ის, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ორი „გიგანტის" — ინგლისისა და საფრანგეთის ნახვა მეტად უფერული რამ იყო. მოგებით ინგლისელებმა „დიდი სლემის" მოპოვების გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგეს და ამისთვის უელსელთა ძლევაღა დარჩათ. ფრანგებმა კი ხუთიდან საუკეთესო ერად გახდომის თეორიული შანსიც კი დაკარგეს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი დარტყმებით, თუმცა უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რამდენიმე ლელოს გარდასახვის შესაძლებლობაც რომ მომცემოდა. ულამაზოდ ვითამაშეთ, მაგრამ მთავარი მოგება იყო და შედეგით, ალბათ, ყველა ჩვენი გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა" — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელთა დამრტყმელმა ჯონი ვილკინსონმა. მართალია ვილკინსონი, როცა ამბობს, რომ ულამაზოდ ითამაშეს. ასეთ შეხვედრას ხომ მართლაც მარტო ინგლისელი გულშემატკივარი თუ მიადევნებს თვალს.

რა დაგვანახა ამ თამაშმა? ის, რომ ფრანგებს ძალიან კარგად შეუძლიათ თავდაცვა, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოინდომებენ. ოღონდ დაცვაზე აქცენტის გამახვილებით ისინი თავდასხმაში თავიანთ მობილურობას და მრავალფეროვნებას კარგავენ. ის, რომ ინგლისელების ყურება ძალიან მოსაწყენი საქმეა. მას შემდეგ, რაც მათ ლელოს გატანის ახალ გზას „მიაგნეს" (ფეხით ბურთის წინ, 11 ან 14 ნომრის მიმართულებით დარტყმა იმ იმედით, რომ მათი ფრთა მეტოქის დაცვას მარტო გაარღვევს. ამან სამხრეთ აფრიკასთან გაამართლა კიდეც), შეტევის სხვანაირად განვითარება მათ თითქმის შეუძლებლად მიაჩნიათ.

გასულ შემოდგომაზე სამხრეთელ ბობოლებთან გამართულ ტესტ-მატჩებში ფრანგებმაც და ინგლისელებმაც დაამტკიცეს, რომ მათთან ბრძოლა შეუძლიათ. თუმცა, შეიძლება ითქვას, ისინი „დიდ სამეულს" მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაში დაეწივნენ, ამის ხარჯზე კი მხოლოდ ბრძოლა შეიძლება, ბრძოლა და არა გამარჯვება (რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც ხდება). გამარჯვებაზე ფიქრი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, თუ ისინი ირლანდიელთა მძლეველი შოტლანდიელებივით ლაღად ათამაშდებიან. ამის საშუალება კი ინგლისელებს თუ არა, ფრანგებს ნამდვილად აქვთ.

შაბათის მატჩში თითქოს ორივე გუნდს ამოძრავებდა ხელით თამაშის სურვილი, რისი დასტურიც უამრავი გათამაშებული საჯარიმოა, მაგრამ... ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო, მოწინააღმდეგის დაცვითი ჯებირი გაერღვია და თამაშისთვის ეშხი შეემატებინა. იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ დაცვაში მასპინძლებიც და სტუმრებიც დიდებულად ირჯებოდნენო (უამისობაც არ იყო), იტყვის ვინმე, მაგრამ, ჩემი აზრით, ამის ნამდვილი მიზეზი მაინც მეტოქეთა უხეირო შეტევებში უნდა ვეძიოთ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. პირველი ტაიმის მიწურულს შეხვედრის ახალზელანდიელი არბიტრი დაშავდა და მატჩის წარმართვა მის შოტლანდიელ კოლეგას დაეკისრა.

**გაიოზ თალაკვაძე**
**პაატა თოთაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 72:46 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 84:57 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 53:64 | 2 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 77:95 | 2 |
| ირლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 66:90 | 2 |



REUTERS ედინბურგიდან

ირლანდიელები ქირვან დემფსი (11) და დევიდ ჰამფრიზი შოტლანდიელი ჯონ ლესლის (ბურთით) შებოჭვას ცდილობენ

**ლონდონი. თვიქნემი. 20 მარტი. 75.000 მაყურებელი**

**ინგლისი 21(9):10(0) საფრანგეთი**

**ინგლისი:** 7ს — ვილკინსონი
**საფრანგეთი:** 1ლ — კომბა; 1ს და 1გ — კასტანიედი
**მსაჯი:** ჰოუკი (ახალი ზელანდია), მე-40 წუთიდან ფლემინგი (შოტლანდია)

**ინგლისი**

პერი
რისი — ვილკინსონი — გასკოტი — ლაგერი
ქეტი — ბრექენი
ბექი — დალალიო (კაპ.) — ჰილი
როდბერი — ჯონსონი
გერფორსი — კოკრილი — ლენარდი

მარკონე — იბანესი (კაპ.) — ტურნერი
ბრუზე — პელუ
ტ. ლიევრემონი — ჟუიე — კასტელი
კარბონო — კასტანიედი
დომინიკი — კომბა — ჟიორდანი — გარბაჟოზა
ნტამაკი

**საფრანგეთი**

*შეცვლები*
**ინგლისი:** რისი — ბელი (65), ბრექენი — დოუსონი (35), ჰილი — კორი (50), გერფორსი — უბოგუ (79)
**საფრანგეთი:** მარკონე — კალიფანო (48), პელუ — ორადუ (66), ტ. ლიევრემონი — რეინო (66)

**ედინბურგი. „მარიფილდი". 20 მარტი. 67000 მაყურებელი**

**შოტლანდია 30(15):13(10) ირლანდია**

**შოტლანდია:** 4 ლ — კ. მიურეი (2), თაუნსენდი, გრიმსი 2 გ და 2 ს — ლოგანი
**ირლანდია:** 1 ლ — საჯარიმო 1 გ და 2 ს — ჰამფრიზი
**მსაჯი:** დერეკ ბივენი (უელსი)

**შოტლანდია**

მეტკალფი
კ. მიურეი — ტაიტი — ჯ. ლესლი — ლოგანი
თაუნსენდი — არმსტრონგი (კაპ)
მ. ლესლი — პეტერსი — უოლტონი
გრიმსი — ს. მიურეი
ბარნელი — ბალოქი — სმიტი

კლოჰესი — ვუდი — უოლესი
ჯონსი (კაპ) — დევიდსონი
ოკანიგენი — მილერი — უორდი
მაკგინესი — ჰამფრიზი
დემფსი — ბელი — მეგსი — ბიშოპი
ოში

**ირლანდია**

*შეცვლები*
**შოტლანდია:** სმიტი — ჰილტონი (39), ბალოქი — ბრაზერსტოუნი (77), უოლტონი — პუნტნი (66), არმსტრონგი — ფერლი (79), კ. მიურეი — ლონგსტაფი (76)
**ირლანდია:** უორდი — ბრენენი (64), მილერი — კოსტელო (16), ბელი — ჰენდერსონი (63), მაკგინესი — სკელი (43)

RUGBY SUPER 12

# აფრიკელები ოზებს და კივებს ეჩაგვრინებიან

კრაისტჩერჩი. 19 მარტი

**კრაისტჩერჩი 18(6):18(13) ველინგტონი**

**კრაისტჩერჩი:** 2ლ — რალფი, გიბსონი; 1გ და 2 ს — მერთენსი
**ველინგტონი:** 2ლ — კალენი; 1ა — კალენი; 1გ — არნოლდი; 1ს — ჰოლველი

ზელანდიურ შინაომში გათამაშების ლიდერი კრაისტჩერჩი ძლივს გადაურჩა მარცხს ველინგტონთან. სტუმართაგან ყველაზე მეტს ოლბლექსელი კრისტიან კალენი აქტიურობდა, რომელმაც ორი ლელო და ერთი არეკნი გაიტანა. მთელი მატჩის განმავლობაში სტუმარი მორკინალები უკეთ გამოიყურებოდნენ და თითქოს „გრიგალებს" არ უნდა გასჭირვებოდათ მოგება, მაგრამ უკანახაზელთა „წყალობით" ვერ მოახერხეს.

ოლბანი. 20 მარტი

**ოკლენდი 12(9):12(6) ბრისბენი**

**ოკლენდი:** 4ს — კეშმორი
**ბრისბენი:** 4ს — სპუნერი

მეორე ფრე ზელანდიის ოკლენდისა და ავსტრალიის ბრისბენის მატჩში დაფიქსირდა. თანაც ისე, რომ ლელო არ გასულა. ეს კი უპირველესად მატჩის სამხრეთაფრიკელი არბიტრის „დამსახურებაა", რომელმაც უჩვეულოდ ბევრჯერ დააჯარიმა მობურთალნი. დაჯარიმების შიშით თუ იყო, მორაგბეები რომ ბურთის მოშორებას უფრო ეშურებოდნენ, ვიდრე თამაშს. ოკლენდმა, რომელიც ორჯერ იყო პირველობის გამარჯვებული, წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით ერთხელაც ვერ იმარჯვა. აი, ჯერაც დაუმარცხებელი ბრისბენელები კი ნახევარფინალში გასვლის რეალური კანდიდატები არიან თვისტომელ სიდნეელებთან ერთად.

სიდნეი. 20 მარტი

**სიდნეი 39(17):23(9) პრეტორია**

**სიდნეი:** 6ლ — დოულინგი (2), გრეი (2), სტენფორსი, ბოუმანი; 3გ და 1ს — ედმონდსი
**პრეტორია:** 2ლ — შალკვიკი, ვან დერ ვოლტი; 2გ — ლოულესი, სმიტი; 3ს — ლოულესი

ამ მატჩმა ცხადყო, რომ ავსტრალიელებს არა მხოლოდ ნახევარფინალში გასვლის, არამედ ტურნირის მოგების რეალური შანსი აქვთ. სიდნეი ერთადერთი ოზური გუნდია, ვისაც გათამაშების ნახევარფინალშიც კი არ უთამაშია. წლეულს კი, სპეციალისტთა აზრით, უძლიერესი კლუბია ავსტრალიაში. მასპინძლებს თავიანთი ძირითადი დამრტყმელი კრისტიან უორნერი პირველივე წუთზე დაემტვრათ, მაგრამ ზოგი ჭირი ხომ მარგებელია — შეცვლაზე შესულმა მანუელ ედმონდსმა ოთხი ლელოს გატანაში შეიტანა წვლილი, თუმც კი თავიდან თამაში არ წაუვიდა და ხუთი დარტყმიდან ოთხი ააცილა.

კანბერა. 19 მარტი

**კანბერა 37(17):15(8) კეიპტაუნი**

**კანბერა:** 5ლ — როფი (3), მაკინელი, გრეგანი; 3გ და 2ს — მორტლოქი
**კეიპტაუნი:** 2ლ — პოლსი, პატინგი; 1გ — მონტგომერი; 1ს — ვან სტრაატენი

ოზი ჯო როფის ჰეთ-თრიქის წყალობით კანბერელმა „რაშებმა" წლევანდელ გათამაშებაში პირველად იმარჯვეს აფრიკელებთან. წინა ტურში აფრიკელთა მწვრთნელმა ალან სოლომონსმა ძირითადის მობურთალები დაასვენა, აქაოდა, იმ მატჩებში ვათამაშებ, სადაც გამარჯვების შანსი ექნებათო. ჰოდა, დააყენა სოლომონსმა უძლიერესი შემადგენლობა, მაგრამ...

როფმა სამი ლელო ხომ თავად გაიტანა, ერთიც გრეგანს გაატანინა და გუნდს პრემიალური ქულაც მოაპოვებინა. საწყის 15 წუთში ავსტრალიელები 17:0 დაწინაურდნენ და შეხვედრის ბოლომდე არც გაუშვიათ უპირატესობა ხელიდან.

იოჰანესბურგი. 20 მარტი

**იოჰანესბურგი 28(15):29(10) დანიდინი**

**იოჰანესბურგი:** 3ლ — კრიუგერი, დროცკი, ვილიამსი; 2გ და 3ს — ონილი
**დანიდინი:** 2ლ — კელეჰერი, ვილსონი; 2გ — ბრაუნი, კალჰეინი; 5ს — ბრაუნი, კალჰეინი (4)

თავიანთი უძლიერესი გუნდის, დურბანის „ზვიგენების" უქმეობისას აფრიკელებმა ამ ტურში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლეს და ისიც იოჰანესბურგის „კატებს" გათამაშების ლიდერთან, დანიდინთან ერთქულიანი სხვაობით დამარცხებისთვის ერგოთ პრემიალურად. პირველი ტაიმის წაგების მერე ზელანდიელებმა მეორეში ხელი გამოიღეს და ცხრილში პირველი ადგილის შენარჩუნება მოახერხეს, რაც უპირველესად შეცვლაზე შემოსული კალჰეინის დამსახურებაა, რომელმაც მეორე ტაიმში გუნდს 14 ქულა მოუტანა.

**პაატა თოთაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 4 | 4 | 0 | 0 | 159:79 | 2 | 18 |
| სიდნეი | 4 | 3 | 1 | 0 | 127:53 | 3 | 17 |
| ბრისბენი | 4 | 3 | 1 | 0 | 61:47 | 0 | 14 |
| კრაისტჩურჩი | 3 | 2 | 1 | 0 | 88:37 | 1 | 11 |
| დურბანი | 3 | 2 | 1 | 0 | 70:49 | 0 | 10 |
| ველინგტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 77:71 | 2 | 8 |
| კეიპტაუნი | 4 | 2 | 0 | 2 | 95:124 | 0 | 8 |
| კანბერა | 4 | 1 | 0 | 3 | 93:88 | 3 | 7 |
| იოჰანესბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 91:126 | 1 | 5 |
| ოკლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 41:53 | 2 | 4 |
| ჰამილტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 50:103 | 2 | 2 |
| პრეტორია | 4 | 0 | 0 | 4 | 83:183 | 1 | 1 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ქულით წაგება ან მეოთხე ლელოს გატანა — 1 პრემიალური ქულა.

20 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
19 ტური

**აზოტი 112:65 კოლხა**

I ტაიმი 57:39

აზოტი: ა. ულენტი (8), გაბისონია (8), გოგობერიშვილი (10), ბაბიაშვილი (15), ჯაფარიძე (21); ბერუაშვილი (14), გოგოლაძე (12), ჩაჩუა (6), დანელიანი (2), კოჭლამაზაშვილი (6), ჯიმშელეიშვილი (10)
კოლხა: ბერიშვილი (11), თოდუა (4), ქარუმიძე (4), კეიდია (13), უგრეხელიძე (13); გ. ულენტი (2), ძიძიგური (6), ვაშაკიძე (8), ბერიკაშვილი (4), არველაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

20 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
19 ტური

**შევარდენი 88:94 დინამო**

I ტაიმი 35:48

შევარდენი: კაზანჯიანი (26), მაჭავარიანი (10), გაგნიძე (17), მოისწრაფიშვილი (17), ღვინეფაძე (10); ოქრიაშვილი (8)
დინამო: მაისურაძე (14), ახვლედიანი (2), ნიკლაური (13), ყველაშვილი (6), კილაძე (11); ნიკოლაძე (21), სანიკიძე (6), შანიძე (21)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

20 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
19 ტური

**მაკაბი 64:90 თსუ**

I ტაიმი 27:44

მაკაბი: ი. ბერიშვილი (10), ნაცვლიშვილი (7), ანდღულაძე (15), ლასარეიშვილი (6), ფერიაშვილი (7); დ. ბერიშვილი (15), დავარაშვილი, მჭედლიშვილი (4)
თსუ: ვეფხვაძე (3), ნონელია (17), მარკოიშვილი (13), ქარაბაკი (18), ხელაშვილი (13); არსიაშვილი (7), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (10), ქარჩავა (2), დიმიტრიადი (7)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

20 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
19 ტური

**ვითა 79:58 ასკ**

I ტაიმი 31:32

ვითა: უსტიაშვილი (4), აბრამიძე (14), კოკოლიშვილი (27), ორმოცაძე (2), კორძაძე (4); ვაშაკიძე (3), დავითულიანი (2), ტურაშვილი (2), ჭირაქაძე (7), ჩუბინიძე (14)
ასკ: ნათაძე (8), აკოლაშვილი (10), პაპასკირი (12), ფსუტური (8), ნუცუბიძე (16); ალავიძე, ჭყონია (4)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ნოდარ იანქოშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

20 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
19 ტური

**სტუ 81:67 სდასუ**

I ტაიმი 34:33

სტუ: ჩერქეზიშვილი (5), ტულუში (2), მოისწრაფიშვილი (2), ცქიტიშვილი (9), ოთიურიძე (4); გაგნიძე (15), სუხიშვილი (4), ლოსაბერიძე (13), მინაშვილი (8), მიქაძე (2), ნაცვლიშვილი (17)
სდასუ: ორჯონიკიძე (11), ჩხეიძე (10), უძილაური (15), ქევხიშვილი (4), მაჭარაძე (15); ხარაძე (7), გიგაშვილი, არჩვაძე (2), აბულაძე (3)
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, ზაზა მაჩალაძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

# არა, არ გვინდა სურდო!

**ვნახოთ**, ახლა რას იზამს ფედერაცია. იდეა, იცოცხლეთ, კარგია, უფრო მეტიც, აუცილებელი და იქნებ ცოტა დაგვიანებულიც. თქმა ერთია და გაკეთება მეორე. რომ ითქვა, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა რიცხვი რვა გუნდამდე უნდა შემცირდესო, ასეც უნდა გაკეთდეს. ჯერ ერთი, ფედერაციაც „სიტყვის კაცად" დარჩება, მერე კიდევ, ისე აღარ იქნება, ადრე რომ იყო — ვისაც თამაში მოესურვებოდა, პატარა ჯიბეზე ხელს გაიკრავდა, სამონაწილეო თანხას თავს მოუყრიდა და მიდი... ყველა გზა ხსნილი ჰქონდა. და რაც ყველაზე მთავარია — ჩვენი კალათბურთისთვის აჯობებს ასე. აბა, რა აზრი აქვს ისეთი თამაშების ცქერას, როცა წინდაწინვე იცი ყველაფერი, როცა ერთი გუნდი ათი თავით მაღლა დგას მეორეზე. გნებავთ, მატერიალურად, კარგ შემსრულებელთა სიმრავლით, სათამაშო კლასითა თუ დისციპლინით. ერთი სიტყვით, ყველაფრით...

ყოველივე ზემოთქმულის კარგი ნიმუში განახლებული ჩემპიონატის მესამე წრის პირველი დღის მატჩები გახლდათ. გათამაშების ლიდერები „გასავარდნთა შავ სიაში მყოფ" გუნდებს ძალიან იოლად გაუსწორდნენ და შეხვედრებიც ოდენ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გულშემატკივარს ვითომ სტუდენტური დაპირისპირების ეიმედებოდა, მაგრამ ვერც სტუ — სდასუ-მ ივარგა მაინცდამაინც. თუმცა სხვა, ულიმღამო მატჩების ფონზე ეს თამაში მართლაც გამოირჩა, რადგან მეტოქეთა შორის კლასში სხვაობა არცთუ თვალშისაცემი იყო, თანაც პრინციპული თვალსაზრისითაც აღემატებოდა დანარჩენ მატჩებს.

ვერ გეტყვით, საბოლოო გამარჯვება ვის დარჩებოდა, სდასუ შეთხელებული შემადგენლობით რომ არ წარმდგარიყო მოედანზე. გუნდის ლიდერი და წამყვანი გამთამაშებელი დავით თორთლაძე სურდოს გამო სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალს თამაშს, არსად ჩანდა სტუდენტთა მსროლელი — ფრთა თამაზ გიგაური და გამოცდილ შოთა უძილაურსაც, ლოგინიდან იმ დღეს რომ წამომდგარიყო, უვარჯიშებელს მოუწია თამაშმა. ამისთანა დანაკარგის ერთგვარ კომპენსაციად მოსკოვის „სპარტაკიდან" გიორგი ჩხეიძის დაბრუნებას თუ მივიჩნევთ, მაგრამ „ჯიჯო" აშკარად შეუთამაშებელი იყო გუნდთან და ბუნებრივია, ეს მიზეზები სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სტუ-ს გასამარჯვებლად, რომელმაც, თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი ორი ქულა წაამატა გასრულებული ორი წრის მონაგარს.

სტუ თავიდანვე ჩვეული სისწრაფით მოქმედებდა, მაგრამ მეტოქე შეგნებულად არ აჰყვა ტემპში, უფრო პოზიციური თამაში ირჩია და სარგებელიც გამოადნო — ქევხიშვილმა და მაჭარაძემ სდასუ დააწინაურეს 4:0. სტუ მალე მოეგო გონს, მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა დროული შეცვლები გააკეთა — მოედანზე გიორგი გაგნიძისა და ლაშა ლოსაბერიძის შესვლის შემდეგ გუნდის თამაში უფრო შთამბეჭდავი გახდა და ტექნიკოსებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს 17:17, სულ მალე კი დაწინაურდნენ 25:19. უძილაურმა მეტი აღარ დააცადა მოწინაალმდეგეს, ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და ტაიმის ბოლოს კვლავაც ფრეა 30:30, თუმცა ლოსაბერიძის ზუსტი საჯარიმოებით სტუ-მ ქულით მაინც გაასწრო სდასუ-ს.

მეორე ნახევრის საწყისმა წუთებმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. ძალიან კარგად ათამაშდა გიგი ნაცვლიშვილი, რომელმაც ზედიზედ თორმეტი ქულა შესძინა თავისიანებს. სდასუელები ვერაფრით ახერხებდნენ მის შეჩერებას და შედეგად ცხრა ქულით 39:48 ჩამორჩნენ მეტოქეს. ჩხეიძისა და უძილაურის ძალისხმევით მათ ერთხანს გამოასწორეს მდგომარეობა, თუმცა მატჩის გადარჩენა ველარ შეძლეს. გაგნიძე, ლოსაბერიძე და მინაშვილი უფრო და უფრო ზრდიდნენ ანგარიშში სხვაობას და შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე, როცა სტუ თხუთმეტ ქულას 70:55 იგებდა, ბრძოლამ საბოლოოდ დაკარგა აზრი.

აკი გითხარით, დანარჩენმა შეხვედრებმა არ ივარგა და არც ზედმეტი თხრობით შეგაწყენთ თავს. ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს" სოხუმის „კოლხა" ბადლნად არ ეყო. თავიდანვე წინ გაჭრილ რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ სათადარიგო მოთამაშეებიც გვარიანად დაასაქმა და ასეც იოლად მიაღწია მიზანს. ტაიმის თვრამეტი ქულით მოგებამ და მეორე ნახევარში აზოტელთა კიდევ უფრო მონდომებულმა თამაშმა სოხუმელთათვის სამარცხვინო წაგება განაპირობა.

ასეთივე სცენარით წარიმართა „მაკაბი" — თსუ-ც. აქამდე ფინეთში მობურთალი ლევან ქარაბაკით გაძლიერებულმა სტუდენტებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. მეტოქის მთავარი დამრტყმელი ძალა — ცენტრი ფერიაშვილიც საიმედოდ ამოკეტეს და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. სტუდენტთაგან ნონელია, ქარაბაკი და მარკოიშვილი გამოირჩეოდნენ.

„შევარდენი" ყინჩად კი დაუხვდა „დინამოს", მაგრამ წაგება მაინც ვერ აიცილა. ხუთი კალათბურთელის ამარა დარჩენილ შევარდნებს მეორე ტაიმში ოქრიაშვილი შეეშველა, თორემ ოთხი კაცით ჩაამთავრებდნენ თამაშს. ამის კვალობაზე მათ ურიგოდ არ უთამაშიათ და ერთხანს იგებდნენ კიდეც, მაგრამ ძალა ხომ აღმართს ხნავს და მას შემდეგ, რაც მოსეშვილმა ნიკოლაძე და შანიძე გამოაჩინა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მოულოდნელად დასრულდა „ვითა" — ასკ-ს პირველი ტაიმი. არმიელებმა ტოლი არაფერში დაუდეს ექვსგზის ჩემპიონებს და ნუცუბიძის, აკოლაშვილის, ნათაძის აზრიანი ქმედებით ხშირად წინაც იყვნენ. „ვითა" ერთი წუთითაც არ დაბნეულა, ტაიმნახევრიანი ქაოსური თამაშის შემდეგ კალათბურთელებმა ჩვეულად მოინდომეს. გუნდის ლიდერად ნუგზარ კოკოლიშვილი მოგვევლინა, რომელიანაც არმიელთა დაცვა უძლური იყო. კოკოლიშვილს თანაგუნდელებმაც რომ მიბაძეს, სადაოც აღარაფერი იყო.

**გიორგი ბიძაშვილი**

# უშუქობამ ერთი მატჩი ორჯერ ჩაშალა

21 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

**ვითა 86:79 შევარდენი**

I ტაიმი 51:38

ვითა: უსტიაშვილი (3), აბრამიძე (17), კოკოლიშვილი (25), ორმოცაძე (12), კორძაძე (7); ვაშაკიძე (3), დავითულიანი (4), ტურაშვილი (10), ჭირაქაძე (5), ახალკაცი
შევარდენი: გაგნიძე (10), კაზანჯიანი (34), მაჭავარიანი (8), მოისწრაფიშვილი (6), ღვინეფაძე (8); მესხი, ხობელია (3), ოქრიაშვილი (10)
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, დავით ანდრიაძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

21 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

**დინამო 90:68 ასკ**

I ტაიმი 43:31

დინამო: ნიკოლაძე (30), მაისურაძე (23), ნიკლაური (13), შანიძე (7), კილაძე (13); ხეცურიანი (3), ახვლედიანი, ყველაშვილი, სანიკიძე
ასკ: ნათაძე (15), ალავიძე, აკოლაშვილი (7), პაპასკირი (14), ნუცუბიძე (12); ჭყონია (10), გელაშვილი (10), ფიცხელაური
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

21 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

**აზოტი 92:61 მაკაბი**

I ტაიმი 47:23

აზოტი: ულენტი (7), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (10), ბაბიაშვილი (28), ჯაფარიძე (15); ბერუაშვილი (14), გოგოლაძე (8), ჩაჩუა, დანელიანი (2), კოჭლამაზაშვილი, ბარამიძე (2), ჯიმშელეიშვილი (4)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (8), ი. ბერიშვილი (14), ანდღულაძე (18), მჭედლიშვილი (10), ლასარეიშვილი (11); რიჟინაშვილი (2), ნაცვლიშვილი
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, როლანდ გელოვანი
დელეგატი: მურმან ქურიძე

21 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

**კოლხა 88:99 სტუ**

I ტაიმი 40:55

კოლხა: ბერიშვილი (20), არველაძე (8), თოდუა (8), კეიდია (11), უგრეხელიძე (23); კვაჭაძე (15), ქარუმიძე (10)
სტუ: მოისწრაფიშვილი (6), ჩერქეზიშვილი (11), ტულუში (7), სუხიშვილი (4), ცქიტიშვილი (10); გაგნიძე (10), ნაცვლიშვილი (12), ოთიურიძე (13), ლოსაბერიძე (3), მინაშვილი (13), მიქაძე, ჩავლეიშვილი (8)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

22 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

**სდასუ — თსუ**

*უშუქობის გამო მატჩი ორჯერ გადაიდო და გაიმართება 31 მარტს.*

**ტურის** პირველ შეხვედრაში განსხვავებული მიზნების მქონე „ვითა" და „შევარდენი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩამდე ვერავინ იფიქრებდა, რომ ცხრილის ბოლოში ჩაძირული შევარდნები წინაალმდეგობას გაუწევდნენ ექვსგზის ჩემპიონებს. მართლაც, ვითელთა უპირატესობა ყველა კომპონენტში თვალშისაცემი იყო.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთებში „ვითა" 20 ქულით დაწინაურდა და ყველაფერი მომთავრებულად ჩათვალა. მაგრამ შევარდენები თურმე დანებებას სულაც არ აპირებდნენ. მათ ორ წუთიანი მონაკვეთი 14:0 მოიგეს, რაშიც კაზანჯიანის ზუსტ სამიანებს მიუძღვის წვლილი. აქედან მოყოლებული უკვე თანაბარი თამაში გაჩაღდა, თუმცა „ვითა" 3-5 ქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას მაინც ახერხებდა. შეხვედრის მიწურულს „შევარდენმა" უკანასკნელად გაიბრძოლა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა კიდეც 70:72, მაგრამ ყველაფერი აქ დამთავრდა. ტურაშვილის ზედიზედ შესრულებული ორი სამიანის შემდეგ ვითელები დაწყნარდნენ და საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი „დინამოსა" და გამოკვეთილი აუტსაიდერის, არმიელი კლუბის შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. მით უმეტეს, ასკ მესამე მატჩს ატარებდა ახალი მწვრთნელის, ჭოტაშვილის თავკაცობით და ბუნებრივია, შუაგულ სეზონში ხელმძღვანელის გამოცვლა თავის კვალს დაამჩნევდა გუნდის თამაშს. ახალგაზრდა, გამოუცდელმა არმიელებმა ძალიან მოინდომეს, მაგრამ დამარცხებას, თანაც დიდი სხვაობით, მაინც ვერ გადაურჩნენ.

დინამოელები თავიდანვე წინ გაიჭრნენ მაისურაძე — კილაძის ზუსტი სამიანებით და მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალებას არ აძლევდნენ. ტაიმის შუაწელში „დინამო" 17 ქულით დაწინაურდა (33:16) და თავიც დაიმშვიდა. თუ მჭიდრო მეურვეობით შეწუხებული არმიელები აქამდე ვერაფერს ახერხებდნენ, ახლა გასაქანი მიეცათ და შედეგიანობასაც უმატეს. გულდაარხეინებული დინამოელები ასკ-ს ჩხვლეტას არად აგდებდნენ. ამადაც იყო, რომ ნუცუბიძემ და გელაშვილმა სხვაობის შესამჩნევად შემცირება მოახერხეს, მაგრამ მეტი არ დასცალდათ. მიძინებული შეგირდების გამოსაფხიზლებლად მოსეშვილმა წუთშესვენება მოითხოვა და ამის მერე გუნდიც ჩვეულად ათამაშდა. დაცვითი ტაქტიკის მიმდევარ დინამოელთა ნაცადმა პრესინგმა უმალ გამოიღო შედეგი. რაც 12-ქულიან უპირატესობაში გამოიხატა.

მეორე ნახევარშიც დინამოელთა ხელთ იყო უპირატესობა. გადაღლილმა არმიელებმა მალევე გადაიწურეს გამარჯვების იმედი, ამიტომ საამბობიც თითქმის არაფერია.

პირველი ტაიმის ნახევარში „მაკაბმა" ერთპიროვნულ ლიდერს დიდი წინაალმდეგობა გაუწია. ხუთეული შეუცვლელად თამაშობდა და ძლიერ მეტოქესთან დათმობას არ აპირებდა... თუმც ბაბიაშვილისა და ბერუაშვილის მონდომებამ თავისი გააკეთა და სხვაობამ 20 ქულას მიაღწია (37:17). აქედან მოყოლებული გაილაღეს რუსთაველებმა. ისედაც ერთი მუჭა მაკაბელებს ტრავმირებული ფერიაშვილი აკლდათ, რომლის შემცვლელი გუნდს არ ჰყავს. გამოუცდელმა ლასარეიშვილმა და მჭედლიშვილმა მეტოქეებთან ფარზე დუელი პირწმინდად წააგეს.

დარჩენილ დროში „აზოტის" თავკაცობამ მოედანზე სათადარიგო მოთამაშეები გამოიყვანა. მათაც მაკაბელები არ დაინდეს და ტაიმი დიდი სხვაობით დაასრულეს.

შესვენების შემდეგ მატჩი განახლდა და ანგარიშში უმალ კატასტროფული სხვაობა (68:28) დაფიქსირდა რუსთაველთა სასარგებლოდ. ოთარ ხმელიძემაც თავი ქუდში დაიგულა და მადაგახსნილი ხუთეულიდან მოედანზე მხოლოდ ბაბიაშვილი დატოვა. მოწინაალმდეგის გუნდში სახეცვლილების შემდეგ „მაკაბიმ" ცოტა ამოისუნთქა. მრისხანე ხუთეულიდან ეულად დარჩენილმა ბაბიაშვილმა მეტოქეთა გუნდის დასაწიოკებლად სათადარიგოთა გაძღოლაც ითავა და კარგადაც გამოსდიოდა. ასე რომ, კარგი დღე მაკაბელებს არც ამათთან ჭიდილში დასდგომიათ. ერთი ეგაა, ბერიშვილების თავდაუზოგავი გარჯით უწინდელი 40-ქულიანი სხვაობა განახევრდა. თუმც რუსთაველებმა ესეც კი იუკადრისეს და განახევრებულს 10 ქულა მაინც მიუმატეს.

„კოლხა", როგორც მათთან წინა ორი შეხვედრისას, მეტოქეს ტოლ-სწორად ეთამაშა და სტუ-მ მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრელა დაიბევა გამარჯვება. მოედანზე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. კოლხელები დაცვაში გააზრებულ თამაშს შედეგიანი შეტევებით ასრულებდნენ. თავის მხრივ სტუ-ს მწვრთნელობა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში იყო და მათ მცდელობას ნაყოფი ტაიმის ბოლოსაკენ მოჰყვა. რჩებოდა სამი წუთი, როცა ანგარიში თანაბარი იყო — 36:36. გადამწყვეტ მომენტში სტუდენტთა გაძღოლა ჩერქეზიშვილმა ითავა. მის ზუსტ სამქულიანს თანაგუნდელთა გამოცოცხლება მოჰყვა და ანგარიშში სხვაობა 15 ქულა გახდა.

მეორე ტაიმში სტუ კიდევ უფრო წინ გაიჭრა. დაბნეული კოლხელები წუთშესვენებაზე მწვრთნელის დარიგებებმა გამოაფხიზლა. ამის მერე უკვე ჩვეულად გამოიყურებოდნენ როგორც გამთამაშებელი ბერიშვილი, ასევე ცენტრი უგრეხელიძე. ამ ბიჭების კარგი თამაშით სოხუმელებმა მეტოქესთან წამოწევა შეძლეს და სულ მალე ანგარიშიც გაათანაბრეს. შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ტაბლოზე 76:76 დაფიქსირდა. თბილისელ სტუდენტებს აღელვება დაეტყოთ და უილბლობაც შემოეჩვიათ. ამ მხრივ მათ არც კოლხელები ჩამორჩნენ და კარგა ხანს გუნდები თანაბრად თამაშობდნენ, თუმცა საქმე ოვერტაიმამდე არ მისულა. ნაცადი ჩერქეზიშვილისა და ოთიურიძის მონდომებით სტუ-მ ორწუთიან მონაკვეთში 16 უპასუხო ქულა მიითვალა და მატჩის ბედიც აქვე გადაწყდა.

**მამუკა ტულუში**

20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 20 | 19 | 1 | 1711:1402 | 39 |
| სტუ | 20 | 15 | 5 | 1574:1473 | 35 |
| ვითა(-1) | 20 | 15 | 5 | 1347:1171 | 34 |
| თსუ | 19 | 13 | 6 | 1530:1411 | 32 |
| დინამო | 20 | 12 | 8 | 1539:1498 | 32 |
| სდასუ | 19 | 10 | 9 | 1392:1420 | 29 |
| მაკაბი | 20 | 5 | 15 | 1458:1631 | 25 |
| კოლხა | 20 | 5 | 15 | 1436:1684 | 25 |
| შევარდენი | 20 | 4 | 16 | 1415:1612 | 24 |
| ასკ | 20 | 1 | 19 | 834:934 | 21 |

რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიამ თამაშს უხშირა, ვესტფოლმა — წუწუნს




დენვერი — სიეტლი. ანტონიო მაკდაიესმა (№24) სიეტლელებს ოლდენ პოლინაისი (№0) და ვლადიმერ სტეფანია (მარჯვნივ) მაყურებლობასღა დააჯერა

19 მარტი

**გოლდენ სტეიტი 90:78 სიეტლი**

გოლდენ სტეიტი: კოულზი (14), სტარქსი (20), მარშალი (4), კეფი (14), დამპიე (19 ქულა, 13 მოხსნა); ჯემისონი (13), კამინგსი (4), ბოგსი (2), დელკი, ფოილი, სპენსერი

სიეტლი: პეიტონი (18), ჰოკინსი (7), ელისი (8), ბეიკერი (9), პოლინაისი (3); შრემპფი (21), სტეფანია (6), ლუისი (2), ოუენსი (2), ვილიამსი (2), ბერი

„სიეტლ სუპერსონიქსის“ ამ უიმედოდ წაგებულ მატჩში ქართველ გულშემატკივართათვის გასახარი რა მოხდა: როდესაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, შერცხვენილი სიეტლის მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა მოედანზე ქართველი ვლადიმერ სტეფანია შეუშვა და მანაც ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ნბა-ში. სტეფანიამ მოედანზე წინა თამაშებზე მეტი, 15 წუთი დაჰყო და მშვენივრადაც გაისარჯა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა სამი სროლიდან სამივე ჩააგდო, 6 ქულა მიითვალა, ოთხი ბურთი მოხსნა ფარიდან, გუნდში ყველაზე მეტი, სამი დაფარებაც ჩაიწერა ანგარიშზე და ერთხელაც მეტოქეს ბურთი მოჰპარა. ქართველის კარგი თამაში, რა თქმა უნდა, გასახარია, მაგრამ მისმა გუნდმა შეხვედრა იმ კლუბთან დათმო, რომელსაც სეზონის დასაწყისში ზედიზედ ექვსი მოგების დროს ორჯერ სძლია, თან საკმაოდ იოლად. პარასკევს ღამით გოლდენ სტეიტმა ღირსეული რევანში აიღო და სოლიდად დაჯაბნა ჩრდილოური გუნდი. სულ ერთსა და იმავეს თქმა გვიხდება, მაგრამ... სიეტლის მოთამაშენი ამჯერადაც უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდნენ. სიდნეის ოლიმპიადისთვის ამერიკის ნაკრებში წინასწარ შერჩეული ვინ ბეიკერი კარგად მაშინ თამაშობს, როდესაც სუსტ გუნდს (მაგალითად, ჩიკაგოს, კლიპერსს...) უგებენ. არც გოლდენ სტეიტი მიეკუთვნება გრანდებს, საშუალო დონის გუნდიც კი არაა, სიეტლის მძლავრმა თავდამსხმელმა კი აქაც ჩააფლავა შეხვედრა და მასზე ათი თავით სუსტ მეურვეს ერთ დროს დიდი ჩიკაგოს სათადარიგოს, ჯეისონ კეფის დაეჩაგვრინა. მთლიანობაში არა მარტო ბეიკერი, არამედ ყველა სიეტლელი ჩაფლავდა ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში, როდესაც გოლდენ სტეიტი ყურებჩამოყრილი მეტოქის დაბრიყვებას შეუდგა.

მატჩის დასაწყისშივე მოიქუფრა ცა სტუმარი გუნდისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მათმა ლიდერმა და საოლიმპიადო გუნდის კიდევ ერთმა წევრმა, გერი პეიტონმა მატჩის ანგარიში ზუსტი სამქულიანით გახსნა. თუმც ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სიეტლი ამაოდ ლამობდა საკრამენტოელთა კედელივით მტკიცე დაცვის გარღვევას, სამაგიეროდ კი მასპინძელთაგან 16(!) უპასუხო ქულა მიიღო. გოლდენ სტეიტმა პირველი თორმეტი წუთი მთელი 16 ქულით მოიგო და წარმატებას აქედანვე ჩაუყარა საფუძველი. სტუმრები შემდეგ გამოცოცხლდნენ, გერი პეიტონი და დეტლიფ შრემპფი თითქოს ურიგოდ არ გარჯილან, მაგრამ ყველაფერი, რაც მათ შეძლეს ის იყო, რომ მეტოქემ 12 ქულით მოიგო და არა 16-ით. შერცხვენილ სტუმართა მწვრთნელმა, ვესტფოლმა, მარცხი თავის შეგირდთა უსუსურობას კი არ დააბრალა, არამედ სტუმართა კარგ თამაშს. სოლიდურად ითამაშეს და პირველივე მოეთხედში მოგვიგესო.

21 მარტი

**დენვერი 102:98 სიეტლი**

დენვერი: ვან ექსელი (20), ბილაფსი (16), ტეილორი (11), მაკდაიესი (23 ქულა, 15 მოხსნა), ფორსტონი (11); ალექსანდერი (7), სტისი (6), ვილიამსი (6), კლარკი (2)

სიეტლი: პეიტონი (7), ჰოკინსი (13), ბეიკერი (3), **სტეფანია** (3), პოლინაისი (16); შრემპფი (22), ოუენსი (19), ელისი (15), ვილიამსი, ბერი

ორი დღის წინ გოლდენ სტეიტთან მარცხნაჭამმა სიეტლმა დენვერთანაც ანალოგიური მატჩი ჩაატარა, მხოლოდ ორი რამ იყო განსხვავებული — ერთი, რომ მან პირველი მეოთხედის კვლავ ჩაგდების შემდეგ ასე თუ ისე შეძლო მობილიზება და ქულათა ნაკლები სხვაობით დამარცხდა და მეორეც — თავის მეცხრე თამაშში ვლადიმერ სტეფანიამ პირველად ითამაშა სასტარტო ხუთეულში. როგორც ჩანს, პოლ ვესტფოლმა მიაქცია ყურადღება, რომ ქართველს გოლდენ სტეიტთან ურიგოდ არ უთამაშია და მატჩის დაწყებისას სათადარიგოთა სკამზე კი არა, მოედანზე მიუჩინა ადგილი. რა ქნა სტეფანიამ ძირითად ხუთეულში? მან 9 წუთი ითამაშა და თავის გუნდს 3 ქულით, 2 მოხსნით (ორივე მეტოქის ფარზე) და ერთი ჩაჭრით შეეწია, მაგრამ ოკეანისგაღმურ ძალისმიერ თამაშს ჯერაც მიუჩვეველმა ქართველმა მეცხრე წუთზე მეხუთე პერსონალური მიიღო და მისთვის თამაშიც დამთავრდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მას ანტონიო მაკდაიესის წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. ეს კი ნბა-ში ერთ-ერთი უძლიერესია თავდამსხმელთა შორის და ჯანიც სტეფანიაზე ბევრად მეტი მოსდევს.

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ სტეფანიასთან ერთად ეს მატჩიც წინას დარად ერთობ უილბლოდ დაიწყო და პირველ თორმეტ წუთში მეტოქეს მთელი 39 ქულით გაკეთების საშუალება მისცა, თვითონ კი 20 ქულით ნაკლები ჩააგდო. ეს შეხვედრაც, ისევე როგორც წინა, წინასწარვე წაგებული ჩანდა. მით უმეტეს, რომ გუნდის ლიდერები აშკარად მოიკოჭლებდნენ. სტეფანიას მოედნიდან გასვლის შემდეგ მაკდაიესს ვინ ბეიკერი ერგო, ამანაც კარგად აბურთავა „დრიმ თიმ 4“-ის წევრი და თავდასხმაში მხოლოდ 3 ქულას დააჯერა. უკანა ხაზში კი მოულოდნელად გერი პეიტონი ნიკ ვან ექსელის წერა შეიქნა და დენვერელის ბრწყინვალე გარჯას სიტლელის უზუსტობაც დაერთო — პეიტონის 15 ნასროლიდან მხოლოდ სამი ჩაეშვა კალათში. სიეტლი მეორე ნახევარში გამოცოცხლდა სათადარიგოების ათამაშების შემდეგ, რომელთაც ერთ დროს ძირითადი დეტლეფ შრემპფი საკმაოდ შედეგიანად წარუძღვა, თუმც ბოლო მეოთხედში ისევ მაკდაიესმა იძალა, თავისი 23 ქულიდან 9 ამ პერიოდში გააკეთა და პეიტონს და მის თანაგუნდელებს არაერთხელ დაუფარა. მატჩის შემდეგ ვესტფოლმა ამჯერადაც წუწუნს მიჰყო ხელი, წაგების მიზეზები ბლომად ჩამოთვალა და ბოლოს დასძინა, თუ ასეთი „თავდადებით“ ვითამაშეთ, წინ კარგი არაფერი გველისო.

19 მარტი

**ინდიანა 96:87 ჩიკაგო**

ინდიანა: მილერი (31)

ჩიკაგო: კუკოჩი (29)

ლარი ბერდის ინდიანამ საკმაოდ იოლად მოუგო შარშანდელ პლეი ოფში აღმოსავლეთ კონფერენციაში მის მძლეველ ჩიკაგოს, რომლის ხორვატ ლიდერ ტონი კუკოჩს და მის ხელქვეითებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ინდიანელმა სნაიპერმა რეჯი მილერმა ჩემპიონს სამქულიანებით ამოუვსო კალათი და მეტოქეს გარჯა წყალში გადაუყარა.

**პორტლენდი 90:85 სან ანტონიო**

პორტლენდი: საბონისი (28 ქულა, 11 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (29 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიოს შებერებულ ცენტრს დევიდ რობინსონს (10 ქულა) ჯერ კიდევ მაშინ უჭირდა არვიდას საბონისის წინააღმდეგ თამაში, როცა უძლიერეს ფორმაში იყო და მსოფლიოს პირველ ცენტრადაც ითვლებოდა. რობინსონი უკვე თავის გუნდშიც არაა პირველი და ლიდერობა ყმაწვილ ტიმ დანკანს გადაულოცა. ეს ჯეელიც ყველაფერს ბღლვნის და კაცი არაა მისი შემჩერებელი. ეს ვერც პორტლენდმა შეძლო, მაგრამ ვერც სან ანტონიო გაუმკლავდა ბებერ ლიტველს და ამ მარცხით შეწყვიტა კიდეც 9-მატჩიანი წარმატებული სვლა.

**ტორონტო 93:82 კლიპერსი**

ტორონტო: კარტერი (26)

კლიპერსი: როჯერსი (15)

**ფილადელფია 105:90 ლეიკერსი**

ფილადელფია: აივერსონი (41)

ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ონილი (23)

კარგად მოქმედებდა კობი ბრაიანტი, შაკილ ონილსაც არაფერი უშავდა, მაგრამ ალენ აივერსონი ნამდვილად ბრწყინვალე იყო. მისმა გუნდმა თვით ლეიკერსი დასცა, თვითონ კი კარიერაში მერვედ მოაგროვა 40-ზე მეტი ქულა, რითაც უფრო დაშორდა ამ მატჩში ძლეულ შაკილ ონილს და ბომბარდირთა სიაში პირველი ადგილი კიდევ უფრო განიმტკიცა.

**შარლოტი 93:92 იუტა**

(ძირითადი დრო 75:75)

შარლოტი: კემპბელი (19 ქულა, 12 მოხსნა)

იუტა: პორნაჩეკი (21)

შარლოტმა იუტას ძლევით მცირე სასწაული მოახდინა. მატჩი ჯერ ოვერტაიმში გადაიყვანა და მერე იღბალმაც არ უმტყუნა. სტუმართა ლიდერმა კარლ მელოუნმა (16 ქულა, 15 მოხსნა) ოვერტაიმის დამთავრების მაუწყებელ სირენასთან ერთად ნასროლი ბურთი ააცილა.

**ატლანტა 93:85 ფინიქსი**

ატლანტა: კორბინი (18)

ფინიქსი: გულიოტა (21)

**დეტროიტი 94:87 დალასი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (15)

დალასი: ფინლი (18)

**დენვერი 101:105 მინესოტა**

დენვერი: ვან ექსელი (21 ქულა, 13 პასი), ტეილორი (22)

მინესოტა: გარნეტი (28), სმიტი (21)

20 მარტი

**ვანკუვერი 88:92 სან ანტონიო**

(ძირითადი დრო 78:78)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (25 ქულა, 11 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 14 მოხსნა)

**ჰიუსტონი 103:93 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 91:91)

ჰიუსტონი: ბარკლი (35 ქულა, 18 მოხსნა)

ფინიქსი: გულიოტა (22)

ჩარლზ ბარკლიმ სეზონში ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო, აქედან ოვერტაიმის პირველი ექვსი, მისი ესოდენი თავგამოდება იმანაც გამოიწვია, რომ ბარკლის ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევდა გარჯა. სერ ჩარლზს ისიც უთქვამს, ეგ ხომ გუნდი არ არის, მაგათთვის წესით ოვერტაიმის გარეშე უნდა მოგვეგოო.

**ნიუ იორკი 96:78 ბოსტონი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (27)

ბოსტონი: მერსერი (19)

**ვაშინგტონი 113:83 კლივლენდი**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (29), ჰოვარდი (28 ქულა, 15 მოხსნა)

კლივლენდი: ნიუმენი (18)

**ატლანტა 77:83 მილუოკი**

ატლანტა: კრაუფორდი (15)

მილუოკი: რობინსონი (21)

**მაიამი 89:94 ინდიანა**

მაიამი: ჰარდევეი (28)

ინდიანა: მულინი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ტიმ ჰარდევეის კარგად გარჯის მიუხედავად, მაიამიმ მაინც ვერაფერი მოუხერხა ნბა-ს ყველაზე ოკმბინაციურ გუნდს და შეხვედრა შინ დათმო.

**დალასი 104:90 საკრამენტო**

დალასი: ტრენტი (22 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (22), ნეში (22)

საკრამენტო: აბდულ-ვაჰადი (16)

21 მარტი

**კლივლენდი 88:85 ნიუ ჯერსი**

კლივლენდი: პერსონი (22)

ნიუ ჯერსი: მარბერი (20)

**პორტლენდი 91:75 ფილადელფია**

პორტლენდი: ვოლესი (26)

ფილადელფია: აივერსონი (24)

**ბოსტონი 92:95 ჩიკაგო**

(ძირითადი დრო 83:83)

ბოსტონი: მერსერი (26)

ჩიკაგო: კუკოჩი (20), ბერი (20)

**ტორონტო 85:81 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 75:75)

ტორონტო: კარტერი (23 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ იორკი: იუინგი (21 ქულა, 15 მოხსნა)

ტორონტომ ნიუ იორკის დამარცხებით ზედიზედ მეხუთედ მოიგო, რაც ამ გუნდის ოთხწლიან ისტორიას არ ახსოვს.

**დეტროიტი 104:101 იუტა**

(ძირითადი დრო 90:90)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (32), ჰილი (29 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი)

იუტა: მელოუნი (31 ქულა, 12 მოხსნა)

**მილუოკი 87:92 შარლოტი**

მილუოკი: რობინსონი (19)

შარლოტი: ჯონსი (23)

**მინესოტა 85:100 კლიპერსი**

მინესოტა: გარნეტი (27)

კლიპერსი: მარტინი (21), ტეილორი (20)

**ორლანდო 104:115 ლეიკერსი**

ორლანდო: ჰარდევეი (21 ქულა, 13 პასი), დოლიკი (25)

ლეიკერსი: ბრაიანტი (38), ონილი (31 ქულა, 13 მოხსნა), ჰარპერი (20)

ლეიკერსი პირველ ნახევარში კი აგებდა, მაგრამ ლოსანჯელესელებმა მეორე ნახევარში, არც მეტი, არც ნაკლები, 72 ქულა ჩაუგდეს ორლანდოს. აქედან 33 კობი ბრაიანტრისაა, რომელმაც კარიერაში ყველაზე მეტი, 38 ქულა დააგროვა და შაკილ ონილის შემწეობით დასცა კიდეც მისივე ძველი გუნდი. ონილს კი თავგამოდების დიდი საბაბი ჰქონდა, სურდა, ორლანდოელი გულშემატკივრებისთვის პირში ჩალა გამოევლო, რადგან როცა ბურთს მიიღებდა, ისინი ყოველთვის გინებას და სტვენას აყოლებდნენ.

**ირაკლი ფირაშვილი**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 18 | 6 | 75,0 |
| ორლანდო | 18 | 8 | 69,2 |
| ფილადელფია | 14 | 10 | 58,3 |
| ნიუ იორკი | 15 | 11 | 57,7 |
| ვაშინგტონი | 10 | 14 | 41,7 |
| ბოსტონი | 8 | 15 | 34,8 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 20 | 16,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 17 | 7 | 70,8 |
| მილუოკი | 14 | 10 | 58,3 |
| ატლანტა | 14 | 11 | 56,0 |
| დეტროიტი | 14 | 11 | 56,0 |
| კლივლენდი | 12 | 11 | 52,2 |
| ტორონტო | 11 | 12 | 47,8 |
| შარლოტი | 9 | 14 | 39,1 |
| ჩიკაგო | 8 | 17 | 32,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 19 | 6 | 76,0 |
| სან ანტონიო | 16 | 9 | 64,0 |
| ჰიუსტონი | 16 | 9 | 64,0 |
| მინესოტა | 14 | 12 | 53,8 |
| დალასი | 9 | 17 | 34,6 |
| დენვერი | 7 | 18 | 28,0 |
| ვანკუვერი | 5 | 20 | 20,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 20 | 5 | 80,0 |
| ლეიკერსი | 18 | 9 | 66,7 |
| სიეტლი | 12 | 11 | 52,2 |
| ფინიქსი | 12 | 13 | 48,0 |
| საკრამენტო | 11 | 15 | 42,3 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 14 | 41,7 |
| კლიპერსი | 2 | 22 | 0,83 |

# პაატა მოვიდა, კაკო წავიდა

**ახლახან ბათუმში დასრულდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კრივში. ტურნირის შესახებ აზრს გვიზიარებს საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ გუნია:**



— საქართველოს პირველობის ბათუმში ჩატარება ამ ქალაქის კეთილმოწყობილმა ინფრასტრუქტურამ განაპირობა, თანაც, აბსოლუტურად ყველა ხარჯი აჭარის კრივის ფედერაციამ გაიღო. მათვე დააწესეს საპრიზო ფონდიც და პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი მედლები და დიპლომები დაგვიმზადა.

ბათუმში საქართველო 8 რეგიონის (თბილისი, კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და აჭარა) ოთხმოცამდე მოკრივე ასპარეზობდა. მართალია, 48 და 51 კგ წონით კატეგორიებში მონაწილენი არასრული შემადგენლობით გამოდიოდნენ, მაგრამ სხვა წონებში ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა, თუ არ ჩავთვლით აკაკი კაკაურიძეს, რომელიც კვლავ თურქეთში დაბრუნდა. ჩემპიონატზე ნაჩვენებმა დონემ მთლიანობაში დამაკმაყოფილა. აქ ჩვენი შეზღუდული დაფინანსებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომელიც შემცირებულ ტურნირ-შეკრებებს ნიშნავს. ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ, რუსეთიდან ახლახან დაბრუნებული პაატა გვასალია დაასახელეს. ბევრი საიმედო მოკრივეც გამოჩნდა და დიდი პერსპექტივაც დავინახე.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— დავით ადამაშვილს (51), დავით ხურცილავას (57), რომელსაც „გამარჯვებისკენ სწრაფვის" პრიზიც გადაეცა და დავით გეგეშიძეს (81). ამ ბიჭებმა თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს. ადამაშვილი და ხურცილავა ამ ცოტა ხნის წინ ბულგარეთის „ა" კლასის საერთაშორისო ტურნირში გამოვიდნენ. ხურცილავამ პირველსავე წრეში წააგო მსოფლიოს თასის ფინალისტ კუბელ კარიონთან ქულებით და შეჯიბრებას გამოეთიშა. ადამაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. ფინალამდე ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორს, უკრაინელ ოლეგ კირიუხინს და იმავე ოლიმპიადის მონაწილე მოლდოველ გენადი სამოილენკოს მიუგო. ეს კი კარგი შედეგია. ამ ბიჭებს უახლოეს პერიოდში ნაკრებში ამინდის შექმნა და ლიდერობაც შეუძლიათ.

**— გვასალია რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა თუ გაათავისუფლა?**

— გვასალია ჯერ მხოლოდ რუსეთის კრივის ფედერაციამ გაათავისუფლა. მათი ფაქსი მივიღეთ კიდეც. რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტს ეს ვაცნობეთ და პაატას გათავისუფლებაც ვთხოვეთ. მას შემდეგ ერთი კვირა გავიდა, მაგრამ პასუხი არ ჩანს. ვიმედოვნებთ, რომ რაკი ფედერაციამ გაათავისუფლა, წინააღმდეგი არც ოლიმპიური კომიტეტი იქნება. რუსეთის ოლიმპიური კომიტეტისგან დასტური რომც ვერ მივიღოთ, გვასალიას ოლიმპიადის გარდა საქართველოს სახელით გამოსვლა ყველა ტურნირზე შეუძლია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდი ამ ტურნირის მიხედვით შეირჩევა?**

— არა. ნაკრების კანდიდატებმა ჯერ საერთაშორისო ტუნირებზე უნდა გამოსცადონ თავი. მათ იქ დავაკვირდებით და მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდსაც მერე დავასახელებთ.

**— რომელ საერთაშორისო ტურნირებში აპირებთ მონაწილეობას?**

— 8-12 აპრილს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში საერთაშორისო ტურნირია, მაისში — მახაჩყალაში. ამ ტურნირებზე გვინდა წასვლა თუ დაგვაფინანსეს. მერე ორ დასკვნით შეკრებასაც თბილისში მოვაწყობთ. აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდსაც მათი შედეგებით დავაკომპლექტებთ.

**ირაკლი თავაძე**

### ტექნიკური შედეგები

48 კგ
1. გიორგი გოცირიძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ჟანი ბაზგოიანი (აჭარა)
3. გიორგი ალანია (აჭარა)

51 კგ
1. დავით ადამაშვილი (თბილისი)
2. გიორგი კევლიშვილი (შიდა ქართლი)

54 კგ
1. რამაზ გაზაშვილი (შიდა ქართლი)
2. დავით ჩხეიძე (იმერეთი)
3. რამაზ შანთაძე (აჭარა)

57 კგ
1. დავით ხურცილავა (აჭარა)
2. ავთანდილ კაშია (იმერეთი)
3. ლაშა იოსელიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)

ავთანდილ ადამაშვილი (თბილისი)

60 კგ
1. გოჩა რუსია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. მალხაზ ბერკაცაშვილი (შიდა ქართლი)
3. უშანგი რურუა (თბილისი)

დავით მაკარაძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი)

63,5 კგ
1. პაატა გვასალია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ანატოლი ქავთარაძე (იმერეთი)
3. პაატა ვარდუაშვილი (შიდა ქართლი)

გიორგი კაპანაძე (თბილისი)

67 კგ
1. გოჩა აბაშიძე (აჭარა)
2. ბესიკ ვარძელაშვილი (ქვემო ქართლი)
3. სპარტაკ ჭინჭარაული (თბილისი)

მინდია ნოზაძე (შიდა ქართლი)

71 კგ
1. თენგიზ ჯაოშვილი (იმერეთი)
2. ლევან ჯანჯღავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. ირაკლი აბაშიძე (აჭარა)

ხვიჩა აბაზაშვილი (შიდა ქართლი)

75 კგ
1. ზაზა კუჭავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ზურაბ ქებაძე (თბილისი)
3. დავით ქრისტესიაშვილი (შიდა ქართლი)

დავით ხანიშვილი (შიდა ქართლი)

81 კგ
1. კახა ბებურია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ზურაბ უჩანეიშვილი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. დავით გეგეშიძე (თბილისი)

ალექსანდრე თეგეტაშვილი (შიდა ქართლი)

91 კგ
1. ვლადიმერ ჭანტურია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ბექა ლობჟანიძე (შიდა ქართლი)
3. როინ ბოლქვაძე (აჭარა)

ალექსი სულხანიშვილი (თბილისი)

+91 კგ
1. გაგა ბოლქვაძე (იმერეთი)
2. შალვა გოგოლაძე (თბილისი)
3. მამუკა კობახიძე (შიდა ქართლი)

გოგიტა მათიაშვილი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)

# კინგის რემატჩი და მოტყუებული ბრიტები




სარბიელის არქივიდან

**დონ კინგი ის კაცია, ვილაც-ვილაცეებმა მოტეხონ?**

**ლუის** — ჰოლიფილდის ბრძოლის უსამართლო შედეგის გამოძიება თავის გზით მიდის. ნიუ იორკის სენატს დაქვემდებარებული როი გუდმენის კომიტეტი საბუთებს აგროვებს, დონ კინგმა კი ახალი განცხადება ესროლა საკრივო მსოფლიოს.

თითქოს კინგი რემატჩის ორგანიზებისგან უნდა მოეკვეთათ და ამ ახალი დიდი ბრძოლის გამართვა ბრიტ პრომოუტერებს ეწადათ, მაგრამ ქოჩორა დონი ის კაცი არ არის, რომ მავანმა ძალათ ექსტრავაგანტურმა კოხტაპრუწებმა მოტეხონ.

და აი, გუშინ დონ კინგმა „ფოქს ტელევიჟენს" განუცხადა:

„შაბათს ევანდერ ჰოლიფილდმა ქაღალდზე ხელი მომიწერა. ლუისი ლონდონშია, მაგრამ ტელეფონით დამიდასტურა თანხმობა. რემატჩი სექტემბერში გაიმართება, ოღონდ ჯერ არ ვიცით სად".

ვირეშმაკა დონის აზრით, ეს რემატჩი საბოლოოდ გასცემს პასუხს პირველი ბრძოლის შემდეგ ატეხილ ხმაურს. კინგის სწრაფვა ახალი მილიონებისკენ გასაგებია, მაგრამ სხვა მხრივ მდგომარეობა არც ისე მარტივია: რახან გამოძიება მიმდინარეობს, მის შედეგზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. კერძოდ კი, თუ გუდმენის კომიტეტი დაამტკიცებს, რომ მთვლელები წინასწარ იყვნენ დაქრთამულნი, მაშინ ჰოლიფილდს ტიტულები ჩამოერთმევა და რემატჩიც საჭირო აღარ იქნება.

კინგი ამიტომაც აჩქარდა — მას სურს, საგამოძიებო ხმაური, რემატჩის ხმაურით გადაფაროს. თანაც, ლუისიც არ ჩანს ისეთი კაცი, მაინცდამაინც გამოძიების შედეგს რომ ელოდებოდეს.

ამასობაში, გამოკითხულ ამერიკელთა 54,8 პროცენტი მიიჩნევს, რომ საკრივო ორთაბრძოლების შედეგები ჩაწყობილია და მხოლოდ 25,6 პროცენტი თვლის, რომ კრივი პატიოსანი და სუფთა სანახაობაა.

ნიუ იორკში კი იმყოფება ბრიტანელ ვექილთა ჯგუფი, რომელთაც სტივენ ელიგზანდერი თავკაცობს. ეს ვექილები იმ ბრიტანელი ქომაგების ინტერესებს გამოხატავენ, რომლებიც ორი დღით, საგანგებოდ ლუის-ჰოლიფილდის მატჩისთვის ჩამოფრინდნენ ნიუ იორკში და „მედისონ სკვერ გარდენში" დაესწრნენ ორთაბრძოლას. ახლა ეს ხალხი, სულ რვა ათასი ერთეული, თავს მოტყუებულად თვლის და აცხადებს, შედეგი ჩაწყობილი იყო და გაწეული ხარჯი უნდა აგვინაზღაუროთო.

მოკლედ, კინგი რემატჩს აკვარახჭინებს, გამოძიება კი თავისი გზით მიდის. რა მოხდება ხვალ, ჯერჯერობით გარკვეული არ არის. მთავარია, ლენოქს ლუისის ქოთქოთა დედა იყოს მშვიდად და დონ კინგს პუტკუნა სახე არ დაუკაწროს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**





ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა (ზედა ფოტოზე №31) დანაქადნი აასრულა და 200 მეტრზე იმარჯვა. ქალთა იმავე დისტანციაზე კი შეუდარებელ მერიონ ჯონსს (ქვედა ფოტოზე №1) აბა, ვინ დაეწეოდა?



# ჩემპიონებმა აფრიკას გადაუფრინეს

**გასულ** პარასკევს იოჰანესბურგის (სამხრეთ აფრიკა) მახლობლად, მთებში მდებარე პატარა ქალაქმა როდეპორტმა მძლეოსნობის საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრამ ხალისიანად ჩაიარა და რამდენიმე რიგიანი შედეგითაც გამოირჩა.

მოსეირეთა და სპეციალისტთა ყურადღება ძირითადად ვაჟთა და ქალთა 200-მეტრიანი ბილიკებისკენ იყო მიპყრობილი. პირველზე მსოფლიო რეკორდესმენს, 200 და 400 მეტრებზე მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, ტრავმის გამო სარბიელიდან დიდი ხნით განზე გამდგარ ამერიკელს მაიკლ ჯონსონს უნდა ესპარეზა, მეორეზე კი — მის თანამემამულეს, ბოლო წლების უდავო ფავორიტს, ბრწყინვალე მერიონ ჯონს.

ამ ერთი კვირის წინ ჯონსონმა როგორღაც დაიქადნა, რომ წლევანდელი სეზონი მისი იქნება და, თუკი ორივეზე ე.ი. 200 და 400 მ-ზე ვერა, 200 მეტრიანზე მაინც უცილობლად ყველას გადაურბენს. პირველი როდეპორტული გამოცდა დიდმა ჩემპიონმა ჩემპიონურად ჩააბარა და, თუმცა 20 წამს ქვემოთ ჩასვლა ამჯერად ვერ შეძლო, მაგრამ არც ძალიან ბევრი დაკლებია. „ჰაი-ჰაი რომ ნასიამოვნები ვარ — სეზონის დასაწყისში 20,10-ის ჩვენება ხუმრობა საქმე არ გეგონოთ!" — აი ასეთი იყო ჯონსონის ნარბოლევი კომენტარი.

სერიოზული მოცილე, ამერიკელი ფლორენს გრიფიტ ჯოინერის 11 წლის წინანდელ რეკორდს თუ არ ჩავთვლით (21,34), იმ დღეს არც კეთილ და ლიმილიან მერიონს ჰყოლია. მერიონმა, გაისად სიდნეის ოლიმპიადაზე ხუთი ოქროს მოგებას რომ გეგმავს, სამხრეთ აფრიკული ქურციკივით ირბინა და უსწრაფეს შედეგს მხოლოდ წამის ნახევრით ჩამორჩა — 21,84.

ჰოდა, ჯერ — აფერუმ ჩემს თავსო — ასე შენიშნა და მერე — უკვე მაგარ ფორმაში ვყოფილვარო — ასე დაამატა.

მოკლედ, ერთიცა და მეორეც ნამეტანი კმაყოფილები დარჩნენ.

განსაკუთრებული უკმაყოფილების საფუძველი იმ დღეს არც სამხრეთ აფრიკელ ლიველინ ჰერბერტს უნდა ჰქონოდა. ჰერბერტმა, რომელიც 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანია, როდეპორტში მსოფლიოს მეოქროვეს, ზამბიელ სამუელ მატეტესა და ოლიმპიურ ჩემპიონს ამერიკელ დერიკ ადკინსს აჯობა. თანაც ეს უკანასკნელ მეტრებზე, რაღაც არაადამიანური ძალისხმევით შეძლო. შედეგად: დაჯაბნილი კონკურენტები და ახალი ეროვნული რეკორდი!

დანარჩენთაგან კი ჩვენ ეგებ მსოფლიოს მძლეთამძლე შუბოსანი, სამხრეთ აფრიკელი მარიუს კორბეტისა და ბრიტანელი სამმაგი მხტომელის, მსოფლიოს ჩემპიონ ჯონათან ედვარდსის კარგი შედეგები გამოგვეყო — 80,02 მ და 17,01 მ. ამაზე მეტი კი ყველას თავისმა ინტერესმა და გულშემატკივრობამ გამოაყოფინოს.

**ლევან ძელაურაძე**

### ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **100 მეტრზე რბენა** | |
| კევინ ბრაუნსკილი (აშშ) | 10,43წმ |
| ანტუან ბუსომბო (გაბონი) | 10,44 |
| მეთიუ ქუინი (ს. აფ.) | 10,44 |
| **200 მეტრი** | |
| მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 20,10 |
| კევინ ბრაუნსკილი (აშშ) | 20,58 |
| ანტუან ბუსომბო (გაბონი) | 20,84 |
| **400 მეტრი** | |
| ანტონიო პეტიგრიუ (აშშ) | 44,54 |
| არნო მალერბი (ს. აფ.) | 44,59 |
| ჯერომ იანგი (აშშ) | 44,59 |
| **400 მეტრი თარჯრბენი** | |
| ლიველინ ჰერბერტი (ს. აფ.) | 47,83 |
| სამუელ მატეტე (ზამბია) | 48,25 |
| დერიკ ადკინსი (აშშ) | 49,03 |
| **სამხტომი** | |
| ჯონათან ედვარდსი (ბრიტ.) | 17,01მ |
| ტოსინ ოკე (ბრიტანეთი) | 15,68 |
| მაქსიმ ვიტოვსკი (პოლონეთი) | 15,29 |
| **ჭოკით ხტომა** | |
| ოკერტ ბრიცი (ს. აფ.) | 5,70მ |
| ევგენი სმირიაგინი (რუსეთი) | 5,60 |
| მარტინ ვოსი (დანია) | 5,50 |
| **ბადროს ტყორცნა** | |
| ფრანც კრუგერი (ს. აფ.) | 66,52მ |
| სერგეი ლიაზხოვი (რუსეთი) | 60,64 |
| ფრიც პოტგიტერი (ს. აფ.) | 60,31 |
| **ბირთვის კვრა** | |
| სიჯეი ჰანტერი (აშშ) | 20,35მ |
| ბურგერ ლამბრეხტსი (ს. აფ.) | 19,93 |
| კორ ბოისენი (ს. აფ.) | 18,89 |
| **შუბის ტყორცნა** | |
| მარიუს კორბეტი (სარ) | 80,02მ |
| გრეგორ ჰოგლერი (ავსტრია) | 79,53 |
| იოჰანეს ფან ეკი (სარ) | 76,58 |
| **ქალები** | |
| **200 მეტრზე რბენა** | |
| მერიონ ჯონსი (აშშ) | 21,84წმ |
| ვენდი ჰარტმანი (ს. აფ.) | 22,74 |
| ჰაიდე საიერლინგი (ს. აფ.) | 23,20 |
| **400 მეტრი** | |
| აფოლაბე ოლაბისი (ნიგერია) | 51,16 წმ |
| ემი ბაკე თიამი (სენეგალი) | 51,58 |
| ლინი ფან დერ ვალტი (ს. აფ.) | 51,75 |
| **800 მეტრი** | |
| გრეის ბურუნგი (უგანდა) | 2წთ2,52წმ |
| ჯულია საკარა (ზიმბაბვე) | 2.02.71 |
| მარი-ლუიზ ჰენინგი (ს. აფ.) | 2.03.01 |
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| ჰესტრი კლუტე (ს. აფ.) | 1,90მ |
| იოლანდე ფან ლანგელაარი (ს. აფ.) | 1,80 |
| ელენა ტოფჩინა (რუსეთი) | 1,80 |

# დამიბრუნეთ ესკულაპი

**კი ბისკეინი. აშშ. „ლიპტონის“ პირველობა. ჰარდი. საპრიზო 4,75 მილიონი $**



დომინიკ ჰრბატი



შტეფი გრაფი

სარჩიელის არქივიდან

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ხომ გაგიგიათ. აი, სწორედ ასე ეკიდებიან ამერიკელი ჩოგბურთის ვარსკვლავები დევისის თასზე თავიანთი ქვეყნის ღირსების დაცვის საქმეს. მშობლიური ჰიმნის გაგონებაზე საბრძოლო სულისკვეთებით ანთებასა და სიხარულის ცრემლის მოდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ათასგვარი მიზეზის გამო ნაკრებში ასპარეზობაზე უარს 1997 წლიდან აცხადებენ პიტ სამპრასი და მაიკლ ჩანგი, ამ ბოლო ხანებში კი მას ანდრე აგასიმაც უგანა. ხოტორა ამერიკელმა შარშან სექტემბერში ჩაფლავებული ნახევარფინალი გამოტოვა იტალიელებთან, საქველმოქმედო საღამოს უნდა დავესწროო, ამჯერად კი ნაცნობი ექიმის დათხოვნის გამო ატეხა ერთი ამბავი.

„ჯორჯ ფარიდი შესანიშნავი პიროვნებაა, ჩოგბურთელები მას აფასებენ და დიდ პატივს სცემენ. სათამაშო კვირეებში თუ სხვა დროს იგი არავისთვის თავს არ იშურებდა. მისი გაგდება მორიგი მაგალითია, თუ როგორ არ უწევს ანგარიშს ჩვენი ფედერაცია მოთამაშეთა შეხედულებებს. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. არ მიყვარს ასეთი კატეგორიული განცხადებები, მაგრამ დევისის თასზე მეტად არასოდეს ვითამაშებ“ — განაცხადა გაფიცხებულმა ანდრემ მეორე წრის მატჩის შემდეგ.

ძნელი სათქმელია, სინამდვილეში რამ დაკარგვინა მოთმინება იმ დღეს აგასის — მართლა რაღაც ტესტებში ჩაჭრილი ბედოვლათი ესკულაპის სამუშაოს დაკარგვამ, თუ საკუთარმა საცოდაობამ: ამ განცხადებას ხომ წინ 21 წლის სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან მეტად დასანანი მარცხი უძღოდა.

საქმე კი ასე იყო — პირველი სეტი ამერიკელმა იოლზე იოლად მოიგო, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდა და შებერებულ ვუნდერკინდზე ერთი-ორად ჯანიანი ჰრბატი მერე მაგრად დადგა. სანამ ბოლომდე მოუშუშებელი ფეხის ტრავმით მოთამაშე ანდრე ხშირი აცილებების გამო თვით-და-მსაჯთ-გვემას მიეცა, სლოვაკმა ხელი გამოიღო, ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტ ხელში მეტოქეს სამჯერაც აართვა მოწოდება — 1:6, 6:3, 6:2 მის სასარგებლოდ.

მატჩი ცხვირჩამოშვებულმა ანდრემ კატასტროფულად, ორი ორმაგით დაასრულა, მაგრამ მისთვის კიდევ უფრო მტკივნეული, ალბათ, მეტოქის კომენტარები იყო, რომელმაც ბევრისთვის საოცნებო გამარჯვებას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა: „ბევრს ვარბენინებდი და ვაიძულებდი, შეცდომები დაეშვა. ეს ჩემთვის რიგითი მოგება იყო, მნიშვნელოვანი მატჩები ჯერ კიდევ წინ არის.“

ძნელი სათქმელია, გახდება თუ არა ოდესმე სრულიად რუსეთის იმედად და თავისტკივილად ქცეული ევგენი კაფელნიკოვი მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ჯერჯერობით კი სოჭელმა კლასიფიკაციის სათავეში მოქცევის აგერ უკვე მესამე შანსი გაუშვა ხელიდან.

ჰაერივით საჭირო წარმატებული ასპარეზობის ნაცვლად კი ბისკეინში რუსმა ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, ამჯერად ამერიკელი ვინს სპედესთან 7:6 (8:6), 6:7 (4:7), 2:6. მატჩის მოსაგებად კაფელნიკოვს საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაც სჭირდებოდა, მაგრამ 6:5-ზე მეორე სეტში მეტოქეს „მშრალი“ ბრეიკი დაანება, მერე ტაი-ბრეიკზე 3:0 უპირატესობა დაანიავა და დარჩენილ დროში, აგასის არ იყოს, ორმაგების გარდა არაფრით გამოუჩენია თავი.

„ეს მატჩი მას მე ვაჩუქე, თორემ, წესით, ორ სეტში უნდა მომეგო. ვინსენტს ჩემს წაგებაში არანაირი დამსახურება არ მიუძღვის და მის შექებასაც სულაც არ ვაპირებ“ — დანით გახსნილი პირიდან კაფელნიკოვს ტკბილი სიტყვები ნამდვილად არ ამოსცდენია.

აი, სოჭელის თანამემამულე მარატ საფინმა კი ამ დღეს ერთი არაჩვეულებრივი კარიერის ბოლო ფურცლის გადაშლაში დაიდო წილი. მაშინ, როდესაც დიდმა გერმანელმა ბორის ბეკერმა თავისი პირველი უიმბლდონი მოიგო, ზორბა რუსი ტუჩზე რძეშეუმშრალი 5 წლის ღლაპი იყო. კვირა საღამოს კი ამერიკაში ჩატარებულ უკანასკნელ ერთეულთა მატჩში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სწორედ საფინმა გაანადგურა 7:5, 6:0.

„ჩემს გონებას მეტის ატანა აღარ სურს, უკვე 15 წელია, ერთსა და იმავეს ვაკეთებ. რა თქმა უნდა, ჩოგბურთი ახლაც ჩემი სიყვარული და გატაცებაა, მაგრამ ძველებურად წელიწადში 45 კვირა, დღეში 6-8 საათი აღარ შემიძლია. არა, გმადლობთ — განაცხადა ბორისმა, რომელიც კორტიდან ფეხზე წამომდგარმა ტრიბუნებმა გააცილეს — ახლა იმის არჩევა შემიძლია, რაც მსურს და ზოგიერთ რამეზე უარის თქმაც არ დამღუპავს. ეს თავისუფლება ჩოგბურთმა მომანიჭა.“

როდესაც ბორისს აშშ-ში ჩატარებული ყველაზე სამახსოვრო მატჩების დასახელება სთხოვეს, გასახსენებელი მართლაც ბევრი იყო: „უპირველეს ყოვლისა, მათ რიცხვს აშშ-ის ღია პირველობაზე ლენდლის დამარცხება განეკუთვნება 1989-ში. ჰარტფორდი, ისიც მაგარი იყო. „მედისონ სკვერ გარდენში“ მასტერსზე იმავე ლენდლთან მოგება, 7:6 მეხუთე სეტში (1985)...“

აგასისდა საყურადღებოდ: „ჰარტფორდში“ ბორისმა 1987 წელს დევისის თასზე ჯონ მაკინროისთან შეხვედრა იგულისხმა, რომელიც მის სასარგებლოდ 6 საათსა და 21 წუთში (!) დასრულდა.

მეორე წრე: **კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 4:6, 6:1; **პიტ სამპრასი** (2, აშშ) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:3, 7:6 (7:3); **ალექს კორეტხა** (4, ესპანეთი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:2, 6:2; **პატრიკ რაფტერი** (5, ავსტრალია) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:3, 7:5; **მარსელო რიოსი** (8, ჩილე) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 7:6 (8:6), 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (10, ავსტრალია) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ტომი ჰაასი (18, გერმანია) 5:7, 7:6 (7:3), 6:2

შტეფი გრაფის ქომაგებს თავიანთი კერპის რიტუალი, რომელსაც იგი, გათამაშებებს შორის ატარებს, ალბათ, ეცნობათ კიდეც: უკანა ხაზზე მდგომი გერმანელი საჩვენებელ თითს ყურიდან ნიკაპისკენ ჩამოაყოლებს, მერე ხელს აიქნევს და ოფლის წვეთებს ჩამოიბერტყავს.

მეორე წრის მატჩში ამ რიტუალს შტეფი მხოლოდ ჩვეულების გამო მისდევდა, რადგან ჯენიფერ კაპრიატისთან მას წვეთი ოფლის დაღვრაც კი არ დასჭირვებია — ორი ვეტერანის შეხვედრამ (თუ 22 წლის კაპრიატის ვეტერანად შერაცხვას სინდისი არ დაგიშლის) 47 წუთს გასტანა და 6:0, 6:1 დასრულდა.

მეტოქეები ერთმანეთს უკანასკნელად 1993 წელს შეხვედროდნენ, მანამ, სანამ წამალზე შემჯდარ ჯენიფერს ნარკოტიკებისა და ქურდობის ბრალდებით ვირის აბანოში მიაბრძანებდნენ, მერე მის გზას შტეფის ვაიბიზნესმენ მამას მიაყოლებდნენ, გერმანელი კი ქირურგების საყვარელი მსხვერპლი შეიქნებოდა.

ამ ხნის მანძილზე ჯენიფერს ლამის თამაში გადაავიწყდა, სამაგიეროდ, გრაფი იგივე დარჩა (მარად და მარად): „არ მახსოვს, ჩემს წინააღმდეგ მას ასე კარგად ეთამაშოს. შტეფი დღეს ნებისმიერს დაამარცხებდა, იგი ისევ ძველებურად ირჯება“ — შეიცხადა მატჩის შემდეგ კაპრიატიმ.

მეორე წრე: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:0, 6:3; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ბრი რიპნერი (აშშ) 6:3, 7:5; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (5, ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:1; **ანა კურნიკოვა** (13, რუსეთი) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:7 (7:9), 6:0, 6:2; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — დომინიკ ვან რუსტი (17, ბელგია) 6:4, 6:3

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

# შავი მაიკის თეთრი ჰეთ-თრიქი

ედმონტონის 80-იანი წლების ტრიუმფების მთავარი სულისჩამდგმელი გლენ საზერი მართალია, დიდ გამარჯვებებს ველარ აღწევს, მაგრამ არც ის კაცია, განზე გადგეს და მშვიდად უყუროს, როგორ იძირება მისი გუნდი. დასავლეთიდან პლეი ოფის ბოლო, მერვე საგზურისთვის კარლგარისთან მებრძოლი „მენავთობეები“ ბოლო მატჩებში შეფერხდნენ და საზერმაც უმალ გადამწყვეტ ზომებს მიმართა. შაბათს, „დედლაინამდე“ სამი დღით ადრე, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ორი დიდი ტრეიდი განახორციელა — აილენდერსიდან ძლიერი მეკარე ტომი სალო შეიძინა, ჩიკაგოსგან კი 4 მოთამაშე გადაიბირა და კლუბს ახალი სული შთაბერა. აილენდერსმა, რომელიც იმავე 80-იან წლებში ნჰლ-ში ბატონობდა, როგორც ჩანს, ფარ-ხმალი დაყარა, მომავალი სეზონიდან კი, ეტყობა, ახალი გუნდის ჩამოყალიბებას დაიწყებს, რაკი მათ სალოს გარდა კიდევ ერთი ლიდერი, რობერტ რაიხელიც გაუშვეს ფინიქსში. წინასადედლეინო ციებ-ცხელებამ მაინც ვერ დაჩრდილა უქმეების ორი დიდი დაპირისპირება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიდერთა (ოტავა და დალასი) და სტენლის თასის მთავარ ფავორიტთა (ფილადელფია და დეტროიტი) შეხვედრები. სტენლის თასის მომავალი ფინალის გენერალური რეპეტიცია აღმოსავლელებმა მოიგეს, რამაც იმედი ჩაგვისახა, რომ პლეი ოფის გადამწყვეტი თამაშები წლეულს ერთობ დაძაბული იქნება.

19 მარტი

**ვანკუვერი — აილენდერსი 1:3**

1:1 0:1 0:1

0:1 ლოურენსი 3'11 (12); 1:1 ნესლუნდი 9'28 (35), 1:2 უოტი 34'40 (6); 1:3 სმოლინსკი 57'57 (15)

**დალასი — ოტავა 1:2**

1:1 0:1 0:0

1:0 საიდორი 7'16 (13); 1:1 დაკელი 19'40 (12); 1:2 ჰოსა 34'11 (11)

საკვირველია, როგორ ვერ მიაღწია მიზანს დალასმა. მასპინძლებმა, რომლებსაც ერთბაშად სამი დაშავებული ლიდერი — ბრეტ ჰალი, ჯო ნუინდაიკი და დერილ საიდორი აკლდათ, ბოლო პერიოდში თავის ზონას მიაჯაჭვეს მეტოქე, უამრავი მომენტიც შექმნეს, გოლიც გაიტანეს, მაგრამ მთავარმა მსაჯმა პოლ დევორსკიმ ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ იგი გააუქმა.

**რეინჯერსი — ბუფალო 2:3**

1:1 1:0 0:1 0:1

0:1 შატანი 10'21 (32); 1:1 შნაიდერი 12'47 (8); 2:1 ნედვედი 25'44 (18); 2:2 გროშეკი 51'40 (19); 2:3 შატანი 63'42 (33)

**ტამპა — დეტროიტი 3:5**

1:0 1:2 1:3

1:0 კლარკი 11'08 (26); 2:0 კლარკი 33'29 (27); 2:1 ფიოდოროვი 34'29 (19); 2:2 ჰოლმსტრიომი 19'00 (11); 3:2 კლარკი 43'36 (28); 3:3 ფიოდოროვი 45'17 (20); 3:4 ლიდსტრიომი 45'39 (12); 3:5 კოზლოვი 47'05 (22)

ვეტერან უენდელ კლარკს, რომელმაც სეზონში მესამე ჰეთ თრიქი (კარიერაში — 12) შეასრულა და ამ მაჩვენებლით საუკეთესოა ლიგაში, 2 პასით ვენსან ლეკავალიეც შეეწია, მაგრამ ჩემპიონთან პაექრობაში ორი კაცის ძალისხმევა როდია საკმარისი.

20 მარტი

**ლოს ანჯელესი — ფლორიდა 4:3**

4:0 0:2 0:1

1:0 ოდეტი 6'04 (17); 2:0 ბლეიკი 8'11 (10), 3:0 ნორსტრიომი 10'33 (2); 4:0 კურტნოლი 13'21 (5); 4:1 კოზლოვი 22'12 (15); 4:2 პერიში 29'99 (18); 4:3 უიტნი 56'03 (20)

**ედმონტონი — ვანკუვერი 4:3**

1:0 1:2 2:1

1:0 გრირი 5'24 (11); 2:0 გრირი 22'44 (12); 2:1 რობერტსონი 26'44 (1); 2:2 ოკუანი 38'16 (19); 3:2 გრირი 42'12 (13); 3:3 ბრაშირი 44'35 (8); 4:3 ფალუნი 50'09 (16)

გლენ საზერს, ალბათ, არც ეგონა, თუ ასე გაუმართლებდნენ ახალი შეგირდები. ერთ-ერთმა მათგანმა, ეტან მორომ (3 პასი), უმალ გაუგო ზანგ მაიკ გრირს და მას კარიერის პირველი ჰეთ-თრიქის შესრულებაში დაეხმარა, მეკარე ტომი სალომ კი ალექსანდრ მოგილნის ორი გარღვევა გააუვნებლა ბოლო წუთებზე.

**მონრეალი — ვაშინგტონი 0:1**

0:1 0:0 0:0

0:1 ბლეკი 12'56 (12)

**ტორონტო — ნიუ ჯერსი 3:1**

0:0 3:0 0:1

1:0 მოდანი 20'55 (13); 2:0 სალივანი 25'50 (14); 3:0 უორნერი 29'02 (9); 3:1 მორისონი 46'49 (12)

**კოლორადო — ჩიკაგო 5:5**

2:3 2:1 1:1 0:0

0:1 ოლჩიკი 1'11 (7); 0:2 ლერუ 2'53 (2); 1:2 საკიკი 8'35 (34); 2:2 ლემიე 9'23 (24); 2:3 ამონტე 14'00 (35); 3:3 დრური 21'27 (18); 3:4 ჟამნოვი 33'15 (15); 4:4 საკიკი 39'24 (35); 4:5 დაზე 43'11 (15); 5:5 ფლერი 48'53 (39)

**პიტსბურგი — ნეშვილი 1:1**

0:0 0:1 1:0 0:0

0:1 კრივოკრასოვი 30'14 (22); 1:1 ლანგი 40'50 (20)

**ბოსტონი — სან ხოსე 2:2**

1:0 ჰაინცე 10'28 (17); 2:0 ბურკი 17'36 (8); 2:1 მერფი 30'36 (17); 2:2 შტურმი 39'42 (14)

**სენტ ლუისი — ოტავა 2:3**

1:1 0:1 1:1

0:1 იუჰანსონი 2'00 (20); 1:1 დემიტრა 2'20 (33); 1:2 არვედსონი 21'33 (18); 2:2 დემიტრა 48'37 (34); 2:3 მაკიჩერნი 51'45 (30)

21 მარტი

**კალგარი — აილენდერსი 2:1**

1:0 0:1 1:0

1:0 ბურე 19'29 (20); 1:1 იუნსონი 38'49 (8); 2:1 ბურე 44'13 (21)

სანამ უფროსი ბურე ტრავმას იშუშებს, უმცროსი, ვალერი, ფლერისეულ კალგარიში ყველაზე გამორჩეული სნაიპერი ხდება (ბოლო 9 თამაშში 8 გოლი). ისედაც უსუსურად მოასპარეზე აილენდერსი წამყვანი მოთამაშეების გარეშე მთლად დასუსტდა და სულ 12-ჯერ შეაწუხა მასპინძელთა მეკარე.

**რეინჯერსი — პიტსბურგი 2:2**

1:0 1:2 0:0 0:0

1:0 სტივენსი 6'19 (19); 2:0 ნედვედი 20'15 (19); 2:1 დოლასი 27'11 (2); 2:2 ტიტოვი 36'26 (11)

**ანაჰაიმი — ფლორიდა 2:5**

1:1 0:0 1:4

0:1 კვაშა 1'32 (12); 1:1 სელიანე 5'51 (40); 1:2 დვორჟაკი 47'09 (13); 1:3 უიტნი 50'04 (21); 1:4 უიტნი 53'47 (22); 1:5 ნიდერმაიერი 53'59 (18); 2:5 დრური 59'25 (5)

**ჩიკაგო — კოლორადო 4:3**

1:1 2:1 1:1

0:1 ფორსბერგი 3'40 (23); 1:1 ჟამნოვი 11'10 (16); 1:2 ფლერი 20'40 (33); 2:2 მენსონი 24'20 (3); 3:2 ამონტე 35'19 (36); 4:2 მაკამონდი 47'50 (10); 4:3 ჰეიდუკი 50'34 (12)

**ვაშინგტონი — ბოსტონი 1:4**

0:2 0:1 1:1

0:1 ტორნტონი 4'43 (12); 0:2 ლედიარდი 5'34 (4); 0:3 ჰაინცე 20'53 (18); 0:4 კარტერი 44'11 (16); 1:4 ზედნიკი 51'46 (8)

**დალასი — კაროლინა 3:2**

0:0 1:0 1:2 1:0

1:0 ნუინდაიკი 26'09 (21); 2:0 მოდანო 47'41 (31); 2:1 კაპანენი 56'31 (22); 2:2 უესლი 57'09 (6); 3:2 მოდანო 60'44 (32)

პარასკევს ოტავასთან ჩატარებული მატჩის შემდეგ დალასი მხოლოდ მეორე პერიოდში დაემსგავსა თავის თავს, მანამდე კი, პირველ ნახევარში, ლიდერმა მხოლოდ ერთი დარტყმა იკმარა!

**ფინიქსი — ლოს ანჯელესი 4:1**

2:1 1:0 1:0

1:0 ტკაჩუკი 7'52 (30); 1:1 რობიტაილი 8'16 (32); 2:1 ტვერდოვსკი 14'00 (6); 3:1 ქუინტი 25'13 (5); 4:1 რაიხელი 59'26 (20)

**ფილადელფია — დეტროიტი 5:4**

1:2 1:1 3:1

0:1 კოზლოვი 9'20 (23); 1:1 ჯოუნსი 11'11 (17); 1:2 შენაჰანი 16'47 (26); 1:3 შენაჰანი 27'42 (27); 2:3 ლეკლერი 32'20 (39); 2:4 დრეიპერი 43'31 (4); 3:4 რეკი 46'33 (15); 4:4 რენბერგი 52'04 (10); 5:4 ლინდროსი 58'07 (39)

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ქაიროდან




# მამაცი ყვანჯი

ბეი ჰილის ამჟამინდელი ტურნირი, გუშინ ... რომ მოთავდა, ვინმე ტიმ ჰერონმა მოიგო. თავისი მინესოტური ყვანჯი ტიმმა თურმე შეუდარებელი სიმარჯვით გასარჯა და ოქროსვოლა პლეიოფში თვით ტომ ლემანსაც სძლია. ჰოდა, საგოლფო თემმაც ჰერონს გამორჩეული შრომა დაუფასა და ჯილდოდ ძვირფასი სქოთური ხმალი უფეშქაშა; თანაც ისე, რომ ხმალი „ვინმეს“ კი არა, თავად გოლფის შებერებულ მეფეს, ერნოლდ პალმერს გადააცემინა...

## ნონ-სტოპ შერეკილები (5)

საიმისოდ, რათა დედამიწას მასზე დაუშვებლად შემოვლებოდნენ, მსოფლიოს სხვადასხვა შერეკილ-მებუშტეებს 5 კი არა, ბარე 5 ათასი სერია დასჭირდათ... ბედმა, ბუშტმა და ამინდის ზეციურმა კანცელარიამ მრავალთაგან მხოლოდ ბრიტანელ ბრაიან ჯოუნზსა და შვეიცარიელ ბერტრან პიკარს გაუმართლათ. ამ რამდენიმე კვირის წინ შვეიცარიული ალპებიდან აფრენილი მათი ამაგდარი ხომალდი მშობლიურ პლანეტას კვირადღეს, ქაიროს სამხრეთით 800 კმ-ში დაუბრუნდა.




REUTERS ორლანდოდან

## ცვილის ჩემპიონები

კარგია სიცოცხლეშივე რომ გაფასებენ — მსოფლიოს ჩემპიონები ზინედინ ზიდანისა და ფაბიენ ბარტეზის ცვილის ფიგურები დღეიდან მუზეუმის კუთვნილება გახდა.

არა, ამ ორ ფეხბურთელს კარიერა არ დაუსრულებია, უბრალოდ, ხალხის სიყვარული მათ მიმართ იმდენად დიდია, რომ პარიზის გრევინის მუზეუმის თანამშრომლებმა ზიდანის და ბარტეზის სიცოცხლეშივე უკვდავყოფა განიზრახეს.

ამ ორი პოპულარული ფეხბურთელის ცვილის ფიგურები სწორედ იმ ალაგს დაამშვენებენ, სადაც ცნობილი მსახიობების, მუსიკოსების, პოლიტიკური მოღვაწეებისა და სხვათა ცვილის ფიგურებია გამოფენილი.



REUTERS პარიზიდან

## რუსები იწყებენ და...

ეს დღეებია, ჰელსინკი დიდ სტუმრიანობაშია. თანაც სტუმრებს აღარ იკითხავთ? სულ დარჩეული, ერთიმეორეზე ლამაზი გოგოები და ბიჭები. ასეა ხოლმე ყველგან, სადაც ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება და ფინეთის დედაქალაქის ქუჩებშიც ამიტომ იმრავლეს ლამაზმანებმა. საქომაგოდაც მოვემზადოთ: ამ მილეთის ხალხში ხომ ერთი ჩვენიანი, ვახტანგ მურვანიძეცაა, რომელიც გუშინ სავალდებულო პროგრამაში გამოვიდა და მე-9 ადგილიც დაიკავა. საუკეთესო კი რუსი ევგენი პლუშენკო (ფოტოზე) იყო.



REUTERS ჰელსინკიდან

# «მოდი, დავნიძლავდეთ...»



REUTERS ზაარბრუკენიდან

გერმანელთა ერთ სატელევიზიო შოუ-თამაშს თურმე ასეთი სახელი ჰქვია. იმას, თუ რაზე ანაც რისთვის ნიძლავდებიან იქ, ჩვენ ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ — არ გვინახავს და იმიტომ! ერთი ეგაა, რომ ამ ფოტოების შემხედვარეს ხსენებული შოუ-თამაშის არსზე ერთგვარი აზრი გიყალიბდება... თავად განსაჯეთ: აგერ, აქეთ, შოუს წამყვანი „ფლეიბოიში“ ბარაქიან გერმანელ მეფიგურსრიალე კატარინა ვიტის ამასწინათ გამოქვეყნებულ სურათებს ათვალიერებს და — რაცა ხარ, ეგა ხარ, კატარინაო — ასე ეუბნება; აგერ, იქით კიდევ ავსტრიელი სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერი ამერიკელი მილიარდერის, დონალდ ტრამპის ნაცოლარის, ივანას გამომწვევად მოშიშვლებულ ბარკლებს მსუნაგად მიშტერებია და საცაა, შესაჭმელად თუ არა, მოსაულვლემად მაინც ეძგერება! მოკლედ, ეს შოუ-თამაში ჩვენ ჩვენებურად გვესმის და, საამისოდ თუკი მაინცდამაინც ტელევიზიაში შეყრაა საჭირო, შევიყაროთ, გენაცვალე!



REUTERS ზაარბრუკენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29